საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№04 (522)
5 – 11 თებერვალი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## ასლან ბჟანია დიალოგს უჭერს მხარს 21

## «საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ ყველა თვალსაზრისით სრული კრახი განიცადა 2



«ზნებავთ – პოლიტიკურად, ზნებავთ – იდეოლოგიურად, ზნებავთ – დემოგრაფიულად»

რატომაა, რომ ხალხი, რომელიც 25-30 წლის წინათ გაშმაგებული ანტისაბჭოური მოძრაობის ბირთვს წარმოადგენდა, დღეს ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოსთვის უარყოფითი მოვლენა იყო

## რა გვჭირს, რატომ გვჭირს და სად არის გამოსავალი 4-5



მრგვალი მაგიდა

«აქამდე რა გზითაც მოვდიოდით, იმ გზის გაგრძელება აღარ შეიძლება»

«სოციალური სამართლიანობაა სწორედ ის სისტემა, რომელიც ადამიანის კეთილდღეობაზეა მორგებული»

## სად იყავით, სად იყავით მაშინ?! 6



თავხედობავ, გაერთიანებული ოპოზიცია უნდა გერქვას შენ!

## მერე რა, რომ ნაცია?! 7



ალეკო ელისაშვილი:

ეგ ლევან ხაბეიშვილი არის ძალიან მაგარი ბიჭი! მერე რა, რომ ნაცია?!

## რატომ არ გვაძლევენ უფლებას, ერთი-ერთზე ვესაუბროთ ჩრდილოელ მეზობელს?! 3




## «მოხერხებული» ამერიკელები



აი რატომ ექომაგებიან კონგრესმენ-სენატორები «ფრონტერას» 14




«მსოფლიო ჰეგემონის» უწინდებური შიში აღარ აქვთ 15



ლიბერალიზმის სოციოპათიური ბუნება 16

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ბევრისგან მსმენია, განსაკუთრებით „ქართულ დემოკრატიაზე გულდათუთქული“ ხალხისგან, რომ თურმე ჩვენი საზოგადოება ვერ გათავისუფლდა საბჭოთა წარსულისგან და ეს რაღაც საფრთხეებს ქმნის. სასაცილოა პირდაპირ. საბჭოთა კავშირი ველარ დაბრუნდება და, თუ ვინმე ფიქრობს, რომ პუტინს უნდა მისი აღდგენა, ზღაპარია. გიჟი კი არ არის პუტინი და რუსეთის ხელმძღვანელობა, მუქთად მოგაწოდოს ყველაფერი — ხეტყით დაწყებული, ენერგორესურსებით დამთავრებული“.



სოსო ცინცაძე:

# საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ ყველა თვალსაზრისით სრული კრახი განიცადა, გნებავთ — პოლიტიკურად, გნებავთ — იდეოლოგიურად, გნებავთ — დემოგრაფიულად

## რატომაა, რომ ხალხი, რომელიც 25-30 წლის წინათ გაშმაგებული ანტისაბჭოური მოძრაობის ბირთვს წარმოადგენდა, დღეს ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოსთვის უარყოფითი მოვლენა იყო

**საქართველოში მოქმედი უცხოეთიდან დაფინანსებული ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის — „კავკასიის კვლევითი რესურსცენტრის“ მიერ რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები ქართული პოლიტიკური სპექტრის, განსაკურებით — „ლიბერალური“ ელიტის, ისტერიკის მიზეზი შეიქნა. კვლევის თანახმად, რომელიც გასული წლის ოქტომბრიდან ნოემბრის ჩათვლით ჩატარდა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (42%) საბჭოთა კავშირის დაშლას ქვეყნისთვის უარყოფით მოვლენად აფასებს, მათ შორის უმეტესობას მთავარ პრობლემად შემცირებული სამუშაო ადგილები და მძიმე სოციალური ფონი მიაჩნია.**

კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა მხოლოდ 41% ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლით საქართველომ რეალური დამოუკიდებლობა მოიპოვა — შეინარჩუნა ეროვნული თვითმყოფადობა და სახელმწიფოებრივი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა...

**ცნობისთვის:** საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი გახარიამ ამას წინათ გამართულ დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე განაცხადა, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის, სულ ცოტა, 70% ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტურქტურებში ინტეგრაციის მომხრეა. მისი ეს რიტორიკა ხელისუფლების დეკლარირებულ პოლიტიკად ჯერ კიდევ „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის დროს იქცა, თუმცა ვერც წინა და ვერც მოქმედი ხელისუფლებების ლიდერები თავიანთ გამოსვლებში ვერ აკონკრეტებდნენ, რაზე დაყრდნობით აკეთებდნენ მსგავს შეფასებებს...

**რა განწყობებია დღეს რეალურად ქართველ საზოგადოებაში, რას ნიშნავს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში არსებული წარსულის მონატრება და სურს თუ არა ხალხს სინამდვილეში ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.**

**— ბატონო სოსო, ამას წინათ ორგანიზაცია „კავკასიის კვლევითმა რესურსცენტრმა“ მეტად მნიშვნელოვანი კვლევა გამოაქვეყნა. გამოკითხულთა 42%-ს საბჭოთა კავშირის დაშლა უარყოფით მოვლენად მიაჩნია. მათი უმეტესობა მიზეზად მძიმე სოციალურ ფონს, დაკარგულ ტერიტორიებს, შემცირებულ სამუშაო ადგილებს და, საერთოდ, ეკონომიკის დაცემას ასახელებს. რაზე მიგვანიშნებს ეს ციფრები?**

— ვფიქრობ, ეს განწყობები და მოსაზრებები, რომლებიც თავისთავად ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს (და არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ გამოკითხვაში, სხვა სოციოლოგიურ კვლევებშიც მუდმივად ჩანს), სავსებით ბუნებრივია. არანაირი პროპაგანდის ან დეზინფორმაციის შედეგი ეს არის და ის შეშფოთება თუ აღშფოთება, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებში ამ ციფრებს მოჰყვა, უადგილო მგონია.

რა არის კონკრეტულად ამ განწყობების მიზეზი? მოდი, მივყვეთ თანმიმდევრულად: **ადამიანებს, რომლებიც დაიბადნენ საბჭოთა კავშირში და იცხოვრეს დიდი ხნის განმავლობაში, ახსოვთ იმდროინდელი ეკონომიკური მდგომარეობა, შესაძლებლობები, რომლებსაც სახელმწიფო აძლევდა ადამიანს; და, რაც მთავარია, ახსოვთ სოციალური ფონი. მაგალითად, მათ ახსოვთ იაფი წამლები, რომლებიც დღეს კატასტროფულად ძვირი ღირს და, რაც დრო გადის, კიდევ უფრო ძვირდება; ახსოვთ უფასო განათლება... ახლა ვიღაც თუ იტყვის, რომ მაშინდელი განათლება არ იყო მაღალი დონისო, მასთან კამათს აზრი არ აქვს.** მთელი ჩემი ცხოვრება მეცნიერებათა აკადემიაში გავატარე და ნეტავ, დღეს იყოს საქართველოში მეცნიერების ისეთი დონე, როგორც იმხანად იყო...

**— კიდევ რა ფაქტორები განაპირობებს ადამიანებში საბჭოთა კავშირის ნოსტალგიას?**

— რომელი ერთი ჩამოვთვალო, მაგალითად, ადამიანებს ახსოვთ უფასო ჯანდაცვა, რომელიც უფასო ოპერაციებსა და მკურნალობას გულისხმობდა; ახსოვთ დონე ჩვენი ექიმებისა და საავადმყოფოების. წარმოიდგინეთ, უფასო იყო ისეთი კორიფეების მომსახურება, როგორებიც გახლდნენ: **კონსტანტინე ერისთავი** — ფაქტობრივად, ფუძემდებელი ქართული ქირურგიის, **ალექსანდრე წულუკიძე, კონსტანტინე ჩაჩავა** და სხვ.

ახლა გადასახადები ავიღოთ. შეიძლება ითქვას, რომ **საბჭოთა კავშირში კომუნალური გადასახადები, ფაქტობრივად, არ არსებობდა,** ანუ დენის, წყლის, ბუნებრივი აირის ტარიფები ისეთ მიზერულ თანხას შეადგენდა, ყველაზე ღატაკი და გაჭირვებული ოჯახიც კი მას ვერ გრძნობდა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ საწვავი კაპიკები ღირდა, იაფი იყო კვების პროდუქტები, ტრანსპორტი და, საერთოდ, მომსახურება...

> «ადამიანებს, რომლებიც დაიბადნენ საბჭოთა კავშირში და იცხოვრეს დიდი ხნის განმავლობაში, ახსოვთ იმდროინდელი ეკონომიკური მდგომარეობა, შესაძლებლობები, რომლებსაც სახელმწიფო აძლევდა ადამიანს; და, რაც მთავარია, ახსოვთ სოციალური ფონი. მაგალითად, მათ ახსოვთ იაფი წამლები, რომლებიც დღეს კატასტროფულად ძვირი ღირს და, რაც დრო გადის, კიდევ უფრო ძვირდება»

**— საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმ 42%-ს, ძირითადად, 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის თაობა შეადგენს. ხალხი, რომელიც 25-30 წლის წინათ გაშმაგებული ანტისაბჭოური მოძრაობის ბირთვს წარმოადგენდა, დღეს ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოსთვის უარყოფითი მოვლენა იყო. თქვენი აზრით, რატომ განიცადა საზოგადოებამ ასეთი ცვლილება?**

— ეს კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს იმას, რომ **იმხანად საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს არ ჰქონდა გააზრებული, რა პროცესები შეიძლებოდა წასულიყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს ჯერ კიდევ წარმოდგენა არ ჰქონდათ ტერიტორიული პრობლემების გამწვავებასა და შეიარაღებულ კონფლიქტზე, რომელიც „პერესტროიკის“ მოახლოებასთან ერთად კარს მოგვადგა; ეკონომიკურ სიდუხჭირეზე, უშუქობაზე, უმუშევრობაზე, სამოქალაქო დაპირისპირებაზე, კრიმინალზე, ძმათამკვლელ ომზე, რომელიც თურმე გველოდა** და ა.შ. თუმცა ეს, ალბათ, დღეს უკვე მეტ-ნაკლებად მოშუშებული იარები იქნებოდა, რომ არა ის პოლიტიკური დაძაბულობა და გაუთავებელი გაწევ-გამოწევა ძალაუფლებას დახამებულ ძალებს შორის, რომლებსაც სხვა არანაირი მიზანი, გარდა ქვეყნის სათავეში მოსვლისა, თბილ კაბინეტებში მოკალათებისა, არ აქვთ. აი, **ეს არის ის მთავარი მიზეზები და გარემოებები, რომლებმაც საბჭოთა კავშირში დაბადებულ, ნაცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც თავის დროზე, შესაძლოა, ტაშს უკრავდნენ კომუნისტების გასტუმრებას, დღეს ისევ საბჭოთა კავშირში დაბრუნება მოანატრა. კიდევ ვიმეორებ: ეს განწყობები და დამოკიდებულებები სავსებით ბუნებრივია და ვერანაირი შეშფოთება ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფების, ამა თუ იმ პროდასავლურად განწყობილი ადამიანების მას ვერ შეცვლის.** ყველაფერი შედარებითია — ხალხს ახსოვს წარსული და ახსოვს, როგორ ცხოვრობდა საბჭოთა პერიოდში. ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ ყველა თვალსაზრისით სრული კრახი განიცადა, გნებავთ — პოლიტიკურად, გნებავთ — იდეოლოგიურად, გნებავთ — დემოგრაფიულად, ეკონომიკაზე ხომ საერთოდ არ მაქვს საუბარი...

**— შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდი ერთგვარი იმედგაცრუების აღმოჩნდა მოსახლეობისთვის?**

— რასაკვირველია. არავინ ელოდა, რომ მოხდებოდა სამოქალაქო ომი და კრიმინალური დაჯგუფებები აიღებდნენ ძალაუფლებას; არავინ ელოდა, რომ ქვეყანას ასეთი მალალჩინოსნები ეყოლებოდა... **რაც შეეხება სამართლიანობასა და კანონის უზენაესობას, რაც საფუძველთა საფუძველია ყველა ნორმალური, შემდგარი სახელმწიფოსი, ვერავინ იფიქრებდა, რომ კორუფცია ასეთ მაღალ დონეზე იქნებოდა; ვერავინ იფიქრებდა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში ამდენი გაუნათლებელი, უწიგნური და გამაღიზიანებელი სახე მოიყრიდა თავს; და მერე ეს ადამიანები დემოკრატიის სახელით დაიწყებდნენ რაღაც მაღალ იდეალებზე საუბარს.**

თუმცა აქ კიდევ ერთი მომენტია მნიშვნელოვანი: ბევრისგან მსმენია, განსაკუთრებით „ქართულ დემოკრატიაზე გულდათუთქული“ ხალხისგან, რომ თურმე ჩვენი საზოგადოება ვერ გათავისუფლდა საბჭოთა წარსულისგან და ეს რაღაც საფრთხეებს ქმნის, სასაცილოა პირდაპირ. საბჭოთა კავშირი ველარ დაბრუნდება და, თუ ვინმე ფიქრობს, რომ პუტინს უნდა მისი აღდგენა, ზღაპარია. გიჟი კი არ არის პუტინი და მთლიანად რუსეთის ხელმძღვანელობა, მუქთად მოგაწოდოს ყველაფერი ხეტყით დაწყებული, ენერგორესურსებით დამთავრებული...

**— მაშინ საიდან მოდის და რას ეფუძნება ის პროპაგანდა, რომ თურმე რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეს ისევ წარსულში ექაჩება?**

— ეს, ალბათ, არის გარკვეული რიტორიკული ნაწილი იდეოლოგიური და პოლიტიკური დაპირისპირებისა, რომელიც, დიდი ხანია, რუსეთსა და დასავლეთს შორის მიმდინარეობს. ახლა **ის, რომ პუტინმა ადრე განაცხადა, საბჭოთა კავშირის დაშლა გასული საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყოო, სულ არ ნიშნავს, რომ ის საბჭოთა კავშირის აღდგენისკენ ისწრაფვის.**

რაც შეეხება ისევ საზოგადოებრივ განწყობებს, ნამდვილად არ მგონია საგანგაშო და შემაშფოთებელი ის ფაქტი, რომ უფროსი თაობის ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი მისტირის წარსულს. ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: **როცა ამდენი გაჭირვებულია ქვეყანაში, როცა ყოველი მეორე თუ მესამე ოჯახი სოციალურად დაუცველია და ადამიანები სანაგვე ურნებში ეძებენ საკვებს, ბუნებრივია, გარკვეული მონატრება წარსულისადმი ჩნდება.**

ისე, ვფიქრობ, ეს განწყობები დღეს უკვე ერთგვარ ნიჰილიზმსა და უიმედობაზე უფრო მიგვანიშნებს, ვიდრე უკმაყოფილებაზე, იმიტომ, რომ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს უკვე ეს უკმაყოფილებაც მობეზრდა. საერთოდ, ჩემი აზრით, ასეთი დაღლილი და ყველაფერზე ხელჩაქნეული, როგორც დღესაა, ჩვენი საზოგადოება იშვიათად ყოფილა...

**— არსებობს პერსპექტივა, რომ ახლო მომავალში ან თუნდაც შორეულში მეტ-ნაკლებად გამოსწორდეს ეს მდგომარეობა?**

— პერსპექტივა ყოველთვის არსებობს, მაგრამ **ნებისმიერ მდგომარეობას ქვეყანაში ყოველთვის ქმნის სახელმწიფო პოლიტიკა. თუ იქნება მართვის ისეთი მიდგომები და პრინციპები, რომლებიც მიზნად დაისახავს ფუნდამენტურ ცვლილებებს, მაშინ, რა თქმა უნდა, ახალი შესაძლებლობები გაჩნდება, თუმცა, კიდევ ვიმეორებ: ამას, პირველ რიგში, სჭირდება პოლიტიკური ნება. ახლა თუ მკითხავთ — გააჩნია თუ არა ამ ხელისუფლებას ასეთი ნებაო, ჯერჯერობით ამას ვერ ვხედავ.** ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: **დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური (და არა მხოლოდ პოლიტიკური) რეალობა განვითარებას ვერ უზრუნველყოფს. ეს არ არის ის სისტემა, რომელიც პროგრესსა და უკეთესობაზე იქნება ორიენტირებული, ეს არის რეალობა, რომელიც, განსხვავებით წინა ხელისუფლებებისგან, წინსვლისა და წარმატების ილუზიასაც ვერ ქმნის.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**აჩიკო თალაკვაძეს სპეცვიზიტით შტატებშიც უშვებენ, რათა აუხსნას ოლსონსა და მის მეგობრებს, რომ საქართველო რუსეთს კი არ ემონება, ისევ ამერიკას და ეს მონობა კვლავ ურყევი იქნება. ჰო, დასავლეთი ცალკე ირაკლი კობახიძეს „აკაჩავებს“: ისეთი საარჩევნო კანონი მიიღეთ, რომელიც ხელისუფლებას დაგაკარგვინებთო. ეს საშინაო საქმეებში ჩარევა არ არის? ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია და არ უნდა გავაპროტესტოთ? თუმცა მონას პროტესტის უფლება ვინ მისცა?!**

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ არ გვაძლევენ უფლებას, ერთი-ერთზე ვესაუბროთ ჩრდილოელ მეზობელს?!

**საქართველოს ხელისუფლებაზე ამერიკელი კონგრესმენების შეტევის ტალღა ახალ ფაზაში შევიდა. თუ აქამდე კონგრესმენები მხოლოდ წერილებით შემოიფარგლებოდნენ, ახლა საჯაროდ ლაპარაკობენ, რომ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთი მართავსო. წარმომადგენელთა პალატის წევრმა, კონგრესმენმა პიტ ოლსონმა ყოველგვარი შელამაზების გარეშე თქვა: „მე მაქვს კითხვა: რა აქვთ საერთო „სეზამის ქუჩის“ პერსონაჟ Oscar The Grouch-ს („უხასიათო ოსკარი“) და ქართველ ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილს? ორივე მარიონეტია და სახლს ანაგვიანებს. ვლადიმერ პუტინის მარიონეტი თავს დაესხა ამერიკელ ინვესტორს საქართველოში და ასევე შეუტია ადამიანის ძირითად უფლებებს...“**




**შუამავლების გარეშე ესაუბრა აზერბაიჯანი რუსეთს და ურთიერთობა მოაგვარა. ანალოგიური რამ მოხდა სომხეთის შემთხვევაშიც. საქართველო კი რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომლითაც რუსეთს ევაჭრებიან. ოღონდ აქ მთავარი არის ის, რომ რუსეთს ევაჭრებიან საქართველოს ტერიტორიით, ქართველი ხალხით და სულაც არ აინტერესებთ, ჩვენ ეთნიკური კონფლიქტი გვექნება, ეროვნული თუ, საერთოდ, ერთ დღეს გავწყდებით. ეს არის ფაქტი და მერე რა, რომ ამაზე ხმამაღლა არ ლაპარაკობენ**

ოლსონის გამოხდომაზე ივანიშვილის პასუხი უცნობია, თუმცა ოპოზიციამ კონგრესმენის განცხადება აიტაცა და ააფრიალა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ამერიკული მხარე მაქსიმალურად ცდილობს, ჩვენი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში არა მხოლოდ ჩაერიოს, არამედ მოგვიწოდებს, როდის და რომელი პარტიით შევცვალოთ ხელისუფლება. რა თქმა უნდა, ქართველ ხალხს ისინი აზრს არ ეკითხებიან, თვითონ როგორც მიაჩნიათ მართებულად, ისე წყვეტენ და ჩვენ მათი ნება-სურვილი უნდა აღვასრულოთ. ჰო, წინააღმდეგობის გაწევა მათთვის მიულებელია, როდის იყო, მონას წინააღმდეგობის უფლება ჰქონდა?!** და მონებად რომ მიგვიჩნევენ, ახლავე დაგისაბუთებთ.

ყველაზე დიდი ხმაური მას შემდეგ ატყდა, როცა **დავით ზალკანიანი** თავის რუს კოლეგა **სერგეი ლავროვს** დაუგეგმავად შეხვდა. ახლა უკვე ყველამ იცის, რომ ეს შეხვედრა არ იყო შეთანხმებული არც ამერიკასთან, არც ევროპასთან და, შესაბამისად, დასავლეთის წარმომადგენლები ამ შეხვედრაზე, უბრალოდ, არ იყვნენ, ამიტომ მათ არ აქვთ ინფორმაცია, რაზე ისაუბრა ორმა მინისტრმა, თუმცა საფუძვლიანი ეჭვი გაჩნდა, რომ მხარეები გარკვეულ შეთანხმებამდე მივიდნენ. სწორედ მაშინ გამოითქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ დავოსის ფორუმზე **გიორგი გახარია ვლადიმერ პუტინს** უნდა შეხვედროდა. ეს კი დასავლეთისთვის სიგნალი გამოდგა, სიგნალი იმისა, რომ **რეგიონში ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც მტრად ჰყავს რუსეთი გამოცხადებული, შესაძლოა, ხელიდან გამოსცლოდა და ქართულ მხარეს ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობა ზუსტად ისე მოეგვარებინა, როგორც სომხეთსა და აზერბაიჯანს.** ამიტომ გიორგი გახარია აიძულეს (ზუსტად რომ აიძულეს), დავოსის ფორუმზე გამოსვლისას უკანასკნელი სიტყვებით ელანძღა რუსეთი და ამით შეხვედრის შესაძლებლობა მომსპარიყო. მეტიც, გახარიას მოხსნისა თუ გადადგომის შესახებ დავოსის ფორუმამდე საქართველოში ძალიან ბევრს საუბრობდნენ, საბოლოო ჯამში კი, მივედით იქამდე, რომ გახარიას განცხადების შემდეგ, მის მოხსნა-გადადგომაზე სიტყვა ოპოზიციასაც კი აღარ დაუძრავს.

ამის შემდეგ იყო, პრეზიდენტს რომ წამოსცდა: ეგებ რუსული დელეგაცია ჩამოვიდეს საქართველოში ლავროვის ხელმძღვანელობითო და... დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ასეთ ამბავს მაშინაც არ ატეხდნენ პოლიტიკოსები და არასამთავრობოები, სალომე ზურაბიშვილს მათი გვარები რომ ჩამოეთვალა და გაბუნიასნაირად ეგინებინა. **რუსეთის დელეგაციის ჩამოსვლის შესაძლებლობა პოლიტიკოსებმა ხომ საკუთარი ოფისებიდან გააპროტესტეს; არასამთავრობოები კი პრეზიდენტს ადმინისტრაციაში მიუცვივდნენ: როგორ გაბედე და ეს როგორ თქვიო. არასამთავრობოების უმრავლესობა (თუ ყველა არა) გრანტებს სწორედ ევროპა-ამერიკიდან იღებს და საკმარისია, დასავლეთის ხელის ერთი აქნევა, რომ, პრეზიდენტის რეზიდენციას კი არა, ოჯახებში შემოგვივარდებიან სათითაოდ და იქ დაწვებიან, თუ დასჭირდებათ.**

მოდი პროცესს გვერდიდან შევხედოთ: **თუ ჩვენ არ გვაქვს უფლება, ვესაუბროთ რუსეთს პირისპირ და შუამავლების გარეშე, გამოდის, ეს ჩვენს ნაცვლად სხვამ უნდა გააკეთოს. ის „სხვა“ კი ან ამერიკაა, ან ევროპა. როგორ გგონიათ, ამის სურვილი და შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ, ამდენი წლის განმავლობაში ისინი ვერ მოახერხებდნენ, დრო გამოენახათ, შეთანხმებულიყვნენ, დამსხდარიყვნენ... რომელიმე შეხვედრაზე საქართველოზე რეალურად ემსჯელათ და არსებული პრობლემების მოგვარების გზების ძიება დაეწყოთ?**

მაგრამ არა, ბატონებო, არ ქნეს, არ გააკეთეს, რადგან ამის გაკეთება ხელს არ აძლევთ. სხვაგვარად, ვერ გვატარებენ ერთ წრეზე და ვერ „დაგვაბოლებენ“ იმით, რომ, ოდესმე ნატოში როცა შევალთ, გვეშველება, მაგრამ ეს ოდესმე თურმე უახლოეს 30 წელიწადში არ დადგება, მაგრამ არა უშავს, 30 წელი არ არის თურმე ბევრი პოლიტიკურად და მერე კი რაღაც იქნება. ახლა ის ვთქვათ, **ჩვენ რატომ არ გვტოვებენ პირისპირ რუსეთთან, ანუ რატომ არ გვაძლევენ უფლებას, ვესაუბროთ ჩრდილოელ მეზობელს ერთი-ერთზე? მიზეზი აქაც ძალიან მარტივია: შუამავლების გარეშე ესაუბრა აზერბაიჯანი რუსეთს და ურთიერთობა მოაგვარა. ანალოგიური რამ მოხდა სომხეთის შემთხვევაშიც; საქართველო კი დარჩა რეგიონში ერთადერთი ქვეყანა, რომლითაც რუსეთს ევაჭრებიან. ოღონდ აქ მთავარი ის არის, რომ რუსეთს ევაჭრებიან საქართველოს ტერიტორიით, ქართველი ხალხით და სულაც არ აინტერესებთ, ჩვენ ეთნიკური კონფლიქტი გვექნება, ეროვნული თუ, საერთოდ, ერთ დღეს გავწყდებით.**

ეს არის ფაქტი და მერე რა, რომ ხმამაღლა ამაზე არავინ არ საუბრობს. მაშინ ახსნას ვინმემ, რატომ არ გვაძლევენ რუსეთთან პირისპირ საუბრის უფლებას და როგორც კი ამის შესაძლებლობა გაჩნდება, მაშინვე ისეთი რამის გაკეთებას აიძულებენ ხელისუფლებას, რომ მაგიდასთან დასხდომის შანსი გამორიცხოს? სხვა ახსნა ამას არც აქვს და ვერც ექნება, რადგან სხვაგვარად, ამდენი წლის განმავლობაში ერთხელ მაინც შეეცდებოდნენ თუნდაც ამერიკელი და თუნდაც ევროპელი ლიდერები, ქართული და რუსული მხარე ერთ მაგიდასთან შუამავლების გარეშე დაესვათ. მათ კონფლიქტის მოგვარება ხელს არ აძლევთ, არ სურთ ნორმალური ურთიერთობა, რადგან ეკონომიკურად ისედაც რუსეთზე ჩამოკიდებული და დამოკიდებული საქართველო, კიდევ უფრო რომ მიეჯაჭვოს ჩრდილოელ მეზობელს და ამ მიჯაჭვულობით ეკონომიკაში მართლაც სერიოზული წინსვლა რომ მოხდეს, გამოვა, რომ დასავლეთი ათეული წლების განმავლობაში, უბრალოდ, მტრობდა ქართველ ერს და, დახმარების ხელის გაწვდის ნაცვლად, მის განვითარებას აფერხებდა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ქართველი მომხმარებელი (არ აქვს მნიშვნელობა, ყიდულობს საკვებ პროდუქციას თუ, უბრალოდ, სოფლის მეურნეობის ინვენტარს) უპირატესობას რუსულს ანიჭებს და არავინ არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ რუსული წარმოების პროდუქცია ხარისხიანია, თუმცა, როგორც კი საქმე იმაზე მიდგება, რომ ეს პროდუქცია შეღავათიანი ტარიფებით ან უფრო მარტივი გზით შემოვიდეს საქართველოში, საქმეში მაშინვე ერევა „კეთილმოსურნე და ჩვენი მეგობარი“ დასავლეთი და ამის შესაძლებლობას სპობს. **იგივე ენერგომატარებლები, რომლებიც საქართველოში სწორედ რუსეთიდან შემოდის, გაცილებით შეღავათიანი ტარიფით შეიძლება შემოვიდეს, მაგრამ არ გვინდა, ჩვენ ხომ ბევრი ფული გვაქვს და დიდი გადასახადი უნდა გადავიხადოთ. არ გვინდა რუსი ტურისტი, რომლის შემოუსვლელობამ საქართველოს ეკონომიკას მილიარდი დოლარი ერთ წელიწადში ამოაცალა; არ გვინდა იაფი ხორბალი, რომელიც უკვე 1 თებერვლიდან გაგვიძვირდა და სპეციალურ ფასს გადავიხდით, რადგან რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა არ გვაქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც კი ხორბლის მარაგი ამოგვეწურება და ახალ პარტიას შემოვიტანთ, პურ-პროდუქტებზე ფასები მოიმატებს. ის ფასები, რომლებიც ფრენების აკრძალვის შემდეგ ისედაც გაიზარდა. ეს ყველაფერი კი დასავლეთს არ აღელვებს, მონას ხომ პროტესტის უფლება არ აქვს?! და მონებად რომ გვთვლიან, მათი განცხადებებიდანაც ნათლად ჩანს.** აი, რუსეთის დუმის რომელიმე დეპუტატს რომ გაეკეთებინა განცხადება და ეთქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება ამერიკისა და ევროპის მარიონეტია, მათ მითითებებს ასრულებსო (რაც სრული სიმართლე იქნებოდა), წარმოგიდგენიათ, რას იზამდნენ ან პოლიტიკოსები, ან კიდევ არასამთავრობოები? იმ დეპუტატის სურათს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ყველა ბოძზე გამოაკრავდნენ, დასავლეთი შეშფოთდებოდა, **დონალდ ტრამპი** თავის გამოსვლაში აუცილებლად ახსენებდა ამ ამბავს და მას მხარს ევროპის რამდენიმე ლიდერიც აუბამდა. ახლა კი ვითომც არაფერი, ვიღაც ოლსონის განცხადებამ ისე მშვიდად ჩაიარა, თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო და ამაში უცნაური არაფერია. პირიქით — ამ განცხადების შესწავლა და განხილვა დაიწყეს და აგერ, **აჩიკო თალაკვაძეს სპეცვიზიტით შტატებშიც უშვებენ, რათა აუხსნას ოლსონსა და მის მეგობრებს, რომ საქართველო რუსეთს კი არ ემონება, ისევ ამერიკას და ეს მონობა კვლავ ურყევი იქნება. ჰო, დასავლეთი ცალკე ირაკლი კობახიძეს „აკაჩავებს“: ისეთი საარჩევნო კანონი მიიღეთ, რომელიც ხელისუფლებას დაგაკარგვინებთო. ეს საშინაო საქმეებში ჩარევა არ არის, ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია და არ უნდა გავაპროტესტოთ? მაგრამ მონას პროტესტის უფლება ვინ მისცა?!**

**გიორგი გახარია აიძულეს (ზუსტად რომ აიძულეს), დავოსის ფორუმზე გამოსვლისას უკანასკნელი სიტყვებით ელანძღა რუსეთი და ამით შეხვედრის შესაძლებლობა მომსპარიყო**

**ბესო ბარბაქაძე**

## მრგვალი მაგიდა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როცა ვამბობთ, რომ გვინდა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, მათაც უნდა გამოგვიწოდონ ხელი, კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგან. ჯერჯერობით მათგან მხოლოდ დეკლარაციები ისმის, ქმედება არ ჩანს. ანტირუსულ ძალებს საქართველოში ყველანაირი მხარდაჭერა აქვთ, რუსეთის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამომხატველი კი მაშინვე დევნის ობიექტი ხდება და ქომაგი არავინაა. საქმეში ჩაუხედავს შეიძლება შთაბეჭდილება შეექმნას, რომ რუსეთისთვის სულერთია, საქართველოში მის მიმართ როგორი განწყობები იქნება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მათს პასიურობაში ზოგიერთმა უზნეო და უნამუსო ქართველმაც შეიტანა „წვლილი“.**

# რა გვჭირს, რატომ გვჭირს და სად არის გამოსავალი

**30 იანვარს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის ოფისში არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ინიციატივით მრგვალი მაგიდის გარშემო შეიკრიბნენ სამოქალაქო აქტივისტები და ისაუბრეს, — რა გვჭირს, რატომ გვჭირს და რა გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას.**





**«რაც შეეხება ეკონომიკას, ვიტყვი, რომ, თუ საქართველოში ის არსებობს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს რუსეთის ბაზარი. მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ჩვენი ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი რუსეთიდან შემოსული ფულით ივსება, მაგრამ ამაზე საჯაროდ არ საუბრობენ, რადგან ჩვენს ხელისუფლებას აკრძალული აქვს პოზიტიურ კონტექსტში რუსეთის ხსენება»**

### „აქამდე რა გზითაც მოვდიოდით, იმ გზის გაგრძელება აღარ შეიძლება“

**ტარიელ გაგნიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე:**

— საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა გზაგასაყარს მაგონებს... რაღაც გზა გავიარეთ და ახლა მივედით იქ, სადაც უნდა შევჩერდეთ და ავირჩიოთ, რა მიმართულებით უნდა წავიდეთ. აქ მყოფნი დამეთანხმებიან, რომ აქამდე რა გზითაც მოვდიოდით, იმ გზის გაგრძელება აღარ შეიძლება. მოდი, ვისაუბროთ იმაზე, — რა გვჭირს, რა მოგვწონს და რა არ მოგვწონს. ალბათ, ვთანხმდებით, რომ დღევანდელ ყოფაში მოსაწონი ბევრი არაფერია, მაგრამ აუცილებლად ვთქვათ, რა უნდა გავაკეთოთ, საით უნდა წავიდეს ქვეყანა, რათა ნეგატივი, რომელიც მოსახლეობაში დაგროვდა, განიმუხტოს, ქვეყანამ ამოისუნთქოს და განვითარების სწორ გზას დაადგეს.



### „არაფერი არ გვეშველება, თუკი ერთმორწმუნე რუსეთთან ერთად არ დავგეგმავთ საქართველოს მომავალს“

**ბორის კაკაბაძე, ინჟინერი, სამოქალაქო აქტივისტი:**

— ჩვენ გვყავს ჭკვიანი ხალხი, მაგრამ მათ ნაცვლად ქვეყანას მართავენ რეალობას აცდენილი ადამიანები და საქართველო ციცაბო კლდეებზე დაჰყავთ, კლდეებზე, რომელზეც ჯერ არ გადავჩეხილვართ, მაგრამ გადავიჩეხებით. მსოფლიოს ბნელი ძალები ქართველებს დაღუპვისკენ გვიბიძგებენ. მათ ძალაუფლების დაკარგვა არ სურთ და ჩვენნაირ კეთილშობილ ერებს თავის სასარგებლოდ იყენებენ.

თერთმეტი წელიწადია, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ცდილობს, საზოგადოებამდე სწორი აზრი მიიტანოს, გვითხრას სიმართლე და რეალობას თვალებში ჩაგვახედოს, მაგრამ ერთი საინფორმაციო საშუალება, რომელიც პირუთვნელად აღწერს ჩვენი ქვეყნის ყოფას, საკმარისი არ არის.

უკვე ძალიან გვიანია ე.წ. ნეიტრალიტეტსა და მიუმხრობლობაზე საუბარი. გვჭირდება ახალი მიდგომები, ახალი იდეოლოგია და იმედია, ეს იდეოლოგია სწორად იქნება შემუშავებული. ჩვენ ერთმორწმუნე რუსეთთან ერთად უნდა დავგეგმოთ საქართველოს მომავალი.



### „ადამიანი იბადება იმისთვის, რომ ორიენტირებული იყოს წინსვლასა და განვითარებაზე, დღეს კი ყველაფერი მიმართულია იქით, რომ ადამიანი ცხოველის კვალზე წავიდეს“

**ტარიელ სუხიაშვილი, ინჟინერი, სამოქალაქო აქტივისტი:**

— საქართველოში იმაზე ცუდი ვითარებაა, ვიდრე ზედაპირზე ჩანს და ვიდრე ზოგიერთ ექსპერტსა და პოლიტოლოგს ჰგონია. სანამ ჩვენი საზოგადოება არ გაიგებს, რა გვჭირს დღეს, არაფერი არ გამოვა.

დღეს ჩვენთან არანორმალური ნორმალურად ითვლება, ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია. ადამიანი იბადება იმისთვის, რომ ორიენტირებული იყოს წინსვლასა და განვითარებაზე, დღეს კი ყველაფერი მიმართულია იქით, რომ ადამიანი ცხოველის კვალზე წავიდეს.

ჩვენს ქვეყანაში არსებულ ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურაში რომ მიხვიდეთ, იგრძნობთ, რომ ადამიანი არარაობაა, თანაც ეს ხდება კანონის ფარგლებში. ჩვენი მთავრობა უპასუხისმგებლოა. **ქვეყანა და ხელისუფლება იღებს კრედიტს, რომელსაც მოჰყვება ვალდებულება, თუ რა უნდა შეიძინოს ამ კრედიტით და იმ ვალდებულებაში წერია, რომ მხოლოდ მოხმარების საგნები უნდა შეიძინო. საინტერესოა, როგორ და რით უნდა გაისტუმრო აღებული კრედიტი?**

მსოფლიოს მედიასაშუალებები და მათ შორის ქართულიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საუბრობს იმაზე, რომ რუსეთი აგრესორია. ძალიან **საინტერესოა, შეძლებენ თუ არა დაასახელონ შემთხვევა, როდესაც რუსეთი რომელიმე ქვეყანას თავს დაესხა. ყველა ომი, რომელიც აქამდე რუსეთს გადაუტანია, მოიგო რუსეთმა, მაგრამ არც ერთ მათგანში ომის გამჩაღებელი არ ყოფილა, გამუდმებით მას ესხმოდნენ თავს. რუსეთი არის ქვეყანა, რომელიც კეთილი მეზობელია ყველასთვის, ვინც მის საზღვრებს საფრთხეს არ შეუქმნის. არც ერთი სახელმწიფო იმდენ დათმობაზე არ მიდის, რამდენზეც რუსეთი, ოღონდაც მის საზღვრებს ნუ შეეხები და საფრთხეს ნუ შეუქმნი...**

ნატო რა არის? მოდი, ამაზეც ვთქვათ: **ნატო არის აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ემსახურება იმპერიალისტების ვიწრო წრის ინტერესებს. არც ერთ ექსპერტსა და პოლიტოლოგს არ უჩნდება სურვილი, ამ თემაზე საჯაროდ ილაპარაკოს, მხოლოდ იმაზე საუბრობენ, რომ დაინგრა „ბოროტების იმპერია — საბჭოთა კავშირი“, ევროკავშირი კი სამოთხეა...**

**აუცილებელია, საზოგადოებამდე მივიდეს სწორი ინფორმაცია ყველაფერზე, მათ შორის, ევრაზიულ კავშირზეც...** ეს ყველაფერი საჭიროა იმისთვის, რათა ადამიანებს ერთმნიშვნელოვანი აზრი ჰქონდეთ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ხელისუფლებები გვატყუებენ.

ნაციონალები ძალისმიერი მეთოდებით მოქმედებდნენ, ახლა ეს ყველაფერი კანონიერმა ძარცვამ ჩაანაცვლა, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ უპოვარი იყოს საზოგადოება, რაც უცხოეთიდან თავსმოხვეული იდეოლოგიაა და ერთი მიზანი აქვს — გატეხოს ადამიანი, პროტესტის უნარი აღარ ჰქონდეს და ასეც მოხდა.

აუცილებელია შეიქმნას ძალა, რომელიც იქნება ამ წლების განმავლობაში არსებულის საპირწონე.

**ტარიელ გაგნიძე:**

— თქვენი გამოსვლის პასუხად გეტყვით: **რამდენიმე წლის წინათ ჩვენმა ორგანიზაციამ გამოსცა ორი წიგნი — „ნატო მაკიაჟის გარეშე“ და „ღმერთო, შეუნდე ამერიკას“, რომლებშიც ზუსტად არის აღწერილი ნატოს რეალური სახე, მიზნები და ქმედებები. უფრო ადრე კი, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში (ზოგიერთმა თქვენგანმა იცის ამის შესახებ) ერთი წლის განმავლობაში ორჯერ დაგვარბიეს, რომ იტყვიან, ქვა ქვაზე არ დაგვიტოვეს, დაპატიმრების მუდმივ შიშში გვამყოფებდნენ. და ეს იმიტომ, რომ ნატოს „სიკეთეები“ ეჭვქვეშ დავაყენეთ და რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აუცილებლობაზე ვთქვით.**

რამდენიმე დღის წინათ კი მქონდა ასეთი შემთხვევა: მოსკოვიდან დამიკავშირდნენ, მითხრეს, რომ მზადდებოდა წიგნი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სახელმწიფო მმართველობის ფორმებზე და მთხოვეს სამეცნიერო ხარისხის მქონე ავტორის მოძებნა, რომელიც აღწერდა საბჭოთა კავშირის შემდეგ საქართველოში სახელმწიფო მმართველობის ტრანსფორმაციას. დაახლოებით 40 გვერდამდე მოცულობის მასალა უნდა გაკეთებულიყო, იურიდიული ანალიზი, ყოველგვარი იდეოლოგიის, ვინმეს ქების ან ძაგების გარეშე. შევხვდი რამდენიმე ტიტულოვან იურისტს, მაგრამ, როგორც კი შეიტყვეს, რომ წიგნი რუსეთში გამოდიოდა, სხვადასხვა საბაბი მოიგონეს და უარი განაცხადეს. აბსურდული მიზეზები დაასახელეს... ეს ჩვენი ქვეყნის სამწუხარო რეალობაა და მას გვერდს ვერ ავუვლით.



### „იქ, სადაც სამართლიანობაა, ყველაფერი კარგად არის“

**მერაბ ზურაბაშვილი, ინჟინერი, სამოქალაქო აქტივისტი:**

— **კაცობრიობის უპირველესი პრობლემა კლასობრივი დაპირისპირებაა და ამაზე სულ არის საუბარი ბიბლიიდან მოყოლებული. საბჭოთა კავშირის დროს კი შეიქმნა სისტემა, რომელმაც ეს დაპირისპირება აღმოფხვრა, და ეს იყო სოციალისტური სისტემა. სანამ სტალინური ეკონომიკური პოლიტიკა ხორციელდებოდა, მშრომელის, გლეხის, უბრალო ხალხის საქმე წინ მიდიოდა, სტალინის დროს ხალხს ცხოვრება უხაროდა.**

1952 წელს ეკონომისტების შეკრება-დისკუსია გაიმართა. იმხანად იყო ეკონომისტი ვინმე იაროშჩენკო, რომლის ინიციატივების გაცნობის შემდეგ სტალინმა თქვა: „მიუტევებელი სიბრმავეა მომავალი კატასტროფის დაუნახაობა, თუკი პარტია დაადგება იმ გზას, რომელსაც ამხანაგი იაროშჩენკო გვირჩევს“. ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირი სწორედ იმ გზაზე დააყენა, რომელიც სტალინმა კატასტროფად შეაფასა, და სწორედ იმ გზამ საბჭოთა კავშირი დანგრევამდე მიიყვანა.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ სოციალიზმში არ გვიცხოვრია.

დიდი ქართველები მუდამ მსჯელობდნენ და ფიქრობდნენ კლასობრივი დაპირისპირების პრობლემაზე, მაგალითად, შოთა რუსთაველმა შიშსა და სამართლიანობაზე დაამყარა პრობლემის გადაჭრის გზა, მოგვიანებით ილია ჭავჭავაძემ უექსპლუატაციო შრომას გაუსვა ხაზი...

დღეს აუცილებელია და სასწრაფოდ მოსაძებნია თანამოაზრეები — ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სოციალური სამართლიანობაა სწორედ ის სისტემა, რომელიც ადამიანის კეთილდღეობაზეა მორგებული. **შესამუშავებელია მოქმედების გეგმა, როგორ შევქმნათ პოლიტიკური ძალა, რომელიც სამართლიანობის საფუძველზე, არჩევნების გზით მოვა ხელისუფლებაში და განახორციელებს უკვე შემუშავებულ გეგმას. ზუსტად უნდა ვიცოდეთ, ვინ დაგვიჭერს მხარს; ვფიქრობ, რომ ეს იქნება მშრომელ-** ▶

# „კაცობრიობის უპირველესი პრობლემა კლასობრივი დაპირისპირებაა და ამაზე სულ არის საუბარი, ბიბლიიდან მოყოლებული. საბჭოთა კავშირის დროს კი შეიქმნა სისტემა, რომელმაც ეს დაპირისპირება აღმოფხვრა, და ეს იყო სოციალისტური სისტემა. სანამ სტალინური ეკონომიკური პოლიტიკა ხორციელდებოდა, მშრომელის, გლეხის, უბრალო ხალხის საქმე წინ მიდიოდა. სტალინის დროს ხალხს ცხოვრება უხაროდა“

მრგვალი მაგიდა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





**◀ თა, მუშათა, გლეხთა ფენა. აქვე ვიტყვი, რომ ადამიანს ყველაზე მეტად საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს — არავინ არაფერს არ გაგიკეთებს, შენი ბედი თვითონ უნდა მართო, დაუდექი გვერდით შენნაირებს, იქეცი ძალად, ძალა და სამართლიანობა დააყენე ერთად.**

საქართველოში ყველაფერი ცუდად არის, — ვამბობთ ჩვენ, მაგრამ, თუ ასეა, რატომ ყველას ერთნაირად არ უჭირს? რატომ არიან მილიონერები და ღატაკები? ადამიანმა უნდა იშრომოს და თავისი შრომის საფასური უნდა მიიღოს! ეს არის სამართლიანობა. სხვაგვარად ღირსებას ვკარგავთ.

საქართველომ სასწრაფოდ უნდა შეცვალოს ე.წ. სტრატეგიული პარტნიორი, ჩვენ უნდა გავხდეთ რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი, სხვანაირად ფეხზე ვერ დავდგებით. ჩვენი ხსნის გზა სტალინური გზაა, სხვა არაფერი არ გადაგვარჩენს.



**„აუცილებელია, ახალი ძალის შექმნა, რომელიც სწორად მიაწვდის საზოგადოებას სათქმელსაც და საკეთებელსაც“**

**ვიქტორ ცაავა, ბლოგერი:**

— საქართველო ოკუპირებულია. ნებისმიერი სფერო, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებია ამ ქვეყანაში, ანექსირებულია უცხოელების მიერ.

არ შეიძლება ერს ტრადიცია ჰქონდეს, პატივს სცემდეს და საწინააღმდეგო მხარეს იყურებოდეს. მთავარი იყო, რომ ხელისუფლებას ლავირების უნარი ჰქონოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ აღმოჩნდა... **„ნატო-ნატოს“ ძახილი ჩვენი ქვეყნის უდიდესი შეცდომაა. არ შეიძლება ქვეყანამ საკუთარი თავი ფრონტის წინა ხაზზე დააყენოს, ვგულისხმობ, უპირველეს მტრად რუსეთის გამოცხადებას და ამის პარალელურად ნატოს რიგებში გაწევრებას...** ნატო რუსეთის მტერია და ასეთ დროს ჩვენს ტერიტორიაზე რუსული ჯარი დგას. ღმერთმა ნუ ქნას და... ნატოს წევრი რომც გავხდეთ, ჩვენი სამშობლო განწირულია. ჩვენგან დარჩება მხოლოდ სახელი — საქართველო. რაც შეეხება ეკონომიკას, ვიტყვი, რომ, თუ საქართველოში ის არსებობს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს რუსეთის ბაზარი. მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, **ჩვენი ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი რუსეთიდან შემოსული ფულით ივსება, მაგრამ ამაზე საჯაროდ არ საუბრობენ, რადგან ჩვენს ხელისუფლებას აკრძალული აქვს პოზიტიურ კონტექსტში რუსეთის ხსენება.** ყველა პროექტი, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის შეიძლება სასარგებლო იყოს, აღკვეთილია. აქვე ვიტყვი იმას, რომ განათლების სისტემა ნოლზეა დასული. **ქვეყანას არ ჰყავს კვალიფიციური ექიმი, ინჟინერი, მასწავლებელი... მსოფლიოში პირველები ვართ განათლების რეფორმების კუთხით, ყოველ წელიწადს იცვლება სწავლების წესი და არც ერთს დადებითი შედეგი არ აქვს. დავძენ იმასაც, რომ ქვეყანაში არ არის ობიექტური საინფორმაციო საშუალება, მხოლოდ პროპაგანდას ეწევიან. ერთადერთი გაზეთი „საქართველო და მსოფლიოა“, რომლის ფურცლებიდანაც შეიძლება სიმართლე შეიტყო.**

ვეთანხმები აქ გამომსვლელებს: აუცილებელია ახალი ძალის შექმნა, რომელიც სწორად მიაწვდის საზოგადოებას სათქმელსაც და საკეთებელსაც.

ქვეყანაში, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც უცხოეთიდან ფინანსდებიან, უფრო მეტი ძალა აქვთ, ვიდრე სამინისტროებს, რაზე უნდა ილაპარაკო?!

აუცილებელია, ვიმუშავოთ ახალგაზრდებთან, უნდა მივაწოდოთ მათ მართებული ინფორმაცია, ზუსტი ისტორია ჩვენი წარსულის შესახებ, უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ევროკავშირის, ნატოსა და ევრაზიული კავშირის შესახებ. მხოლოდ ახალგაზრდების ინფორმირებულობა და მათი სწორად განვითარება გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას.



**„ინდუსტრიალიზაციის გარეშე ვერც ერთი ქვეყანა წარმატებას ვერ მიაღწევს, ჩვენ ეს გვქონდა და ჯართში ჩავაბარეთ... ქვეყნები, რომლებმაც ინდუსტრია შეინარჩუნეს, მეტ-ნაკლებად წარმატებულნი არიან...“**

**გიორგი მდივანი, პროექტ „პოლიტიკანოს“ ავტორი, სამოქალაქო აქტივისტი:**

— ბოლო 30 წლის განმავლობაში ვხედავთ, როგორ ყალიბდება ქართველებისგან ტიპური, ნეოლიბერალური საექსპერიმენტო დასავლური კოლონია. ეს ხდება **შევარდნაძის** პერიოდიდან დღემდე.

პირველი, რამაც ჩვენს ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა, დეინდუსტრიალიზაციაა — მსხვილი საწარმოო ობიექტების გასხვისება ვითომ კერძო ინვესტორებზე. ინდუსტრიალიზაციის გარეშე ვერც ერთი ქვეყანა წარმატებას ვერ მიაღწევს. ჩვენ ეს გვქონდა და ჯართში ჩავაბარეთ. ქვეყნებმა, რომლებმაც ინდუსტრია შეინარჩუნეს, ყველა მეტ-ნაკლებად წარმატებულია.

აღმოჩნდა, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში რეკორდსმენები ვართ მოსახლეობის კლების მხრივ, რაც შემაშფოთებელია.

მნიშვნელოვანია სამხედრო საკითხი. არ ვისაუბრებ ნატოს შავბნელ საქმეებზე, მაგრამ ვიტყვი, რომ **საბჭოთა კავშირის შემდეგ, როგორც დასრულდა ვარშავის ხელშეკრულება, ისევე უნდა დასრულებულიყო ნატოც, რადგან ეს სამხედრო ბლოკი კომუნიზმის შესაკავებლად შეიქმნა.**

ნეიტრალიტეტის თემა თითქოს წარსულს ჩაბარდა, მაგრამ, თუკი ფინეთის მაგალითს განვიხილავთ, ეს რეალურია, რადგან ფინეთის მაგალითი ჩვენთვის კარგია და ფინეთთან შედარებით მეტი უპირატესობაც გვაქვს.

საქართველო, შესაძლოა, საბჭოთა კავშირის პერიოდში უფრო დამოუკიდებელი იყო, ვიდრე დღეს არის, რადგან აშშ-ის გარეშე ვერაფერს ვერ წყვეტენ. ჩვენ არ გვაქვს ე.წ. თავისუფალი ვაჭრობა, ხელშეკრულებები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნასთან გვაქვს დადებული, არის მარტივი, განვითარებადი, მესამე ქვეყნების სრული დამონებისთვის განკუთვნილი, რადგან ვაჭრობს ის, ვინც განვითარებულია. საქართველოდან გადის ნედლეული და აქ შემოდის მზა ნაწარმი. ვაჭრობით სარგებელი არ გვაქვს, პირიქით, ზარალში ვართ. საქართველოს არ აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი წარმოება.

საქართველო ვალდებულია, აიღოს წარმატებული ქვეყნების მაგალითი, არავის უსმინოს და ამ მაგალითებით დასკვნები გამოიტანოს და იმოქმედოს.

ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო სექტორი, სახელმწიფოს როლის დემონიზაცია ხდება, რაც ისევ გარედან მართვისთვის არის მასახერხებელი.

საქართველოს განათლების სისტემა სრულიად უპატრონოდაა. განათლების სისტემას გრძელვადიანი დაგეგმვა სჭირდება და შედეგიც ხანგრძლივი დროის შემდეგ, სულ ცოტა, 10 წლის შემდეგ შეიძლება ნახო. ვინ ფიქრობს დღეს საქართველოში, ათი კი არა, თუნდაც ორი-სამი წლის წინსწრებით? განათლების პრობლემა ძალიან სერიოზული პრობლემაა.

აქვე ვიტყვი, რომ **ქვეყანას არ ჰყავს ობიექტური მედია. ის სცდება თავის უფლებამოსილების ზღვარს და ინფორმაციულ ვაკუუმში გვამყოფებს, უფრო სწორად, ინფორმაციულ ტერორში...**

ჩვენი ქვეყნისთვის საჭიროა და აუცილებელიც ანტილიბერალური ძალების გაერთიანება, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი. მთავარია, იყვნენ ეკონომიკურად მემარცხენეები, კულტურულად კი — კონსერვატორები. ამას საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა გაიზიარებს.



**„საქართველო თავის ადგილს ვერ პოულობს“**

**გულბაათ რცხილაძე, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

— საქართველოს დეინდუსტრიალიზაციის ფონზე, მართლაც გვაქვს ეკონომიკური პრობლემები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში არსებული საწარმოები ნედლეულისა და ბაზრის გარეშე დარჩა. **დსთ-ში თავიდანვე რომ შევსულიყავით, შესაძლოა, რამე გამოგვსვლოდა, მაგრამ ჩვენ ამ გაერთიანებაში მას შემდეგ შევედით, როცა უკვე დიდი ომები და ტერიტორიების დაკარგვა გადავიტანეთ, ამიტომ დავჯერდით იმას, რასაც რუსეთი ან დასავლეთი მოგვიგდებდა.**

საქართველო თავის ადგილს ვერ პოულობს... ჩვენს ქვეყანას ვერ შევადარებ ბელარუსსაც კი, რადგან **ლუკაშენკომ** შეინარჩუნა ყველა ქარხანა, ფაბრიკა, მიუხედავად იმისა, რომ ბელარუსს არ აქვს წიაღისეული, მაგრამ ამ დანაკლისის შევსება რუსეთის ხარჯზე შეძლო.

საქართველოს ჰყავს დეგრადირებული საზოგადოება, რომელიც მხოლოდ სოციალურ ქსელშია მაგარი. დღეს საზოგადოების მანიპულირება ხდება ცნობიერებით; ხალხი, როგორც ცნება, წაშლილია. აქედან გამომდინარე, აღარ ვიცით, ვინ ვინ არის... ქვეყანას არ ჰყავს მუშა, გლეხი, ინტელიგენცია, რაც უკვე სერიოზული პრობლემაა, ანომალიაა. პირადად მე მინდა, რომ ლუკაშენკოს ტიპის მმართველი გვყავდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველი მმართველები და მათ შორის, ივანიშვილიც ამისგან ძალიან შორსაა.

საქართველო ასეთ ჭაობში რომ არის, დამნაშავე თვითონვე ვართ, რუსოფობიას რომ ავყევით და ლამის სახელმწიფო რელიგიად გამოვაცხადეთ. გაიხსენეთ, რა წერია დამოუკიდებლობის აქტის პრეამბულაში: რომ რუსეთი მტერია და რომ 200 წელიწადი რუსეთს ვყავდით დამონებულები.

2001 წელს ნეიტრალიტეტის თემაზე ბათუმში გვქონდა შეხვედრა, რომელსაც საკმაოდ მნიშვნელოვანი, ასე ვთქვათ, სერიოზული ფიგურები ესწრებოდნენ. ამის შემდეგ, 2007 წელს რუსეთის ელჩმა **კოვალენკომ** თქვა, ნეიტრალიტეტის საკითხი განვიხილოთო, მაგრამ მაშინდელმა უშიშროების საბჭოს მდივანმა **კოტე კემულარიამ** ეს საკითხი იქვე დახურა; განაცხადა, რომ ჩვენი არჩევანი ნატოა. და **რა მოგვიტანა ამ ნატომ?**

დღეს საქართველო უნდა შევიდეს კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების ორგანიზაციაში. საქართველო იქნება დაცული საგარეო საფრთხეებისგან და გვექნება ბერკეტები იმისთვის, რომ პროგრესს მივაღწიოთ სახელმწიფოებრივი საკითხების მოგვარებაში, მათ შორის, ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა, აქაც გარკვეული სკეპტიციზმით ვარ განმსჭვალული, თანამედროვე რუსეთი ძალიან შორს არის იმ რუსეთისგან, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს იყო, ამიტომ ილუზიებში ნუ ვიქნებით.

ქვეყანას სჭირდება სახელმწიფოებრივად და სტრატეგიულად მოაზროვნე ხალხი, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე ასეთ ადამიანებს და ასეთ ხალხს ვერ ვხედავ.

კერძო საკითხად ვიტყვი, რომ ვაპირებ კარასინის ინიციატივის განხორციელებას, რომელიც ითქვა, მაგრამ გაგრძელება არ მოჰყოლია. მჩუქნიან 150 საუკეთესო წიგნს რუსეთის ისტორიაზე, მეც დავამატებ რამდენიმეს და თვითონ გავხსნი რუსული კულტურის ცენტრს.

**მერაბ ზურაბაშვილი:**

— ჩვენ, რა თქმა უნდა, ჯერ არ ვართ გადაწყვეტილებების მიმღებნი, მაგრამ უნდა ვიქცეთ ძალად, თანამოაზრეები უნდა მოვძებნოთ და გადაწყვეტილებებსაც მივიღებთ.

**გულბაათ რცხილაძე:**

— ამ გაზეთს, „საქართველო და მსოფლიოს“, აქვს ძალა. ის აკეთებდა და აკეთებს თავის საქმეს. რესურსები, ალბათ, არ არის საკმარისი, მაგრამ შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს აკეთებს.

**ტარიელ გაგნიძე:**

— სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის გულშემატკივრები ვართ და არა გადაწყვეტილების მიმღებნი. აქ ვისაუბრეთ იმაზე, რომ რუსეთთან ურთიერთობები უნდა მოვაგვაროთ, მაგრამ ურთიერთობა ორმხრივობას გულისხმობს. **როცა ვამბობთ, რომ გვინდა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, მათაც უნდა გამოგვიწოდონ ხელი, კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგან. ჯერჯერობით მათგან მხოლოდ დეკლარაციები ისმის, ქმედება არ ჩანს. ანტირუსულ ძალებს საქართველოში ყველანაირი მხარდაჭერა აქვთ, რუსეთის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამომხატველი კი მაშინვე დევნის ობიექტი ხდება და ქომაგი არავინაა. საქმეში ჩაუხედავს შეიძლება შთაბეჭდილება შეექმნას, რომ რუსეთისთვის სულერთია, საქართველოში მის მიმართ როგორი განწყობები იქნება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მათ პასიურობაში ზოგიერთმა ქართველმაც შეიტანა „წვლილი“.**

* * *

დიდი მადლობა ყველას მობრძანებისთვის. დღევანდელმა დისკუსიამ ნათლად დაგვანახვა, რომ ვითარება მკვერთად არის შეცვლილი თუნდაც ბოლო ორი წლის მანძილზე. ქვეყანა მიმდგარია ზღვარზე, როცა სტრატეგიული არჩევანის გაკეთება მოგვიწევს.

სტრატეგიული არჩევანი გულისხმობს ქვეყნის პოლიტიკური კურსის, ქვეყნის მთლიანი სტრატეგიის შეცვლას. 30 წლის მანძილზე ამერიკისა და ნატოს დირექტივების მიყოლამ ჩიხში მოგვაქცია, ამიტომ ალტერნატივაზე უნდა ვიფიქროთ. უმნიშვნელოვანესი საკითხები დაგვიდგება მთელი სიმწვავით უახლოეს მომავალში, რომლებიც ახალი, მრავალპოლარული მსოფლიოს პირობებში გვექნება გადასაწყვეტი.

აქვე ვიტყვი იმასაც, რომ მთავრობა საერთოდ აღარ ახსენებს დაკარგულ ტერიტორიებს, თუკი რაიმე პროვოცირება არ მოხდა და მაშინაც სისულელეებს ლაპარაკობენ.

კარგია, რომ დღეს შევიკრიბეთ, ვიმსჯელეთ. ბუნებრივია, შედეგამდე ვერ მივიდოდით, მაგრამ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ არიან ჩვენს ქვეყანაში ადამიანები თქვენი სახით, რომლებიც ქვეყნისა და ხალხის ბედ-იღბალზე წუხან.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ავე მჳსაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„ქართული ოცნებისთვის“ დედა არ მიგინებია (პუბლიცისტიკაში ბილწსიტყვაობა „არ მოსულა“, თორემ ეგებ მეგინებინა კიდეც), თორემ ყველა შესაძლო შეურაცხმყოფელი ეპითეტით შემიმკია, მაგრამ ის, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 9 წლის განმავლობაში საქართველოს დამართა (ჩამოთვლას არ დავიწყებ, რადგან იმედი მაქვს, საქართველოს მოსახლეობას კოლექტიური ამნეზია არ შეჰყრია და, ვისაც უნდა, რომ ახსოვდეს, ყველაფერი ახსოვს), საშინელებათა ფილმებშიც კი არ მინახავს და „ქართული ოცნებისა“ და ნაცების რა შედარებაზეა ლაპარაკი?!

# სად იყავით, სად იყავით მაშინ?!

## თავხედობავ, გაერთიანებული ოპოზიცია უნდა გერქვას შენ!

**ვინმე ინტრიგანმა წინამდებარე წერილი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერად, მით უმეტეს, მის დასაცავად შეკვეთილად რომ არ ჩამითვალოს, ამთავითვე ადრე ათასჯერ თქმულს ათას მეერთედ გავიმეორებ: „ქართული ოცნება“, რომლის გახელისუფლებაში (თუ ასე თქმა უპრიანია) მრავალ ათას ქართველთან ერთად თქვენს მონა-მორჩილსაც მიმიძღვის მცირე წვლილი (ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოჩენამდე კაი ხნით ადრე ნაცებს ჩემგან მწვავე კრიტიკული სტატიები არ მოჰკლებიათ, რაც, ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, იმ 9-წლიანი სისხლიანი ტერორის ვითარებაში „ცეცხლთან თამაში“ იყო), გასული წლების განმავლობაში ნელ-ნელა ისე „გაბანძდა და გაფარჩაკდა“, ისე შეურაცხყოფილი და იმედგაცრუებულია მათი ქმედება-უმოქმედობით ქართველი საზოგადოების უმრავლესობა, რომ „ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მასზე რაიმე პოზიტივის პოვნა თითქმის შეუძლებელია და, აქედან გამომდინარე, უუნარო, უნამუსო, ღორმუცელა, თავხედი და ა.შ. სხვა შესაძლებელ-შეუძლებელი შეურაცხმყოფელი ეპითეტებით მისი წევრების „შემკობა“ სამართლიანი და ლეგიტიმურია.**



**ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე, პრაქტიკულად, ღია ტექსტით ბრძანებენ კოლექტიური ძია სემები, რომ საქართველოში ხელისუფლება უნდა შეიცვალოს ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის იმ პარტიებით, რომლებსაც ოდნავ მაინც ესინჯებათ რეიტინგული პულსი — ნაცებით, ევრონაცებით, „გირჩით“, რესპუბლიკელებითა და, შესაძლოა, პრაქტიკულად, განაცებული ლეიბორისტებით, ანუ კოალიციით, რომლის შემადგენელი სუბიექტები სხვადასხვა დასახელების, მაგრამ ერთი ნეოლიბერასტული იდეოლოგიის პარტიები არიან, რაც საბოლოო ჯამში, მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ნაციონალების ხავერდოვან კონტრრევოლუციას, ნაცების ხელისუფლების რესტავრაციას ნიშნავს**

ნათქვამია, „თავის ქება კიტრადა ღირს, კიტრი — ორი შაურიო“...

ჰოდა, წერილის დასაწყისში ნაციონალების დამარცხების საშვილიშვილო საქმეში თქვენი მონა-მორჩილის მიერ საზოგადოების წინაშე „საქმეთა საგმირონის“ განსაკუთრებულად აღნიშვნა იაფფასიანი ტრაბახ-ყელყელაობა კი არ არის, იმის ხაზგასმის მცდელობა, რომ, ქვემოთ რაზეც და ვისზეც მომიწევს, რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკული საუბარი, ამის მორალური უფლება, ვფიქრობ, რომ მაქვს, რადგან სიმართლისთვის, საკუთარი პრინციპებისა და სხვა „სულელური ახირებების“ ერთგულების გამო საკუთარი სისხლი და ხორცი, ოჯახის წევრებიც კი არ დამიზოგავს (რის გახსენებაც სულაც არ მსიამოვნებს) და არა ისე, როგორც ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის 2-3-კაციანი და, შესაბამისად, ასევე მარად 2-3%-იანი რეიტინგის მქონე პარტიები და მათი წევრები იქცევიან, როცა ნავიდან ნავში, ხიდან ხეზე ხტებიან, მიხოხავენ, მიცოცავენ. ოპოზიციონერობა პროფესიად, შემოსავლიან ბიზნესად აქციეს. ფეშენებელურ ვილებში ცხოვრობენ და შავი ჯიპებით დაგრიალებენ და... **ჰოი, თავხედობავ, გაერთიანებული ოპოზიცია უნდა გერქვას შენ!**

ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკს ბედავენ ეს უტიფრები და, ჰოი, საკვირველებავ, შიგადაშიგ პარლამენტში შეძრომასაც ახერხებენ; თუ არადა, სარფიანი ოპოზიციონერობა ხომ ხელში უჭირავთ ლეიბორისტების უცვლელი თამადობით ხან ვის და ხან ვის. ახლაც, ე.წ. პროპორციული არჩევნები, უწინარესად, იმიტომ სურთ 30-მდე პარტიის გაერთიანებას, რათა ნულოვანი ბარიერის შემთხვევაში პარლამენტში მოხვედრის შანსი ვინმე **მაჭუტაძესაც** ჰქონდეს. „ვინმეს“ იმიტომ ვამბობ, რომ ქუჩაში გამოკითხვა რომ ჩავატაროთ, გამოკითხული 100, გნებავთ — 1000 კაციდან ვინმეს ეცოდინება მისი ვინაობა, თუ იმ გამოკითხულთა შორის თვითონ მაჭუტაძე არ აღმოჩნდა შემთხვევით?

ისე, რას გადავეკიდე საწყალ მაჭუტაძეს, ანალოგიურის თქმა, ერთი-ორის გამოკლებით, ხომ გაერთიანებული ოპოზიციის ყველა პარტიაზე შეიძლება?!

მაჭუტაძეზე ნაკლები ვითომ რით არის აბსოლუტურად ურეიტინგო **გიორგი ვაშაძე?!** ან **შალვა ნათელაშვილის** უკვდავი „დაუნ ვი დიქტეიტე“ რად ღირს, ან **თაკო ჩარკვიანის** პარტიის „რეიტინგული პულსი“?!

ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის პარტიების მეორე ნომრები კი არა, პარტიათა ზუსტი რაოდენობა და, შესაბამისად, მათი ლიდერების ვინაობა, ვეჭვობ, ბევრმა არც იცოდეს. ზემოთ აღვნიშნე, „ქართული ოცნების“ ქმედება-უმოქმედობაში პოზიტივის პოვნა თითქმის შეუძლებელიამეთქი, რაც, „თითქმის“ იმას ნიშნავს, რომ სურვილისა და გონების არცთუ ძლიერად დაძაბვის შემთხვევაში პოზიტივის (და ეს რბილად არის ნათქვამი) გახსენება შეიძლება...

ამას წინათ ქალბატონ **ნინო ბურჯანაძეს** (გაერთიანებული ოპოზიციიდან ერთ-ერთს, ვისაც ასე თუ ისე „რეიტინგული პულსი“ ესინჯება), ვფიქრობ, რბილად რომ ვთქვათ, ზედმეტი მოუვიდა, როცა განაცხადა (ციტირებაზე თავს ვერ დავდებ): „ქართულ ოცნებას“ იმის მორალური უფლებაც აღარ აქვს, რომ თქვას, მისი ხელისუფლება ნაცებისას რაიმეთი ჯობია. ჩემი და „ქართული ოცნების“ გზები საბოლოოდ დიდი ხნის წინათ (საყდრისის აფეთქების შემდეგ) გაიყარა და მას შემდეგ თუ ვინმე აკრიტიკებს „ქართულ ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილს, მათ შორის, პირველი თუ არა, ბოლო ნამდვილად არ ვარ, ამიტომ მათ ადვოკატად ვერ გამოვდგები, მაგრამ მავანთაგან განსხვავებით ჯერჯერობით სკლეროზს არ ვუჩივი და თავს ნებას მივცემ, სისხლიანი 26 მაისის მთავარ აქტორს არ დავეთანხმო.

„ქართული ოცნებისთვის“ დედა არ მიგინებია (პუბლიცისტიკაში ბილწსიტყვაობა „არ მოსულა“, თორემ ეგებ მეგინებინა კიდეც), თორემ ყველა შესაძლო შეურაცხმყოფელი ეპითეტით შემიმკია, მაგრამ ის, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 9 წლის განმავლობაში საქართველოს დამართა (ჩამოთვლას არ დავიწყებ, რადგან იმედი მაქვს, საქართველოს მოსახლეობას კოლექტიური ამნეზია არ შეჰყრია და, ვისაც უნდა, რომ ახსოვდეს, ყველაფერი ახსოვს), საშინელებათა ფილმებშიც კი არ მინახავს და „ქართული ოცნებისა“ და ნაცების რა შედარებაზეა ლაპარაკი?! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ციხეებში პატიმრებს წამებაში არ ხდიან სულს და ქუჩებში ახალგაზრდებს არ ხვრეტენ, თუნდაც მხოლოდ ამიტომ ვერავინ და ვერაფერი მათქმევინებს, რომ ნაცი და ქოცი ერთი ბედენაა. მით უმეტეს იმას ვერ ვიტყვი, რომ მიშას მმართველობის პერიოდი სჯობდა დღევანდელს.

**არადა, სწორედ აქეთ მიჰყავთ საქმე ჩვენს ამერიკელ თუ ევროპელ „მეგობრებს“, რომლებიც გრაფომანებად ქცეულან და საქართველოში დემოკრატიის ნაკლებობის შესახებ წერილს წერილზე უგზავნიან შიშისგან აცახცახებულ საქართველოს ხელისუფლებას. ამიტომ ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე, პრაქტიკულად, ღია ტექსტით ბრძანებენ კოლექტიური ძია სემები, რომ საქართველოში ხელისუფლება უნდა შეიცვალოს ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის იმ პარტიებით, რომლებსაც ოდნავ მაინც ესინჯებათ რეიტინგული პულსი — ნაცებით, ევრონაცებით, „გირჩით“, რესპუბლიკელებითა და, შესაძლოა, პრაქტიკულად, განაცებული ლეიბორისტებით, ანუ კოალიციით, რომლის შემადგენელი სუბიექტები სხვადასხვა დასახელების, მაგრამ ერთი ნეოლიბერასტული იდეოლოგიის პარტიები არიან, რაც საბოლოო ჯამში, მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ნაციონალების ხავერდოვან კონტრრევოლუციას, ნაცების ხელისუფლების რესტავრაციას ნიშნავს.**

ეს ყველაფერი კი „აი-არ-აი“-„ენ-დი-აი“-ს კვლევების, პლუს კაპიტან ეკა გიგაურისა და ეფრეიტორ ნინო ლომჯარიას, ანუ არასამთავრობო სექტორის აქტიური ქმედების ბრალიც იქნება, რომლებიც, როდესაც საქართველო საკუთარ სისხლსა და ცრემლში იხრჩობოდა, „დემოკრატიულად“ დუმდნენ!

ამასობაში, როგორც იქნა, საქართველოში ამერიკის ელჩი ჩამობრძანდა, რომელმაც ვეჭვობ, ზემოთ დახატული სავალალო სურათი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების სასარგებლოდ შეცვალოს, რომლებმაც უმძიმესი ვითარების გასაუმჯობესებლად ე.წ. ვაზელინის მეთოდი აირჩიეს და აშშ-ის კონგრესსა და სენატში დელეგაცია მიავლინეს, — თქვენგან კრიტიკული წერილების მდინარეები იმიტომ წამოვიდა, რომ ნაცებისგან მოწოდებულ ცრუ ინფორმაციას დაეყრდენით, ახლა ზალკანიანი ჩამოგიტანთ სიმართლეს და წერილების ნაკადიც შეწყდებაო. დაახლოებით ამ შინაარსის კომენტარებს აკეთებენ ქოცნებისტები, რაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! **ილიკო ჩიგოგიძის ნათქვამის პერიფრაზით: თქვე აბდლებო (ქოცებო), დედამიწის გულში რაია, ის იციან ამერიკელებმა და ქოცებს რა უდევთ გულში ზალკანიანის გარეშე არ ეცოდინებათ?**

ისე, რატომ არავინ სვამს კითხვას — რომელი ნაციც უნდა დაიჭირონ, ეგრევე პოლიტპატიმრად რომ აცხადებენ, სად იყვნენ მაშინ, როდესაც საქართველოს ციხეები მართლაც სავსე იყო პოლიტპატიმრებით?

პარლამენტის შტურმით აღების მცდელობის აღკვეთისას არაპროპორციული ძალა გამოიყენეთო, სად იყავით მაშინ, როდესაც 2007 წლის 7 ნოემბერს სასტიკად დაარბიეს მშვიდობიანი მომიტინგენი, ანდა როდესაც 2011 წლის 26 მაისს გვამებს სახურავებზე აწყობდნენ, სად იყავით მაშინ, ადამიანის უფლებების დამცველო ტრუბადურებო?

მოკლედ, იმდენი „სად იყავით მაშინ“ შეიძლება გავიხსენოთ, რომ ადეკვატური, თავმოყვარე ხელისუფლება ვაზელინით სავსე ჩემოდნით კი არ წავიდოდა ამერიკელ თუ ევროპელ „მეგობრებთან“, არამედ დასავლეთს შეახსენებდა, რომ მეგობრობა, ცალ კარში თამაში კი არა, ორმხრივი პროცესია და, სტრატეგიული მოკავშირეობის გადახედვით რომ გვემუქრებიან, ჩვენ თვითონ ვიფიქრებდით სტრატეგიული მოკავშირის, ანუ ქვეყნის საგარეო კურსის შეცვლაზე.

საით? — ჩემი აზრით, რუსეთის მიმართულებას ალტერნატივა არ აქვს!

**დავით მხეიძე**

**P.S. დასასრულ, ერთ, ჩემი აზრით, რიტორიკულ კითხვას დავსვამ: 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების წინ, ვთქვათ, 30 სექტემბერს რომ გცოდნოდათ, დღეს ისეთ ქვეყანაში იცხოვრებდით, როგორშიც ცხოვრობთ (ეკონომიკურ-სოციალურ გაჭირვებას ვგულისხმობ), მეორე დღეს, 1 ოქტომბერს, საარჩევნო ყუთთან მიშას მისცემდით ხმას თუ ბიძინას? თუ ეს კითხვა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის რიტორიკული არ არის (ანუ, პასუხი — მაინც ბიძინას), მაშინ დავღუპულვართ და ეგ არის...**

**ნომერ პირველი ამოცანა მიხეილ სააკაშვილის, მისი „ნაციონალური მოძრაობის“, მისგან ასხლეტილი „ევროპული საქართველოებისა“ და მათგან მოსყიდული „გაერთიანებული ოპოზიციის“ ხელისუფლებაში არმიშვებაა. ამას, რა თქმა უნდა, ძალიან ეფექტურად იყენებს სათავისოდ ბიძინა ივანიშვილი და სწორედ ამიტომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოშორება ნომერ მეორე ამოცანად ყალიბდება და არა ნომერ პირველად... მაგრამ სხვა გზა არ არის და რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ — შექმნილ ვითარებაში მართლაც არ არსებობენ სხვა ძალა და სხვა პიროვნება, რომლებიც ნომერ პირველი ამოცანის შესრულების გარანტიას მოგვცემდნენ.**



ბაჩო სვანიძის
საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მერე რა, რომ ნაცია?!

## ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა ძალიან მიგვაჩვევინეს ყური ამდაგვარ განცხადებებს

**თავის დროზე, მაშინ, როცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ უკლებლივ ყველა ლიდერს სამართლებრივად უნდა ეგო პასუხი ჩადენილი დანაშაულებისთვის, ახალმა ხელისუფლებამ ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ კოაბიტაცია გამოაცხადა. ეს იყო ადამიანების მწამებელ მანიაკებთან „თანაცხოვრების“ პირველი ტალღა და ჩვენ იმის მომსწრენიც შევიქენით, რომ გარკვეულმა პოლიტიკურმა ლიდერებმა სცადეს, ესეც ქართველი ხალხისთვის დაებრალებინათ. ყველას კარგად გემახსოვრებათ, მაგალითად, იმჟამინდელი პარლამენტარის, შემდგომ საქართველოს პირველი ქალი თავდაცვის მინისტრის განცხადება: „კოაბიტაცია ჩვენ ქართველმა ხალხმა დაგვიკვეთა და დაგვავალა“.**





ალეკო ელისაშვილი:

### ეგ ლევან ხაბეიშვილი არის ძალიან მაგარი ბიჭი! მერე რა, რომ ნაცია?!

მიუხედავად იმისა, რომ არც მე და არც ჩემ გარშემო ვინმეს არავისთვის მსგავსი არაფერი დაგვიკვეთავს და დაგვივალებია, „ენ-დი-აი“-სა და „აი-არ-აი“-ს კვლევებისა არ იყოს, ხალხს მაინც მოგვაწერეს ის, რაც არც კი დაგვსიზმრებია — თურმე ძალიან გვინდოდა ნაციონალებთან ჩახუტება და მათთან ერთად „გასაოცარი დემოკრატიის ქვეყნის შენება“.

კარგი, ეგ ამბავი მოვინელეთ და ეგ ეტაპი გავიარეთ, მაგრამ იმას, რაც ახლა ხდება, ალბათ, ყველაზე გაბედული პოლიტიკური პროგნოზების კეთების მოყვარული ადამიანებიც კი ვერ წარმოიდგენდნენ.

ბოლო მაგალითით დავიწყოთ:

**„ეგ ლევან ხაბეიშვილი არის ძალიან მაგარი ბიჭი! მერე რა, რომ ნაცია?!“** — განაცხადა პირდაპირ ეთერში **ალეკო ელისაშვილმა.** ეს ამბავი გასულ კვირაში მოხდა, მაგრამ, საზოგადოდ, ბოლო წელია, ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა ძალიან მიგვაჩვევინეს ყური ამდაგვარ განცხადებებს.

ძლიერთაგან მხოლოდ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ და კიდევ ორიოდე არც ისე ძლიერი და წარმომადგენლობითი პარტია დარჩა მხოლოდ საქართველოში, რომლებსაც ფორმულა „მერე რა, რომ ნაცია?!“ არ წარმოუთქვამთ ტელეეთერში ან არ განუხორციელებიათ.

სასტიკ, მანიაკურ რეჟიმთან თავგანწირულად მებრძოლი ქართველი ხალხის თვალებიდან, ალბათ, არასოდეს ამოვა რამდენიმე თვის წინათ რუსთაველის გამზირზე „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებთან ერთად „პოდრუჩკით“ მიმავალი **ეკა ბესელია** და **ნინო ბურჯანაძე,** რომ აღარაფერი ვთქვათ **კახა კუკავაზე, დავით უსუფაშვილზე, გუბაზ სანიკიძესა** და სხვებზე, ან კიდევ **დავით კეზერაშვილის** ტელევიზიაში წამოსკუპებულ **გიორგი თარგამაძეზე...**

არა, რა თქმა უნდა, საუბარი არ არის იმაზე, რომ თითქოს ვინმეს პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის გამოხატვას ვუკრძალავდეთ. ვისაც უნდა, პირდაპირ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გახდეს, არ არის პრობლემა.

**გასაგებია მათი განცხადებებიც, რომ აქაოდა, პოლიტიკური სპექტრის გაერთიანება თუ არ მოხდება, ისე ურჩხულ ბიძინა ივანიშვილს ვერ დავამარცხებთო... კარგი, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ისინი ხომ, ძირითადად, ის ადამიანები არიან, რომლებიც „ოცნებასა“ და ივანიშვილს სწორედ ნაცებთან კოაბიტაციის გამო შემოსწყრნენ?!**

აკი, ხალხის თვალში, ხალხის გასაგონად მათი მთავარი არგუმენტი „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ სწორედ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოაბიტაცია იყო?!

**ეს როგორ?! ივანიშვილს ნაცებთან კოაბიტაციის გამო უქადი „პოლიტიკურ გილიოტინას“ და თან, როცა გინდა, ხაბეიშვილზე ან ვინმე სხვაზე ამბობ: მერე რა, რომ ნაციაო?!**

ზუსტად ვიცი, ვინმე ჩასაფრებული „ოპოზიციონერი“, რომელიც თავგადაკლული ამტკიცებს, რომ ნაცი არ არის და სინამდვილეში 100 პროცენტით ნაცურ საქმეს აკეთებს, ნიშნის მოგებით მეტყვის: თუ ასეა, მაშინ პირიქით რატომ არ ამბობ? რატომ „ქართულ ოცნებასა“ და ბიძინა ივანიშვილს არ სდებ ბრალს ანალოგიურ ქმედებაში? განა „ოცნებაც“ იმავეს არ შვრება? თვითონ ეხუტება ყოფილ ნაცებს და თან ოპოზიციას შენიშვნას აძლევს: ნაცების გვერდით რატომ დგახარო. რა, ასე არ არისო? — მეტყვიან ისინი.

ვუპასუხებ: კი, ასეა! არც არასოდეს მითქვამს და დამიწერია სხვანაირად. მუდამ სწორედ იმას ვწერ, რომ ჩემი ქვეყნის უმთავრესი უბედურება ეს ორმაგი სტანდარტებია! **კი, ბატონო. თქვენ, ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია, რომელიც სინამდვილეში ნაცებთან ხართ გაერთიანებული, მართლაც გაჭრილი ვაშლივით ჰგავხართ „ქართულ ოცნებასთან“ გაერთიანებულ ნაცებს. შემდეგ კი ერთმანეთს უნამუსოდ საყვედურობთ, უტიფრად უყენებთ ბრალდებებს ნაცებთან კავშირის გამო, მაშინ, როდესაც საკუთარი ვიწრო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ორივე მშვენივრად კადრულობთ ნაცებთან ჩახუტებასა და სიამტკბილობას. აი, სწორედ ეს არის მთავარი უბედურება ამ ბედკრული ქვეყნის.**

სამართლიანობისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ, თუკი ადრე „ოცნება“ მეტად იყო ნაცებთან ჩახუტებული, ახლა უკვე ოპოზიციად წოდებულმა პარტიებმა მას ამაშიც აჯობეს. ძირითადი ამბავი არის ის, რომ „ქართული ოცნება“, ასე ვთქვათ, „გადაიბირებს“ და თავის წიაღში ჩაკარგავს ხოლმე გამორჩენილ ნაცებს. ესეც, რა თქმა უნდა, უზნეო საქციელია, მაგრამ **გაცილებით დიდი სირცხვილი და უზნეობა მგონია, როდესაც ესა თუ ის პარტია იქით იკარგება — ნაცების წიაღში და აშკარად მიშა სააკაშვილის დღის წესრიგით იწყებს მოქმედებასა და თუ ლაპარაკს.**

„ოცნება“ გარკვეულ პასუხისმგებლობას მაინც გრძნობს ამ მახინჯი კოაბიტაციის გამო და თავის მართლების რეჟიმში ხან „უცხოელი პარტნიორების მოთხოვნას“ აბრალებს ამ ფაქტს, ხანაც უცხო პლანეტელებს. ამასთანავე, თავის რიგებში გადაპორტირებულ ნაცებს შეცდენილ ადამიანებს და სისტემის მსხვერპლებს მაინც უწოდებს.

აი, **ალეკო ელისაშვილი და სხვები კი უკვე იქამდე გათავხედდნენ, რომ ლევან ხაბეიშვილისნაირ პროვოკატორებსა და ავანტიურისტებზე ამბობენ, — ძალიან მაგარი ბიჭიაო. ის კი არა, რომ გარემოებებმა აიძულა ამ „ცუდ ბიჭებთან“ ერთად დგომა — არა! უკვე იქამდეც მივიდა საქმე, რომ ალეკო ელისაშვილი გვიმტკიცებს, თითქოს „ძალიან მაგარი ნაცების“ გვერდით დგას და მათი მეშვეობით სურს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებიდან განდევნა, რომელმაც ქართველ ხალხს „კოაბიტაცია აკადრა“!**

აი, პარადოქსი და „უკუღმა ლოგიკა“ ამას ჰქვია სწორედ!

ფაქტია: ქართველ ამომრჩეველს საშემოდგომოდ ეს თაღლითები უცნაურად შეზავებულ „სალაფავს“ უმზადებენ. შეჭამს თუ არა ქართველი ამომრჩეველი იმაზე გაცილებით უნიჭოდ მომზადებულ ტყუილს, ვიდრე 2003 წლის შემოდგომაზე ჭამა?

სიმართლე გითხრათ, იმედი მაქვს, რომ არა!

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საზოგადოებას უკვე გავლილი აქვს ბევრი რამ და არც ქვეყნის ყველაზე სამარცხვინოდ მოსყიდული და გაყიდული ტელევიზია ჰგონია „გამარჯვებული ხალხის“ საკუთრება...

თუმცა, ისიც საკითხავია, **ამ „არშეჭმის“ შედეგად რას მივიღებთ. ისევ და ისევ „შეჩვეულ ჭირს“ პოლიტიკურად სრულიად „იმპოტენტი“ „ქართული ოცნების“ სახით, რომელსაც ქართველი ხალხი ხელისუფლებაში კიდევ 4 წლით მხოლოდ მანიაკების მობრუნების შიშით ტოვებს?**

დამეთანხმებით, ძალიან არასასურველი რეალობაა. მით უფრო, რომ ასეთ შემთხვევაშიც ქვეყანას არათუ განვითარება, არამედ სტაბილურობაც არ უწერია, რადგან აშკარაა — **ბიძინა ივანიშვილს ხელს აძლევს ნაციონალების მიერ არეულობისა და სამოქალაქო ომის დაწყების მუქარა და მუდმივი დაძაბული მდგომარეობა. შესაბამისად, შემოდგომის არჩევნების შემდეგაც უაზრო და თითიდან გამოწოვილი „პროტესტების“ ცქერა მოგვიწევს ტელეეკრანებზე, რადგან ტელევიზიები ყოველთვის 24-საათიანი პირდაპირი ეთერის რეჟიმით აშუქებენ „გაერთიანებული ოპოზიციის“ მიერ თუნდაც იმ მიზეზით მოწყობილ „საპროტესტო აქციებს“, სადაც ტრიბუნასთან გამომსვლელები მთავრობას ბრალად უყენებენ: ჩემმა მეზობელმა ამ დილით ქვას წამოჰკრა ფეხი და ამიტომ სასწრაფოდ უნდა გადადგეს პრემიერმინისტრიო.** ეს მაშინ, როდესაც თუნდაც „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ მოწყობილ მართლა სერიოზული არგუმენტებით გაჯერებულ და მართლა მრავალრიცხოვან მიტინგს, დიდი-დიდი, 2-3 წუთს თუ დაუთმობენ ხოლმე.

მაშ, სად არის გამოსავალი? საქმეც ეგაა, რომ არსად!

თუმცა ეს არ ნიშნავს, ხელები ჩამოვუშვათ და არაფერი ვაკეთოთ. ჩვენ მაინც უნდა ვიაქტიუროთ, ვისაც როგორ შეგვიძლია.

ვაღიარებ, რომ **ნომერ პირველი ამოცანა მიხეილ სააკაშვილის, მისი „ნაციონალური მოძრაობის“, მისგან ასხლეტილი „ევროპული საქართველოების“ და მათგან მოსყიდული „გაერთიანებული ოპოზიციის“ ხელისუფლებაში არმიშვებაა. ამას, რა თქმა უნდა, ძალიან ეფექტურად იყენებს სათავისოდ ბიძინა ივანიშვილი და სწორედ ამიტომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოშორება ნომერ მეორე ამოცანად ყალიბდება და არა ნომერ პირველად... მაგრამ, სხვა გზა არ არის და რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ — შექმნილ ვითარებაში მართლაც არ არსებობს სხვა ძალა და სხვა პიროვნება, რომლებიც ნომერ პირველი ამოცანის შესრულების გარანტიას მოგვცემდნენ...** დიახ, სამწუხაროდ, ეს წრე მოჯადოებულია და ამ წრიდან მხოლოდ რამე გლობალური მსოფლიო ცვლილება თუ გამოგვიყვანს ან საგარეო-პოლიტიკური კურსის მკვეთრი შებრუნება, თორემ დღეს საქმე სწორედ იმ ცნობილი ხუმრობასავითაა: თუ ფიქრობ, რომ აუცილებელია მეორე პუნქტის შესრულება, მაშინ იხილე პუნქტი პირველი!

**თქვენ, ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია, რომლებიც სინამდვილეში, ერთმანეთთან კი არა, ნაცებთან ხართ გაერთიანებულნი, მართლაც გაჭრილი ვაშლივით ჰგავხართ «ქართულ ოცნებასთან» გაერთიანებულ ნაცებს. შემდეგ კი ერთმანეთს უნამუსოდ საყვედურობთ, უტიფრად უყენებთ ბრალდებებს ნაცებთან კავშირის გამო; მაშინ, როდესაც საკუთარი ვიწრო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ორივე მშვენივრად კადრულობთ ნაცებთან ჩახუტებასა და სიამტკბილობას. აი, სწორედ ეს არის ამ ბედკრული ქვეყნის მთავარი უბედურება**

ინტერვიუ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუ ტერიტორიების დაბრუნება გვინდა და გვინდა, რა თქმა უნდა, აქტოცთან კი არ უნდა ვმართოთ აქციები, უნდა მივიდეთ მთავრობის კანცელარიასთან და მოვთხოვოთ, დაიწყონ პირდაპირი დიალოგი. ე.წ. საზღვართან დგომასა და დროშების ფრიალს რა აზრის აქვს?! რა, იმ რუსის ჯარს შეაშინებ და შეაჩერებ თუ აფხაზებსა და ოსებს მოანდომებინებ დაბრუნებას?! პროტესტი, კიდევ ვიმეორებ, უნდა იყოს აქ, იმიტომ, რომ აქ არიან მოღალატეები და გამყიდველები“.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

# ყველა, ვინც დღეს თითქოს უკიდურესად შეშფოთებულია პრეზიდენტის განცხადებით და ამბობს, რომ რუსეთთან დიალოგს აზრი არ აქვს, მიზანმიმართულად ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას

**28 იანვარს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გაკეთებულ ხმაურიან განცხადებას საქართველოში მაისში დაგეგმილ ასამბლეაზე რუსი დელეგატების დაშვების შესახებ ლიბერალურმა ისტებლიშმენტმა ისტერიკით უპასუხა. შეშფოთებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მყისვე კოლექტიური განცხადება გაავრცელეს და, როგორც პრეზიდენტისგან, ისე პრემიერისგან „შესაბამისი“ განმარტებები მოითხოვეს. თუმცა შემდეგ არასამთავრობოებს შეშფოთება-აღშფოთებაში არც პოლიტიკური სპექტრი ჩამორჩა, რაც „ოცნებისთვის“, ჯამში, ერთ დიდ გაშმაგებულ ანტისახელისუფლო ვაი-ვიშად იქცა. შეგახსნებთ, რომ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საქართველოში რუსი დელეგატების შემოშვების თაობაზე განცხადება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე რუსი პარლამენტარის, ლეონიდ კალაშნიკოვის, მიერ დასმული შეკითხვის პასუხად გააკეთა. კალაშნიკოვმა პრეზიდენტს თბილისში გავრილოვის ვიზიტის გამო მომხდარ ინციდენტზე ჰკითხა, ზურაბიშვილმა კი უპასუხა, რომ არავინ მიესალმება ადამიანებზე ძალადობის ფაქტს... უნდა შემოვიდნენ თუ არა საქართველოში რუსი დელეგატები ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში, უნდა გახდეს თუ არა ეს ნაბიჯი ორ ქვეყანას შორის პირდაპირი დიალოგის კიდევ ერთი წინაპირობა და არსებობს თუ არა საფრთხე, რომ მათი თბილისში ვიზიტისას აგრესიული ე.წ. პროდასავლური ოპოზიცია „გავრილოვის ღამის“ მსგავს კიდევ ერთ პროვოკაციას მოაწყობს — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე.**



**— ბატონო ნიკოლოზ, სალომე ზურაბიშვილის მიერ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გაკეთებულ განცხადებას საქართველოში რუსი დელეგატების შემოშვებაზე უცხოეთიდან დაფინანსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და „პროდასავლურმა“ ოპოზიციამ, ჩვეულებისამებრ, აგრესიული რიტორიკით უპასუხეს. მათ განცხადებებში, რომლებიც ერთგვარი გაფრთხილება იყო ხელისუფლებისთვის, საპროტესტო გამოსვლებისა და „გავრილოვის პროვოკაციის“ მსგავსი არეულობების მოწყობის მუქარაც იკითხებოდა... არის თუ არა დღეს ქვეყნისთვის აუცილებელი რუსი დიპლომატების შემოშვება და რა შეიძლება მას მოჰყვეს? ხომ არ ფიქრობთ, რომ ის გარკვეულ პოლიტიკურ და არა მხოლოდ პოლიტიკურ გართულებებს გამოიწვევს?**

— ერთ რამეში დარწმუნებული ვარ და ეს ბოლოდროინდელი ისტერიკაც ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა: ყველა ადამიანი, რომლებიც დღეს თითქოს უკიდურესად შეშფოთებულნი არიან პრეზიდენტის განცხადებით და ამბობენ, რომ რუსეთთან დიალოგს აზრი არ აქვს, მიზანმიმართულად ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ეს არის მეხუთე კოლონა, რომელიც ყველანაირად ცდილობს, კიდევ უფრო გაართულოს და დაძაბოს ორ ქვეყანას შორის ისედაც დაძაბული პოლიტიკური ვითარება და ამით პირნათლად შეასრულოს უცხო ქვეყნისა თუ ქვეყნების სპეცსამსახურების დავალებები. რაც შეეხება დიალოგის აუცილებლობას, ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: არ ვიცი, კრემლთან პირდაპირი დიალოგის გარდა, პოლიტიკურ მეცნიერებაში თუ არსებობს სხვა გზა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა. ომით რომ ვერ მოვაგვარებთ ამ პრობლემას, ცხადია. ის კი არა, **80-მილიონიანი ქვეყანაა თურქეთი, ნატოს წევრი და, როდესაც დაინახა, დაძაბულობა პიკს აღწევდა, მისმა პრეზიდენტმა ერდოღანმა ლამის დაუჩოქა ვლადიმერ პუტინს... რა, ერდოღანს ვინმეზე ნაკლებად უყვარს თავისი ქვეყანა და ვინმეზე ნაკლებად იცავს საკუთარი ხალხის ინტერესებს?** საერთოდ, ვფიქრობ, სახელმწიფო უნდა იყოს ძალიან მკაცრი და შეუვალი ნებისმიერი რიტორიკისა თუ პროპაგანდის მიმართ, რომელიც საზოგადოებას რაღაც დეზინფორმაციით წამლავს რუსეთთან დიალოგის უპერსპექტივობაზე. ან რას ნიშნავს ეს ვითომ ბოიკოტი და დელეგატების არშემოშვება?! რუსეთი ოფიციალურად არის ევროსაბჭოს წევრი. მაშინ გამოვიდეთ ამ ორგანიზაციიდან, გამოვიდეთ გაეროდან, სხვა ორგანიზაციებიდანაც და საერთოდ აღარ დადგება მსგავსი საკითხები.

**— ხელისუფლებამ ოპონენტების მიმართ სიმკაცრე რა ფორმით შეიძლება გამოიჩინოს რუსეთთან პირდაპირი დიალოგის საკითხში?**

— პირველ რიგში, უმკაცრესი პასუხი უნდა გაეცეს ნებისმიერ პროვოკაციულ ქმედებას, რომლებიც მიზანიმართულად ემსახურება, როგორც ქვეყნის შიგნით ვითარების არევას, ისე რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის გამწვავებას — ეს ერთი. მეორე — ხელისუფლება უნდა გამოვიდეს იმ რაღაც უაზრო და სასაცილო პოლიტიკური კომპლექსებიდან, რომელთა გამოც, თუ მოსკოვთან პირდაპირი დიალოგზე სიტყვას დაძრავ, შეიძლება, კრემლის აგენტობა დაგაბრალონ. **აგენტები საქართველოს არ აკლია და, ვინ ვის დაკრულზე ცეკვავს ახალ-ახალი მსუყე გრანტების მოლოდინში, ყველამ ძალიან კარგად ვიცით.** თუმცა, სამწუხაროდ, დღეს ხელისუფლებაშიც არიან ადამიანები, რომლებიც რუსულ-ქართული ურთიერთობების საკითხში დასავლეთიდან მართული მტრული ოპოზიციის მხარეს არიან და ერთი-ერთზე იმეორებენ **ბოკერიას, მელიას, უგულავასა** და მათ მსგავსთა მოღალატეობრივ რიტორიკას.

«ეს არის მეხუთე კოლონა, რომელიც ყველანაირად ცდილობს, კიდევ უფრო გაართულოს ორ ქვეყანას შორის ისედაც დაძაბული პოლიტიკური ვითარება»

რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ყველამ ვიცით, რომ ასე მარტივად და ერთი ხელის მოსმით ვერ გადაწყდება, **თუ გვინდა, აფხაზეთი და სამაჩაბლო ვიხილოთ არა მხოლოდ ვიდეორგოლებში, რომლებსაც რომელიღაც პარტია წინასაარჩევნოდ გადაიღებს, მაშინ კრემლთან დიალოგს ალტერნატივა არ აქვს. ყველა, ვინც გვეუბნება, რომ ამ დიალოგს აზრი არ აქვს, საქართველოს მტერია,** ამიტომ კიდევ ვიმეორებ: სახელმწიფო უნდა იყოს უმკაცრესი ნებისმიერი ასეთი ჯგუფის მიმართ. როგორ, რანაირად და რა ფორმით — ეს უკვე დეტალებია, მაგრამ **ხელისუფლებასა და ოპოზიციაში ჩაბუდებულ საქართველოს მტრებს, რომლებიც გრანტებს იღებენ ქვეყნის დაქცევაში, ამის საშუალება არ უნდა ჰქონდეთ. სხვათა შორის, ის ხალხი, რომელმაც გასული წლის ივლისში ე.წ. გავრილოვის პროვოკაცია მოაწყო და ერთი სული ჰქონდა, პარლამენტი შტურმით აეღო, „ნაცმოძრაობის“ მთავარსარდლობით, ახლა ამერიკელ კონგრესმენებს აქეზებს და წერილს წერილზე აწერინებს იმის თაობაზე, რომ თურმე საქართველომ დემოკრატიული განვითარების გზას გადაუხვია.** ესენი არიან სოროსის გრანტებზე გაყიდული, უსინდისო და უნამუსო ადამიანები, რომლებიც ყველაფერს იკადრებენ თავიანთი ვიწრო პარტიული ინსტერესებისთვის.

**— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

**— ვის ჰქონდა საგარეო და საერთაშორისო ურთიერთობების ფლანგი ჩაბარებული „ქართულ ოცნებაში“? — ჩუგოშვილს, ხულორდავას, ცქიტიშვილს... ესენი იყვნენ წლების განმავლობაში ევროსარბიელზე და იმის ნაცვლად, რომ საქმეზე ელაპარაკათ, ნაცებისთვის მუშაობდნენ.** სხვათა შორის, თავის დროზე, როცა **ვლადიმერ პუტინმა** განაცხადა უვიზო მიმოსვლის შესაძლო აღდგენის თაობაზე, სწორედ ჩუგოშვილი გამოხტა პირველი და განაცხადა: ჩვენ ამ პროვოკაციას არ ავყვებითო. რა იყო პროვოკაცია: ის, რომ სავიზო რეჟიმი შეიძლებოდა გაეუქმებინათ? ისე, სიმართლე გითხრათ, ცოტა საზოგადოებისაც გამკვირვებია — მიდის ხოლმე რაღაც ჯგუფი კონფლიქტის ზონისპირა სოფლებში და ოკუპაციის გასაპროტესტებლად აქციებს აწყობს. კი, ბატონო, თუ საჭიროა, მოვაწყოთ, მაგრამ ჯერ, სადაც საჭიროა, იქ ჩავატაროთ ეს აქციები...

**— რას გულისხმობთ?**

— რას ვგულისხმობ და, **თუ ტერიტორიების დაბრუნება გვინდა და გვინდა, რა თქმა უნდა, აქტოცთან კი არ უნდა ვმართოთ აქციები, უნდა მივიდეთ მთავრობის კანცელარიასთან და მოვთხოვოთ, დაიწყონ პირდაპირი დიალოგი.** ე.წ. საზღვართან დგომასა და დროშების ფრიალს რა აზრის აქვს?! რა, იმ რუსის ჯარს შეაშინებ და შეაჩერებ თუ აფხაზებსა და ოსებს მოანდომებ დაბრუნებას?! **პროტესტი, კიდევ ვიმეორებ, უნდა იყოს აქ, იმიტომ, რომ აქ არიან მოღალატეები და გამყიდველები.**

რაც შეეხება დიალოგის ფორმასა და შესაძლებლობებს, საქართველომ აუცილებლად უნდა მონახოს მოკავშირეები რუსეთის შიდაპოლიტიკურ სპექტრში. ამერიკელ კონგრესმენებს რომ უხდიან ფულს და მილიონებს ხარჯავენ ლობისტური კომპანიების მომსახურებაში, **რუსეთშიც უნდა გვყავდეს ჩვენი ლობისტები, რათა იქ ჩვენი ინტერესები დავიცვათ. საერთოდ, ვფიქრობ, ლობისტები, პირველ რიგში, უნდა გყავდეს იქ, სადაც პრობლემა გაქვს, თორემ სადაც არანაირი დაბრკოლება არ არის და არაფერი გაქვს მოსაგვარებელი, საჭიროებებიც, ბუნებრივია, ნაკლებია.**

«ვის ჰქონდა საგარეო და საერთაშორისო ურთიერთობების ფლანგი ჩაბარებული «ქართულ ოცნებაში»? — ჩუგოშვილს, ხულორდავას, ცქიტიშვილს... ესენი იყვნენ წლების განმავლობაში ევროსარბიელზე და იმის ნაცვლად, რომ საქმეზე ელაპარაკათ, ნაცებისთვის მუშაობდნენ»

**— აქციები ახსენეთ რუსეთთან პირდაპირი დიალოგის მოთხოვნით. როგორ ფიქრობთ, ამ ხელისუფლების პირობებში მსგავს მოთხოვნას აქვს აზრი, ანუ გააჩნია რეალურად ამ ხელისუფლებას დიალოგისთვის საჭირო პოლიტიკური ნება და რესურსი?**

— დღევანდელი ხელისუფლება, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, შედგება რამდენიმე ფლანგისგან, რომელთაგან უმეტესობა ნამდვილადაა ყველანაირად ხელისშემშლელი რუსეთთან ურთიეთობების დარეგულირების, მაგრამ არიან სხვა ძალებიც. მაგალითად, პრემიერმა გახარიამ განაცხადა ადრე და მერე სუსის უფროსმა **ლილუაშვილმაც** განმარტა, რომ, თუ **კარასინი-აბაშიძის** მოლაპარაკებებმა ამოწურა შესაძლებლობები, სხვა ფორმატებზეც შეიძლება ფიქრი... ჩემი აზრით, ეს ფორმატი უკვე ამოწურულია და ხელისუფლება აქტიურად უნდა ცდილობდეს ახალ ეტაპზე გადასვლას. თუმცა, **როცა ოპოზიციური სპექტრი, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, გავსებულია უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ მართული პროფესიონალი პოლიტიკური დივერსანტებით და ასეთი ადამიანი ბევრია მმართველ გუნდშიც, რა თქმა უნდა, რამე სერიოზულ ნაბიჯებზე, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დარეგულირების თვალსაზრისით, საუბარი ზედმეტია.** აქ, ალბათ, პირველ რიგში, საჭიროა დიდი პოლიტიკური წმენდა, რათა ახალი რეალური შესაძლებლობები გაჩნდეს... ისე, მე ერთი რამის მჯერა და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული: **თუ ხალხი მასობრივად გამოვა და იქნება ფართომასშტაბიანი პროტესტი დიალოგის მოთხოვნით, მმართველ გუნდში არსებულ საღ ძალებს ამ ნაბიჯისთვის გარკვეული ლეგიტიმაცია ექნება.** ამიტომ არის ზუსტად საჭირო აქციები მთავრობის კანცელარიასთან და მერე უკვე „ოცნება“ იქნება სათავეში თუ სხვა რომელიმე პარტია, ყველას ეცოდინება, რომ საზოგადოების მოთხოვნა ეს არის. **საზოგადოებას არ უნდა გრანტების სანაცვლოდ გარე ძალების დაკრულზე მოცეკვავე პოლიტიკური დივერსანტების ჰეგემონია. ქვეყანას ეროვნული ძალები, საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკური სპექტრი სჭირდება.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მინისტრების, დეპარტამენტის ხელმძღვანელებისა თუ პარლამენტარების (უკლებლივ ყველას) დეკლარაციაში ახალი ქონებაა მითითებული — სახლი, მანქანა, მიწის ნაკვეთი, ფერწერული ტილო. ჰო, ძლიერნი ამა ქვეყნისანი ფერწერულ ტილოებში ათასობით დოლარს ისე იხდიან, როგორც არაფერი და ეს ის თანხაა, რომელსაც წლიდან წლამდე 3-4 ოჯახი იმყოფინებს თავის სარჩენად, ის ოჯახები, რომლებსაც შიმშილით შვილები უკვდებათ, რადგან პურის ფული უჭირთ.**

# ბატონო მაღალჩინოსნებო! აქ, თქვენ გვერდით, შარშან 300 ბავშვი შიმშილით მოკვდა და უკეთესი პერსპექტივა წელსაც არ ჩანს

## არჩევნებში დაიხარჯება იმდენი ფული, რამდენიც საკმარისი იქნება, სულ ცოტა, 10 წლის განმავლობაში ბავშვების შიმშილის პრობლემის მოსაგვარებლად

**ხან კულუარებში, ხანაც ხმამაღლა საუბრობენ, რომ მსოფლიოს შიმშილი ემუქრება და ძალიან მალე დადგება დრო, როცა შიმშილით მილიონობით ადამიანი დაიხოცებაო... მილიონების რა გითხრათ, მაგრამ საქართველოში ეს მწვავე პრობლემაა და შიმშილით ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევაც არაერთია. გაეროს ბავშვთა ფონდ „იუნისეფის“ მონაცემებით, საკვების მწვავე დეფიციტის ან მასთან დაკავშირებული სხვადასხვა მიზეზით (ორსულთა ანემია, ახალშობილთა მცირეწონიანობა, ფოლიუმის მჟავის ნაკლებობასთან ასოცირებული თანდაყოლილი ანომალიები, ძუძუთი არასრულფასოვანი კვება და სხვ.) საქართველოში ყოველწლიურად 300 ბავშვი იღუპება.**

გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით, დაახლოებით 77 ათასი ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და არსებობს რისკი, რომ ისინიც შიმშილით დაიხოცონ. ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში 4 300 ახალშობილი დაიღუპა...

**„იუნისეფის“ დასკვნით, ერთ-ერთი გამოსავალი სოციალურ პროგრამებში დაფინანსების გაზრდაა. ფონდის გამოთვლებით, ბავშვთა ყოველთვიური შემწეობის შემოღება 30 ლარის ოდენობით ყველაზე მეტად ეფექტიანი იქნება ბავშვთა სიღარიბის შემცირების საკითხში და, თუ დღეს უკიდურესი სიღარიბე 9,1%-ია, ეს მაჩვენებელი 3,9%-მდე ჩამოვა. სახელმწიფოს ეს ყველაფერი 25 მილიონი ლარი დაუჯდება.**

სანამ ამ თემას განვავრცობთ, გაგაცნობთ საქსტატის ოფიციალურ მონაცემს, რომლის მიხედვითაც, 2019 წელს საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ 5,2% შეადგინა.

**„ჩვენი პროგნოზი გამართლდა. ექსპორტისა და ფულადი გზავნილების ზრდის ტემპი შენარჩუნებულია. მიუხედავად ზაფხულში არსებული პრობლემებისა, 2019 წლის ოქტომბრიდან ტურისტული შემოსავლები იზრდება, ბოლო პერიოდში შეიმჩნევა დაკრედიტების მაღალი ზრდა, ასევე გვაქვს კარგი მაჩვენებლები ფისკალური მიმართულებით“**, — განაცხადა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი კოვზანაძემ.**

**ცნობისთვის:** წლის დასაწყისში ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ ეკონომიკური ზრდა 4,6% იქნებოდა და ახლა ციფრებმა მოლოდინს გადააჭარბა — რეალურად იმაზე უკეთესი მაჩვენებელი გვაქვს, ვიდრე ხელისუფლება ელოდა.

რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია, მისასალმებელია და ის დროა, სიხარულით ჭერში ქუდებს ვისროდეთ, მაგრამ წამით დავფიქრდეთ: რა მოხდა რეალურად 2019 წელს და რატომ არ გვაქვს სიხარულის მიზეზი?

**დავიწყოთ იმით, რომ შარშან ეროვნულმა ვალუტამ ყველა რეკორდი მოხსნა და ისე გაუფასურდა, სირცხვილით ჯიბიდან თავს ვერ ყოფდა. მაღალჩინოსნების ჯიბეს ვგულისხმობ, თორემ რიგით მოსახლეობას, ჯიბიდან ვალუტის თავის ამოსაყოფი ფული კი არა, დღიდან დღემდე საკვებისთვის სამყოფი ფულიც სანატრელი აქვს.**

ამიტომ, **ქუჩაში ასი ადამიანი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით რომ გამოვკითხოთ, სულ ცოტა, 98 გეტყვით, რომ ეკონომიკური ზრდა საკუთარ ჯიბეზე ვერ იგრძნო და სწორედ ვალუტის გაუფასურების გამო, 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, ნაკლები შემოსავალი ჰქონდა.** ტურისტულ სექტორს რომ გადავხედოთ (ტურიზმიდან ხომ მილიონობით ლარი შედის როგორც ბიუჯეტში, ისე რიგითი ადამიანების ჯიბეში), 2019 წელი აშკარად ჩავაგდეთ, რადგან პირდაპირ სატელევიზიო ეთერში გინების გამო **ტურისტების მთავარი სეგმენტი, რუსული ტურიზმი, საკონტროლო გასროლით მოვკალით, ხოლო** ვინც ამ ზაფხულს ზღვისპირეთში დაისვენა, დაგვეთანხმება, რომ საოჯახო სასტუმროების მფლობელები ლამის სახეს იხოკავდნენ ტურისტების არყოფნის გამო, ანუ ამ მიმართულებითაც მატება არ ყოფილა. **გაძვირდა პროდუქტი, გაძვირდა პური და არსად არავის უთქვამს, რომ საჯარო თუ კერძო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს ჯამაგირი მოემატათ.** უფრო პირიქით — გვესმოდა მხოლოდ ის, რომ კომპანიები ეკონომიკური კრიზისის გამო იძულებულნი იყვნენ, შტატები შეემცირებინათ. ყველაზე მეტად ეს სამედიცინო სფეროზე აისახა, სადაც შტატების შემცირება დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. ამ მხრივაც მატება არ ყოფილა. დარჩა სამთავრობო სექტორი. **იმის გათვალისწინებით, რომ პარლამენტის დაფინანსებამ მოიმატა, მოიმატა საზღვარგარეთ ვიზიტების რაოდენობამაც; რამდენიმე ათეული მილიონი ცალკე ტურიზმის რეკლამირებაში დაიხარჯა და ცალკე სხვა ქვეყნებიდან (რუსეთის გარდა) ტურისტების უფასოდ ჩამოსაყვან ჩარტერულ რეისებში. მატება აშკარად შეინიშნება, ანუ მატება ჰქონდა ხელისუფლებას; ჰქონდათ პარლამენტშიც როგორც პოზიციას, ისე ოპოზიციას.**

ამიტომაც არის, **მინისტრების, დეპარტამენტის ხელმძღვანელებისა თუ პარლამენტარების დეკლარაციაში ახალი ქონება რომ არის მითითებული — სახლი, მანქანა, მიწის ნაკვეთი, ფერწერული ტილო. ჰო, ძლიერნი ამა ქვეყნისანი ფერწერულ ტილოებში ათასობით დოლარს ისე იხდიან, როგორც არაფერი. ეს ის თანხაა, რომელსაც წლიდან წლამდე 3-4 ოჯახი იმყოფინებს თავის სარჩენად; ის ოჯახები, რომლებსაც შიმშილით შვილები უკვდებათ, რადგან პურის ფული უჭირთ.**

ახლა რაც შეეხება **ბავშვების დასამატებელ 30 ლარს, რომელიც სახელმწიფოს წლიურად 25 მილიონი დაუჯდება.** ამ თანხის მოძიება უმარტივესად შეიძლება. ყველაზე მარტივი არის ის, რომ დასავლეთის კომპანიებისთვის პიარსა თუ ლობირებაში გადასახდელი თანხა შევამციროთ. არ გეგონოთ, ვაჭარბებდე. მაგალითად, **სააკაშვილის** ხელისუფლებამ ერთ წელს ლობისტებისა და პიარისთვის 275 მილიონი ლარი დახარჯა. არ ვხუმრობთ — **ორას სამოცდათხუთმეტი მილიონი ლარი.** მოქმედი ხელისუფლება ნაკლებ გულუხვია, მაგრამ არც ისე, **წლიურად 20-30 მილიონ ლარს რომ არ იმეტებდეს. ვინმემ გვითხრას: ამ თანხებიდან საქართველომ ან მისმა მოსახლეობამ რა იხეირა?** იქნებ ერთეულებმა იხეირეს და აქედან გადარიცხული ფულის ნაწილი ვიღაცის ჯიბეში მშვიდად დაბრუნდა? საფუძვლიანი ეჭვი წინა ხელისუფლების პერიოდშიც არსებობდა და ახლაც არსებობს. კიდევ გავიმეორებ, რომ **არანაირი შედეგი არ მოაქვს რომელიმე უცხოური ტელევიზიის რომელიმე გადაცემაში მორბენალ სტრიქონზე თუ დაიწერება, რომ საქართველოში დასვენება კარგია. თანაც, იქ არ წერენ, რომ ეს ძალიან ძვირიცაა, რადგან იმავე ფულით, რომელიც ტურისტმა საქართველოში უნდა დახარჯოს, უფრო კარგად დაისვენებს თურქეთში, ეგვიპტეში, კვიპროსზე... პრინციპი, რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ, ჩვენ კი ვიცით, მაგრამ სანამ უცხოელებს ავუხსნით ამას, ბევრი წელი გავა და ბევრი მილიონი ჩაიყრება წყალში.**

ბავშვები, მხოლოდ ჩვენი კი არა, ყველა ქვეყნის მომავალი რომ არის, რა ბევრი მოყოლა და ახსნა უნდა. ეს არის ის სფერო, რომელშიც არც ერთმა ნორმალურმა სახელმწიფომ თანხები არ უნდა დაზოგოს. ეს არის სფერო, რომლის განვითარებაზეც მუდმივად უნდა იფიქროს ყველა ხელისუფალმა და ახლა მარტივ და ჩამჭრელ კითხვას დავსვამ: **წინა, იმის წინა, კიდევ იმის წინა ან წლევანდელ ბიუჯეტში რამდენი ლარია გამოყოფილი ბავშვების პრობლემაზე? იმ ბავშვებს ვგულისხმობ, რომლებიც შიმშილით იხოცებიან, და კიდევ იმათ, რომელთაც ეს უახლოეს მომავალში ემუქრებათ?** არ თქვათ ახლა, სოციალური პაკეტი გვაქვს და იქ შედის ეს პრობლემაო. სოციალური პაკეტი კი არა, **ბატონო მაღალჩინოსნებო, აქ, თქვენ გვერდით, შარშან 300 ბავშვი შიმშილით მოკვდა და უკეთესი პერსპექტივა წელსაც არ ჩანს. მაშინ, როცა თქვენ რესტორნებში სახელმწიფოს ხარჯზე ათეულობით მილიონს ხარჯავთ, ბევრ მშობელს იმის ფული არ აქვს, რომ შვილი შიმშილისგან იხსნას და არ მოუკვდეს. მწვადი და ხინკალი კი არა, ხმელი პური და წყალი ენატრებათ ადამიანებს და სწორედ ამის გამო, შარშან 300 სიცოცხლე შეწყდა — 300 მომავალი ოჯახი აღარ იქნება ბუნებაში და ქართულ სინამდვილეში. ისიც ხომ იცით, რომ სიკვდილიანობა, ძირითადად, ქართველ მოსახლეობაშია და არა ეროვნულ თუ ეთნიკურ უმცირესობებში. ამით ვინმეს დადანაშაულებას კი არ ვცდილობ, პირიქით — იმას ვამბობ,** რომ საქართველოში ქართველი კვდება და ამას სახელმწიფომ როგორმე უნდა უშველოს, თუმცა ეს „როგორმე“ წლევანდელი, უკვე გაცხადებული ბიუჯეტით არ გამოვა და მომავალში რა იქნება, კაცმა არ იცის.



**მაშინ, როცა თქვენ რესტორნებში სახელმწიფოს ხარჯზე ათეულობით მილიონს ხარჯავთ, ბევრ მშობელს იმის ფული არ აქვს, რომ შვილი შიმშილისგან იხსნას და არ მოუკვდეს. მწვადი და ხინკალი კი არა, ხმელი პური და წყალი ენატრებათ ადამიანებს და სწორედ ამის გამო შარშან 300 სიცოცხლე შეწყდა — 300 მომავალი ოჯახი აღარ იქნება ბუნებაში და ქართულ სინამდვილეში. ისიც ხომ იცით, რომ სიკვდილიანობა, ძირითადად, ქართველ მოსახლეობაშია და არა ეროვნულ თუ ეთნიკურ უმცირესობებში**

ისე, ცოტა ღიმილისმომგვრელია, არჩევნების ჩასატარებლად ათეულობით მილიონი ლარი რომ არის გამოყოფილი და, სულ ცოტა, ათ მაგდენს პარტიები დახარჯავენ წინასაარჩევნოდ. ერთ წელიწადში არჩევნებში დაიხარჯება იმდენი ფული, რამდენიც საკმარისი იქნება, სულ ცოტა, 10 წლის განმავლობაში ბავშვების შიმშილის პრობლემის მოსაგვარებლად. ათი წლის შემდეგ კი... ისევ გამოვა სხვა კოვზანაძე და ისვე იტყვის: დაგეგმილი ეკონომიკური ზრდა გვქონდა და შედეგმაც არ დააყოვნაო. მოსახლეობა მას ვერ იგრძნობს, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენელთა ქონებრივი დეკლარაციებით ისევ მივხვდებით, რომ ეკონომიკური ზრდა მათ ნამდვილად იგრძნეს.

რატომ ასეთი პესიმიზმი? ჯერ ერთი, პესიმისტი ინფორმირებული ოპტიმისტია; და მეორეც, ოპტიმიზმის საფუძველი და უახლოეს ათ წელიწადში სიტუაციის რადიკალურად შეცვლის მიზეზი თუ გვაქვს, გვითხარით ვინმემ.

**ბესო ბარბაქაძე**

მკითხველი აგრძელებს საუბარს

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ალნიშნული შეუსაბამობა უსისტემო სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია, რომელიც, ბოლო სამი ათეული წელია, გრძელდება. ანუ მიზეზი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის უსისტემობაა.**

### რუბრიკის პრემიერა

„საქართველო და მსოფლიოს" წლევანდელ მესამე ნომერში გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ სტატისტიკოს ნოდარ კაპანაძესთან მკითხველების ინტერესი გამოიწვია („შუაგულ ჯოჯოხეთის ერთ, ცალკე აღებულ სანტიმეტრზე სამოთხის ბაღს ვერ გააშენებ"). მათ პრობლემაში უფრო საფუძვლიანად გარკვევის სურვილი გაუჩნდათ და რედაქციას მოგვმართეს, გვეთხოვა რესპონდენტისთვის, გაეგრძელებინა საუბარი, ამჯერად მკითხველების შეკითხვებზე პასუხის გაცემით. ასე დაიბადა ახალი რუბრიკის შემოღების იდეა.
დღეს ამ რუბრიკის პრემიერაა:
„მკითხველი აგრძელებს საუბარს".
მკითხველების შეკითხვებს უპასუხებს
ბატონი ნოდარ კაპანაძე.

## ნოდარ კაპანაძე:

# ყოველი დაგვიანებული დღით სასურველი შედეგების დადგომის ვადა სულ უფრო შორს გადაიწევა

**— მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ბატონო ნოდარ, თანაბრად არ არის განაწილებული ჩვენს საზოგადოებაზე. რატომ? რა უშლის ამას ხელს? რა უნდა გაკეთდეს ამ უთანაბრობის გამოსასწორებლად?**

— საინტერესო და ამასთანავე ძალიან რთული შეკითხვაა. ამომწურავი პასუხის გაცემაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ შევეცდები, ჩემი აზრით, ძირითადი მიზეზები გამოვყო.

უთანაბრობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ეკონომიკის სექტორებს შორის შრომის მწარმოებლურობის კუთხით არსებითი განსხვავებაა. ერთი და იმავე კლასიფიკატორის მიხედვით განაწილებული მთლიანი შიდა პროდუქტისა და დასაქმების სტრუქტურა არსებითად განსხვავებულია, რაც ადასტურებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორს შორის არსებულ დრამატულ განსხვავებას. მაგალითად, 2018 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის სექტორში მთლიანი დასაქმების დაახლოებით 40 პროცენტი იყო თავმოყრილი, ხოლო იმავე სექტორის ხვედრითი წონა მთლიან შიდა პროდუქტში 8 პროცენტზე ოდნავ ნაკლები იყო. სამაგიეროდ, უძრავი ქონებით ოპერაციების სექტორის წილი მთლიან დასაქმებაში 1 პროცენტზე ნაკლები იყო (სტატისტიკური ცდომილების ფარგლებში), ხოლო ამ სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 11 პროცენტს აღემატებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთლიანი შიდა პროდუქტისა და დასაქმების სტრუქტურა ერთმანეთს არსებითად აცილებულია.

ზოგის აზრით, დასაქმებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ასიმეტრიული დარგობრივი სტრუქტურა შეიძლება იყოს მიზეზი, მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, ეს უფრო შედეგია, ვიდრე მიზეზი. **ალნიშნული შეუსაბამობა უსისტემო სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია, რომელიც, ბოლო სამი ათეული წელია, გრძელდება. ანუ მიზეზი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის უსისტემობაა.** ბოლო 30 წლის განმავლობაში ვერ დამისახელებთ განვითარებაზე ორიენტირებული გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის ვერც ერთ მაგალითს. ეკონომიკური პოლიტიკიდან ასეთ მაგალითს ვერ ვიხსენებ. სოციალური პოლიტიკიდან შეიძლება მისამართული სოციალური დახმარების სისტემაზე მიმითითონ, რომელიც მეთოდოლოგიურად უდავოდ გამართული სისტემაა, მაგრამ ეს განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამა არაა. ასევე, წარმატებულ მაგალითად შეიძლება დასახელდეს საყოველთაო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაც, მაგრამ ეშმაკი აქაც დეტალებშია და, თუ სიღრმეში ჩავხედავთ, ჯანმრთელობის დაცვაზე მისაწვდომობის ფრაგმენტული გაუმჯობესების გარდა, ამ პროგრამის შედეგი გრძელვადიანი პერსპექტივების მქონე არაა, ვინაიდან, საერთოდ, უგულებელყოფილია პროფილაქტიკის ელემენტი.

**— სოფელში თვითდასაქმებულებზე ბრძანეთ, რომ მათი შრომა უკიდურესად არაეფექტიანი და დაბალმწარმოებლურია. და, საერთოდ, სოფლის მეურნეობა საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, ამ დარგში ინვესტიციები არ იდება. იქნებ, განგვიმარტოთ, თუ რატომაა ასე იმ ფონზე, როცა, მთავრობის განცხადებით, ამ დარგში ორ მილიარდ ლარზე მეტი არის ინვესტირებული? სად წავიდა და რაში დაიხარჯა ეს ფული? და, საერთოდ, როგორი უნდა იყოს ეფექტიანი ინვესტიცია სოფლის მეურნეობაში? რა უნდა გაკეთდეს, რომ სოფლად თვითდასაქმებულთა შრომა უფრო მწარმოებლური გახდეს?**

— სოფლის მეურნეობის განვითარებაზე საუბარი მუდმივად მიმდინარეობს, თუმცა ეს საუბარი, როგორც წესი, ზედაპირულია და ემოციების დონეს არ სცილდება. სწორედ საინფორმაციო ფონის შესაბამისია სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით განხორციელებული სახელმწიფო თუ საერთაშორისო მხარდაჭერით განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების ჯამური ეფექტიც. სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ საქართველოში პერსპექტივა უდავოდ არის, მაგრამ ამ საკითხზე საუბარი უპირატესად ორი დიამეტრულად საპირისპირო ფორმულირების ირგვლივ იყრის თავს:

1. „ქართველმა გლეხმა ყველაფერი იცის და მას მხოლოდ ფინანსური დახმარება სჭირდება, დანარჩენს ყველაფერს თვითონ მიხედავს". ამ ურაპატრიოტული მოსაზრების ირგვლივ თავმოყრილ „განსაცდელისტებს" ავიწყდებათ, რომ **საქართველოში სოფლად მცხოვრები ოჯახების სარგებლობაში არსებული საშუალოდ 0,8 ჰექტარი ფართობის მიწა საშუალოდ 2,2 ნაკვეთად არის განაწილებული და მიწის ასეთ მცირე ფართობზე ვერანაირი ფინანსური დახმარება გრძელვადიანი ეფექტის მქონე ვერ იქნება.**

მიწის რესურსების კონსოლიდაციის გარეშე მეურნეობა ეფექტიანი ვერ იქნება. მაგალითად თუნდაც 2013 და 2014 წლებში განხორციელებული მასშტაბური პროგრამები გამოდგება, როდესაც სოფლებში მასობრივად დაუმუშავეს მიწები, რასაც გარკვეული და საკმაოდ სერიოზული ეფექტი ჰქონდა ამ წლებში (თუმცა დანახარჯებთან შედარებით ეფექტი საკმაოდ დაბალი იყო), მაგრამ შემდგომ წლებში წინსვლა აღარ გაგრძელებულა. ასევე კარგი მაგალითია გურჯაანისა და თელავის რაიონებში 2012 წელს დასეტყვილი ვენახების ანაზღაურება, რომელიც ტექნიკური თვასაზრისით ძალიან მაღალ დონეზე, ორგანიზებულად გაიცა, მაგრამ დაუყოვნებლივ კონვერტირდა სატრანსპორტო საშუალებებში. ამის კვალზე ანეკდოტიც კი გაჩნდა: „გურჯაანში რომ მოიღრუბლება, მოსახლეობა „მაი ავტოს" საიტზე შედის და მანქანებს არჩევსო";

2. „ქართველმა გლეხმა არაფერი იცის და მას არაფერი ეშველება", საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებას პერსპექტივა არ გააჩნია და, საერთოდ, „მომეცით პისტოლეტი ერთი ტყვიით". ეს მოსაზრება უფრო მეორე ტიპის „განსაცდელისტებს" ახასიათებთ, რომლებსაც გულწრფელად სწამთ, რომ „ბაზრის უჩინარი ხელი" ყველაფერს დაარეგულირებს, ხოლო საქართველოს სოფლის მოსახლეობა თუ ფრჩხილებს გარეთ იქნება გატანილი, ეს მისი პრობლემაა.

სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხზე მსჯელობა, ძირითადად, ამ ორი პოლუსის ირგვლივ იყრის თავს და არც იფიქროთ, რომ ამ ორი, ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებების კამათში „ჭეშმარიტება დაიბადება". რაც შეეხება სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო თუ საერთაშორისო მხარდაჭერით განხორციელებულ პროგრამებს, ისინი თავისი გზით მიდის და მათი ჯამური ეფექტი თითქმის შეუმჩნეველია, ვინაიდან:

**1. პროექტები უსისტემოდ არის გაფანტული და ერთმანეთთან თანხვედრაში არაა. არაა გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სრული ციკლი, ე.წ. ღირებულებათა ჯაჭვი. ამ ჯაჭვის რომელიმე რგოლის თუნდაც საუკეთესო მხარდაჭერა არ ნიშნავს მთლიანი ჯაჭვის მხარდაჭერას.** მაგალითად, მხოლოდ ჩაის პლანტაციების აღდგენის მხარდაჭერა არ ნიშნავს ჩაის წარმოების სრულ მხარდაჭერას და ა. შ.;

**2.** საინტერესოა თვით ფინანსური მხარდაჭერის სტრუქტურა, როდესაც, მაგალითად, სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად გამიზნული კრედიტი საერთო წესით გაიცემა გაზაფხულზე და დაუყოვნებლივ ირთვება მრიცხველი, მაშინ, როდესაც ამ კრედიტით შემოსავლების მიღება შემოდგომამდე ვერ მოხერხდება. ეს, უბრალოდ, მაგალითისთვის. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის საგრანტო პროგრამებს, **აქ მნიშვნელოვანია თვით ცნება „გრანტის" შინაარსი, რომელიც ნიშნავს, ჭკვიანი, მაგრამ უფულო ადამიანების მოძებნას. უფულო ბევრია, ხოლო ჭკვიანი — ნაკლები. ამდენად, საჭიროა სელექციის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც გრანტის მრავალ მსურველთა შორის ყველაზე ღირსეულის გამორჩევას უზრუნველყოფს.** განაცხადის ფორმები, რომლებიც მე მინახავს, ამ გამოწვევას ნაკლებად უპასუხებს;



**3.** თითქმის არც ერთ პროგრამას არ გააჩნია ზომვად მაჩვენებლებში ასახული მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც პროექტის (პროგრამის) დაწყებამდე უნდა შემუშავდეს, სადაც უნდა იყოს დროსა და სივრცეში გაწერილი პროექტის (პროგრამის) მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგის და პროექტის (პროგრამის) შედეგად მიღებული შედეგების შეფასების მაჩვენებლები დასაბუთებით, მაჩვენებელთა „საპასპორტო" მეტა მონაცემებით და ა.შ. პირადად მე ასეთი რამ არც სოფლის მეურნეობის და არც სხვა პროგრამების შემთხვევაში არ მინახავს;

**4.** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა უაღრესად მწირი საკომუნიკაციო სტრატეგიაც არის, რომელიც პროექტების (პროგრამების) უშუალო სამიზნე ჯგუფთან, სოფლის მოსახლეობასთან ნაკლებად ინტერაქტიურ ურთიერთობაში გამოიხატება. ზუსტი სტატისტიკა არ მაქვს და თავს ვერ დავდებ, მაგრამ **მაქვს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ უშუალოდ სოფლის მეურნეობის გრანტების ბენეფიციართა საკმაოდ დიდი ნაწილი სულაც არაა სოფლად მცხოვრები, რაც სწორედ კომუნიკაციის სიმწირის შედეგია და, შესაბამისად, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ნდობის ხარისხი ძალიან დაბალია.**

**მაქვს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ უშუალოდ სოფლის მეურნეობის გრანტების ბენეფიციართა საკმაოდ დიდი ნაწილი სულაც არაა სოფლად მცხოვრები, რაც სწორედ კომუნიკაციის სიმწირის შედეგია და, შესაბამისად, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ნდობის ხარისხი ძალიან დაბალია**

**ჩემი აზრით, ეს არის სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამებისა და პროექტების დაბალი წარმატების ძირითადი მიზეზები. მგონია, რომ იგივე მიზეზები მხოლოდ სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების მახასიათებელი არაა. ეს საერთო სენია.**

**— იმპორტის მოცულობის შემცირება და ექსპორტის გაზრდა ფიზიკური მოცულობების მიხედვითაა ასახული თუ მხოლოდ ფასებისა და ციფრების მიხედვითაა დათვლილი? ამ შემცირება-გაზრდაზე, სახელდობრ, როგორ იმოქმედა ლარის კურსის ცვლილებამ?**

— ამ შემთხვევაში საუბარია ფინანსურ განზომილებაზე. იმპორტიც და ექსპორტიც ერთსა და იმავე ვალუტაშია შეფასებული. ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ ფიზიკური მოცულობების ცვლილების ვექტორი ისეთივეა, როგორიც ფინანსური მოცულობების, ანუ ექსპორტის ფიზიკური მოცულობებიც გაიზარდა.

**— ინტერვიუში ამოვიკითხე: „სიღარიბის დონის შემცირება მოსახლეობაში ავტომატურად უკმაყოფილების შემცირებას არ** ▶

მკითხველი აგრძელებს საუბარს

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კმაყოფილებისა და უკმაყოფილების დონეებს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საზოგადოებაში არსებული საინფორმაციო ველი. ამ მხრივ ჩვენს საზოგადოებაში სრული კატასტროფაა.

**◀ ნიშნავს“, ე.ი. მოსახლეების უკმაყოფილება მრავალკომპონენტიანია? როგორია ეს კომპონენტები, რითაა ხალხი უკმაყოფილო?**

— ეს ურთულესი კითხვაა და ერთი საგაზეთო ინტერვიუს ფარგლებში ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლებელია. შევეცდები ძირითადი ვექტორების აღწერას. უნდა შევთანხმდეთ, რომ სიღარიბე არის კეთილდღეობის ნაკლებობა, ხოლო კეთილდღეობა ძალზე რთული და მრავალგანზომილებიანი ცნებაა. სხვადასხვა მდგომარეობაში მყოფი ადამიანი კეთილდღეობას განსხვავებულად აღიქვამს. უფრო მეტიც: ერთი და იმავე ადამიანისთვის თავისი ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობის ცვლილების შესაბამისად კეთილდღეობის ცნების შინაარსიც იცვლება. ჩემი კონცეფცია განიხილავს სიღარიბის ევოლუციის ხუთ საფეხურს:

**1. ფიზიოლოგიური სიღარიბე;**

**2. საშემოსავლო სიღარიბე;**

**3. არამონეტარული სიღარიბე;**

**4. სტრუქტურული სიღარიბე;**

**5. მენტალური სიღარიბე.**

ფიზიოლოგიურ სიღარიბეში მყოფი ადამიანისთვის კეთილდღეობა საკმარისი საკვებია. საშემოსავლო სიღარიბეში მყოფი ადამიანისთვის კეთილდღეობა შემოსავლების ისეთი დონეა, რომელიც მისი სამომხმარებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. არამონეტარულ სიღარიბეში მყოფი ადამიანისთვის კეთილდღეობა, შემოსავლებს გარდა, კომფორტული საცხოვრებელი გარემო და სერვისებია. სტრუქტურულ სიღარიბეში მყოფი ადამიანისთვის საკმარის შემოსავლებთან და კომფორტულ საცხოვრებელ პირობებთან ერთად სხვა დამატებით ინფრასტრუქტურაზე მისაწვდომობა და კომფორტული საკანონმდებლო სივრცეა, ხოლო მენტალურ სიღარიბეში მყოფი ადამიანისთვის კეთილდღეობა საკუთარი მდგომარეობის სუბიექტური შეფასებაა, ანუ თავის მდგომარეობას თვითონ როგორ აღიქვამს.

აქედან გამომდინარე, თითოეული ადამიანისთვის სიღარიბის თითოეული გამოვლენის დაძლევის შემდეგ კეთილდღეობის ახალი ორიენტირები ჩნდება, რომელთა ნაკლებობაც უკმაყოფილების საფუძველია. ამდენად, **სიღარიბის რომელიმე გამოვლინების შემცირება ავტომატურად არ ნიშნავს უკმაყოფილების შემცირებას. მეტიც: სიღარიბის შემცირებას, შესაძლოა, უკმაყოფილების ზრდაც კი მოჰყვეს და ეს გამოწვეული იქნება არა სიღარიბის შემცირებით, არამედ რომელიღაც სიღარიბის დაძლევის შემდეგ გამოჩენილი კეთილდღეობის ახალ ზღვრამდე დიდი დაშორებით. აქვე უნდა ითქვას, რომ სიღარიბის ხუთივე ფორმა ერთსა და იმავე საზოგადოებაში ერთდროულად არსებობს.**

სიღარიბის დიაგნოსტიკისა და ანალიზის თვალსაზრისით, ქრესტომათიული ნაწარმოებია ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, რომელშიც ჩემ მიერ ხსენებული სიღარიბის ხუთივე გამოვლინება თვალნათლივ არის წარმოჩენილი. თავიდან სოლომონ ისაკიჩი შემოსავლების მიხედვით ძალიან მდიდარი, მაგრამ მოხმარების დონითა და ცხოვრების წესით უკიდურესად ღარიბი იყო. სოლომონ ისაკიჩმა ნორმალური ცხოვრების დაწყება რომ გადაწყვიტა (სხვათა შორის, მეჯღანუაშვილს რეალური პროტოტიპი ჰყავდა), უწინარესად, შიმშილის სიღარიბე დაძლია — ოჯახში საკვები მიიტანა. შემდეგ აღმოაჩინა, რომ შვილებსა და მეუღლეს, თვითონაც დაფლეთილი ტანსაცმელი ეცვათ და საშემოსავლო სიღარიბე დაძლია. ამის შემდეგ უკვე არამონეტარული სიღარიბის დაძლევის ჯერი მოვიდა და, უბრალოდ, მრთელი კი არა, მოდური ტანსაცმელი შეიძინა. მართალია, მისმა ქალიშვილმა ბეჭდები ხელთათმანზე გარედან წამოიცვა, რაც ინტელექტუალური სიღარიბითაა გამოწვეული, მაგრამ არამონეტარული სიღარიბე წარმატებით იქნა დაძლეული. მომდევნო ეტაპზე სოლომონ ისაკიჩმა უკვე სტრუქტურული სიღარიბის დაძლევა დაიწყო: წავიდა ოპერაში (მართალია, შუა წარმოდგენისას ტაში დაუკრა, მაგრამ „ხდება ხოლმე“); გადაწყვიტა, ალექსანდრე რაინდიძესთან დამოყვრება და საზოგადოებაში გამოსვლა და ა.შ. ბოლო ეტაპზე კი გაახსენდა, რომ მის გვარში ძალიან ცუდად ერია „ჯღანი“ და გვარის გაკეთილშობილებაც სცადა, რაც მენტალური სიღარიბის შემადგენელი ელემენტია. და, თუ დავაკვირდებით, სიღარიბის სხვადასხვა გამოვლინების დაძლევის არც ერთ ეტაპზე სოლომონ ისაკიჩი კმაყოფილი არ ყოფილა, არა იმიტომ, რომ უკან მოტოვებული დუხჭირი ცხოვრების წესი მოსწონდა, არამედ იმიტომ, რომ გამოჩენილი ახალი ორიენტირები იყო მისაღწევი. კლასიკა კი კლასიკა იმიტომაა, რომ ყველა დროში ერთაირად მოქმედებს. ლიტერატურული პარალელების კიდევ ბევრი შესაძლებლობაა, მაგალითად, „დათა თუთაშხია“, ასევე, ძუნწი რაინდი — გობსეკი და მრავალი სხვა.

ეს — რაც შეეხება სიღარიბის შემცირებისა და უკმაყოფილების ხარისხის შეუსაბამობის განმსაზღვრელ ობიექტურ გარემოებებს. **არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კმაყოფილებისა და უკმაყოფილების დონეებს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საზოგადოებაში არსებული საინფორმაციო ველი. ამ მხრივ ჩვენს საზოგადოებაში სრული კატასტროფაა.** ქართულ საინფორმაციო სივრცეში, უბრალოდ, აკრძალულია რაიმე კარგის აღნიშვნა, თუ დადებითი მოვლენა ისეთი თვალში საცემი არაა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი, რომელიც იმდენად უდავოა, რომ კონტრარგუმენტი არ არსებობს. მაგალითად, **ლაშა ტალახაძემ** დაივიწყა გრავიტაციის კანონი და ასწია უსაშველოდ მძიმე წონა. ამას ვერაფერს მოუხერხებ და, გინდა თუ არა, უნდა თქვა, მაგრამ არა უმეტეს. ასეთი ნეგატიური საინფორმაციო გარემო პირდაპირ მოითხოვს უკმაყოფილების მიზეზების ძებნას, რომელთა პოვნაც ყოველთვის და ყველა საზოგადოებაში სავსებით შესაძლებელია. ჩვენთან საინფორმაციო დღის წესრიგი ცალსახად ნეგატივზეა მიმართული.



მიწა — ჩვენი მარჩენალი

**— თურქეთი საქართველოსთვის სამომხმარებლო საქონლის მთავარი იმპორტიორი ქვეყანაა. თურქული ვალუტის გაუფასურებამ პროპორციულად გააიაფა თურქული საქონელიც; რა თქმა უნდა, ისიც, რომელიც ჩვენ შემოგვაქვს. ერდოღანმა სპეციალური განცხადებაც კი გააკეთა ლირის გაუფასურების თაობაზე და თურქ მწარმოებლებს მოუწოდა (მისი მმართველობის სპეციფიკიდან გამომდინარე — მოსთხოვა), ფასები არ გაეძვირებინათ. ლოგიკა ისაა, რომ თურქულ საქონელზე ჩვენთან ფასები უნდა შემცირებულიყო. პირიქით კი მოხდა: ფასები მუდმივად იმატებს. რატომ ხდება ასე?**

— უწინარეს ყოვლისა, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ სამომხმარებლო ფასების ცვლილება (ინფლაცია) და ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილება (დევალვაცია). საქართველოში ბოლო წლებში ლარის გაუფასურებისა და სამომხმარებლო ფასების ზრდის ტემპი განსხვავებული იყო. მაგალითად, ის, რომ თურქეთიდან იმპორტიც გაიაფდა, ამიტომაც სამოხმარებლო ფასების ზრდა არ ყოფილა ისეთი მკვეთრი, როგორც ლარის კურსის გაუარესება. რაც შეეხება სამომხმარებლო ფასების ზრდას, ეს გლობალური ტენდენციაა და საქართველო, როგორც გლობალური სისტემის არცთუ გადამწყვეტი ნაწილი, ამ ტენდენციას გვერდს ვერ აუვლის.

**— და მთავარი შეკითხვა: გეთანხმებით, რომ „აუცილებელია განვითარების დეტალური სტრატეგიის შემუშავება, უნდა გაკეთდეს განვითარების დეტალური მოდელი, რომლის გარეშეც ქვეყანა ჰგავს მართვადაკარგულ ხომალდს“. რატომ არ შეიმუშავებს ჩვენი მთავრობა ამ სტრატეგიას? კვალიფიკაციის ნაკლებობის მიზეზია თუ შეგნებულად გვერდს უვლის? თქვენეული ხედვით, როგორი უნდა იყოს ეს სტრატეგია?**

— ეს კითხვა მთავრობას უნდა დაუსვათ. იგივე კითხვა შეიძლება დაუსვათ პოლიტიკური ამბიციების მქონე თითოეულ გაერთიანებას. მე ვერ გეტყვით, რატომ არ აკეთებენ ამას მთავრობა ან სხვა პოლიტიკური ძალები, რომლებსაც მთავრობის შეცვლის ამბიცია აქვთ. მე შემიძლია გითხრათ ჩემი მოსაზრება, თუ როგორი უნდა იყოს ეს დოკუმენტი. აქვე ვიტყვი, რომ ეს არ არის ერთი ან ორი დღის საქმე. ძალიან სერიოზული სამუშაოა, რომელიც ძალიან მაღალ კვალიფიკაციასა და საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. ამას შეიძლება დავარქვათ სიმეტრიული განვითარების სტრატეგია, შეიძლება დავარქვათ ინკლუზიური განვითარების სტრატეგია. მთავარია, რომ ეს იყოს ჩვენი ქვეყნის განვითარების სტრატეგია, ჩვენი ქვეყნის მომავლის მოდელი, რომელშიც თითოეული მოქალაქე საკუთარ თავს დაინახავს. ჩემი აზრით, სტრატეგიის ძირითადი ვექტორები ასეთი უნდა იყოს:

**1. ძირითადი პრინციპები:**

1.1. ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი და შეუქცევადი ზრდა;

1.2. ეკონომიკურ ზრდაში მოსახლეობის მაქსიმალურად ჩართვა;

1.3. ქვეყნის სიმეტრიული განვითარება და განვითარების პროცესში პერიფერიების აქტიური ჩართვა;

1.4. ეკონომიკური ზრდის მკვეთრად დადებითი სოციალური ზეგავლენა;

1.5. შიდა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების პრიორიტეტულობა;

1.6. ორიენტირი გრძელვადიან პერსპექტივებზე.

**2. პრობლემა: არ არსებობს განვითარების სისტემურად გააზრებული სტრატეგია. კერძოდ:**

2.1. პროგრამული დოკუმენტების უმეტესობა დეკლარაციული ხასიათისაა;

2.2. პროგრამები ერთმანეთთან თანხვედრაში არაა;

2.3. პროგრამებს არ გააჩნია მონიტორინგისა და შეფასების ზომვად ინდიკატორთა ბადე;

2.4. აქედან გამომდინარე, პროგრამების შესრულების ხარისხი ბუნდოვანია და პროგრამების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებლობა გაურკვეველი;

**3. მიზანი: განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც იქნება:**

3.1. მაღალი დეტალიზაციის:

3.1.1. გეოგრაფიული ნიშნით: რეგიონების, მუნიციპალიტეტების და ცალკეული მიმართულებებით საკრებულოების დონეზე;

3.1.2. ეკონომიკური საქმიანობის ნიშნით — NACE2 კლასიფიკატორის ორნიშნა, სამნიშნა და ცალკეული მიმართულებებით შეიძლება ოთხნიშნა დონეზე;

3.1.3. ღონისძიებების მიხედვით, შემუშავებული იქნება გრძელვადიანი სამთავრობო პროგრამების ჩამონათვალი, რომლებიც მაქსიმალურად დეტალიზებული და პროგნოზირებადი იქნება;

3.2. თეორიულად გამართული:

3.2.1. დეტალურად აღწერილი და დასაბუთებული იქნება მიდგომები;

3.2.2. მოცემული იქნება მონიტორინგისა და შეფასების ზომვად ინდიკატორთა ბადე, რომელშიც აღწერილი და კლასიფიცირებული იქნება თითოეული მაჩვენებელი;

3.2.3. მოცემული იქნება საპროგნოზო გათვლები და შემუშავებული იქნება პროგნოზირების სისტემა;

**4. ამოცანები: სტრატეგიის შემუშავების ეტაპები:**

4.1. დიაგნოსტიკა და არსებული მდგომარეობის შეფასება, რომელზეც განისაზღვრება სიღარიბისა და უთანაბრობის შეფასების ძირითადი მიდგომები, ჩატარდება არსებული ინფორმაციული მასივების ანალიზი, აიგება სიღარიბის პროფილი;

4.2. მოდელის შემუშავება — არსებული მდგომარეობის შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი გარემოებებიდან გამომდინარე, მომზადდება შემდგომი განვითარების მოდელი, რომელიც ასევე მაღალ დონეზე იქნება დეტალიზებული;

4.3. მოდელის რეალიზაციის მექანიზმების შემუშავება — შემუშავებული იქნებ მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სამთავრობო პროგრამების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შემუშავებული მოდელის პრაქტიკაში რეალიზაციას;

4.4. მონიტორინგისა და შეფასების სისტემა — მონიტორინგისა შეფასების სისტემის შემუშავება მთელი პროექტის მიმდინარეობისას გაგრძელდება, მაგრამ მოდელის რეალიზაციის მექანიზმის შემუშავების შემდეგ მომზადებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ალგორითმი, კლასიფიცირებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორები თავისი განმარტებით, გაანგარიშების მეთოდითა და ინფორმაციის წყაროების მითითებით;

**5. შედეგები: შემუშავებული იქნება განვითარების სისტემურად გააზრებული და სიცოცხლისუნარიანი სტრატეგია, რომელშიც განვითარების პროცესი მკაფიოდ იქნება გააზრებული.**

5.1. დროში — შესაბამისი მაჩვენებლების დღემდე არსებული და საპროგნოზო მაჩვენებლების დროითი მწკრივი;

5.2. სივრცეში — გეოგრაფიული, ეკონომიკური საქმიანობებისა და სხვა ჭრილებში ჩაშლილი დღემდე არსებული და საპროგნოზო მაჩვენებლები.

**მე თუ მკითხავთ, ასეთი სტრატეგია, სულ ცოტა, 30 წლის წინათ უნდა შემუშავებულიყო. მას შემდეგ ყოველი წელიწადი დაგვიანებაა და მომავალშიც, რამდენი დღითაც გადაიდება ეს სამუშაო, ზუსტად იმდენი დღე იქნება დაგვიანება. ეს ბანალური არითმეტიკა იმიტომ მოვიხმე, რომ ყოველი დაგვიანებული დღით სასურველი შედეგების დადგომის ვადა სულ უფრო შორს გადაიწევს.**



ნოსტალგია: „იქ, სადაც უწინ კიოდა ტურა...“

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფულსა და სისხლს მოწყურებული საერთაშორისო იმპერიალიზმის მამები თუ მათი დაქირავებული აგენტები ამაოდ ებრძოდნენ მკვდარ სტალინს 70 წლის განმავლობაში, მაგრამ მისი შრომის შედეგებსა და გრანდიოზულ მიღწევებს ვერაფერი დააკლეს. რაც მეტი იყო სიცრუე და ცილისწამება, მით მეტი იყო წინააღმდეგობა. მზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა მათი ჭუჭყიანი ხელისგულებით ვერ დაიფარა.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №01-3, 2020 წელი

# სტალინი — გენიოსი?!

**დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი 1959 წლის 21 დეკემბერს, სტალინის 80 წლისთავზე, თემთა პალატაში გამოსვლისას თავის ცნობილ სიტყვაში აღნიშნავდა: „რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა გენიოსი მხედართმთავარი სტალინი“.**
**ჩერჩილს ნამდვილად ეკადრებოდა სტალინის გარდაცვალებიდან 7 და კოალიციის დაშლიდან 15 წლის გასვლის შემდეგ ყოველგვარი აღფრთოვანებისა და ემოციის გარეშე ჯეროვნად შეეფასებინა ფაშიზმის დამარცხების საქმეში ცენტრალური ფიგურის როლი და სტალინისთვის გენიოსი ეწოდებინა.**

**ცნება „გენიოსი“** მოიცავს განუზომელ პარამეტრებს, რომლებზეც მსჯელობს საზოგადოების უმაღლესი ელიტა, შორეული ცივილიზაციებიდან დღემდე. ჩვენც მივყვეთ საზოგადოების ელიტური ნაწილის მოთხოვნებს, რომელსაც გენიოსს უყენებენ. ჩვენს პირობებში როგორ მართლდება ჩერჩილის შეფასება სტალინის, როგორც გენიოსის, მიმართ; რომელ პარამეტრებს უნდა აკმაყოფილებდეს გენიოსი ადამიანი:

**1. „აზრის სიღრმე, წარმოსახვის სიძლიერე და სულის აქტიურობა“.**
**დენი დიდრო**

სტალინის შემთხვევაში აზრის სიღრმის ერთი ნათელი მაგალითი არის ის, რომ მან 1931 წელს განაცხადა:

**„ჩვენ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს 50-100 წლით ჩამოვრჩებით, თუ ამ ჩამორჩენას 10 წელიწადში არ დავძლევთ და მათ არ დავეწევით, ისინი გაგვსრესენ“.**

XX საუკუნის 30-იან წლებში იყო გაუგებრობები და ხალხის მტრების მიერ მოწყობილი სისხლიანი კალოები, მაგრამ ეს იყო უდიდესი აღმავლობის წლებიც, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის უმაგალითო წარმატების წლები, რომლებმაც საბჭოთა ქვეყანასა და ხალხს შესძინა მხნეობა, გამბედაობა, შეაიარაღა მაღალხარისხიანი საბრძოლო ტექნიკით, რომლითაც კაცობრიობა გადაურჩა კატასტროფას 1941-45 წლებში. ეს იყო სწორედ სტალინის აზრის სიღრმე.

რაც შეეხება **წარმოსახვის სიძლიერეს**, ეს ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება, რაც მან 1925 წლის 30 მარტს კომინტერნის აღმასკომის სხდომაზე განაცხადა:

**„უეჭველად მცდარად უნდა ჩაითვალოს სემიჩის ცდა — განიხილოს ნაციონალური საკითხი იუგოსლავიაში საერთაშორისო ვითარებისა და ევროპაში მოსალოდნელ პერსპექტივების შესახებ. სემიჩი, ეყრდნობა რა იმას, რომ ამჟამად ხორვატებსა და სლოვენებში არ არსებობს სერიოზული სახალხო მოძრაობა დამოუკიდებლობისთვის, მიდის დასკვნამდე, რომ ერთა გამოყოფის უფლების საკითხი აკადემიური საკითხია, ყოველ შემთხვევაში აქტუალური არ გახლავთ. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. კიდევაც რომ დავეთანხმოთ, რომ ეს საკითხი ამჟამად აქტუალური არ არის, იგი შეიძლება სავსებით აქტუალური გახდეს, თუ ომი დაიწყო ან, როცა ომი დაიწყება, თუ ევროპაში რევოლუცია მოხდა, ან როცა იგი მოხდება. ხოლო ომი რომ აუცილებლად დაიწყება და რომ ისინი იქ აუცილებლად წაეკიდებიან ერთმანეთს, უეჭველია, თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმპერიალიზმის ბუნებასა და ვითარებას“.**

მკითხველი მიხვდება, რომ ეს „წარმოსახვის სიძლიერე“, რომელსაც მას მეცნიერები უწოდებენ — რიგითი მოკვდავის ენით მომავლის დანახვა, ანუ წინასწარმეტყველებაა, რომელსაც სტალინი ფლობდა. რაც შეეხება სულის აქტივობას, აქ სტალინი შეუცნობელია.

* სტალინი, როდესაც ზუბალოვოს აგარაკის კომენდანტ **ეფიმოვს** წერილს სწერდა, ვასილი (შვილი) ბებიას (სიდედრს) მოარიდეთ, ზედმეტი დათმობებით რყვნისო, პარალელურად, აკადემიკოს **ნიკოლაი ციცინს** ხორბლის მრავალწლიანი ჯიშის გამოყვანაზე ესაუბრებოდა, მისაღებში კი ჰიდროტექნიკის სპეციალისტი, აკადემიკოსი **ჟუკი** ელოდებოდა კუიბიშევის ელექტროსადგურის პროექტის გეგმის მისაღებად.

* ამ პერიოდში გადამწყვეტ ფაზაშია მოსკოვის მეტროპოლიტენის დაპროექტება სტალინის მიერ შემუშავებული გეგმით;

* თავაუღებლად მუშაობს „მფრინავი ტანკის“ ტექნიკურ პირობებზე, რომლის დეტალებიც ეს-ეს არის უნდა გადასცეს კონსტრუქტორს; საათობით უსმენს და სათანადო დასკვნებს აკეთებს რადიოლოკაციის სპეციალისტის, აკადემიკოს **ბერგის** ლექციებიდან;

* კონსტრუქტორ **გრაბინთან** ერთად უშუალოდ არის ჩართული ზარბაზნების დეტალების სრულყოფის საქმეში და საგამოცდო პოლიგონზე თვალყურს ადევნებს სროლის შედეგებს;

* კონსტრუქტორ **კოშკინთან** ერთად ქმნის ლეგენდარულ ტანკს — ტ-34-ს და მასზე სტალინის უშუალო მითითებით ამონტაჟებენ შესაფერისი დიამეტრის ქვემეხს;

* აშენებს დღემდე საოცრებად მიჩნეულ სტალინურ მაღლივ შენობებს;

* აძლევს შენიშვნებს კარიკატურისტ **ეფიმოვს**, რომ სამურაის დახატვა ეშვებით არ შეიძლება, რადგან ეს „ეროვნული ღირსების შელახვაა“;

* კომპოზიტორ **ალექსანდრე ალექსანდროვს** ურჩევს რეპერტუარს და უზუსტებს ტონალობას;

*** ალექსანდრე კორნეიჩუკთან** ერთად კონსპირაციულად წერს პიესა „ფრონტს“ და აქვეყნებს გაზეთ „პრავდაში“.

* დეტალურად იხილავს მოსკოვის დაცვის გეგმას და პარალელურად პოლიტბიუროს სხდომაზე გააქვს საკითხი საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის გახსნის თაობაზე;



**სტალინმა, როგორც ზევსმა, ცეცხლი, ატომური ენერგია სინათლის წყაროდ მისცა ხალხს და ააშენა მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური. სტალინმა ატომური ენერგია, რომელიც, ბევრის აზრით, ნგრევისთვის იყო შექმნილი (და ასეც იყენებდნენ) ხალხთა კეთილდღეობის სამსახურში ჩააყენა. მან მტკიცედ შეუტია კოსმოსსაც. სტალინის დაწყებული საქმის დაგვირგვინება იყო დედამიწის გარშემო თანამგზავრის გაშვება, რასაც მოჰყვა ადამიანის კოსმოსში გასვლა**

* სტალინგრადის დაცვის მსოფლიოში არნახული ბრძოლების ფონზე, პოლიტბიუროს სხდომაზე გააქვს საკითხი ფრონტიდან სპორტსმენთა გამოწვევისა და 1943 წლის შემოდგომაზე სპორტის რამდენიმე სახეობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე;

* უშუალოდ ხელმძღვანელობს კინოფილმ „გიორგი სააკაძის“, როგორც სცენარის, ასევე გადაღების ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას;

* მოსკოვის დიდ და აკადემიურ თეატრებში უშუალოდ ხელმძღვანელობს როგორც რეპერტუარის შედგენას, ისე მისი განხორციელების მიმდინარეობას;

* უდიდეს ძალისხმევას ახმარს საპარაშუტო სპორტის განვითარებასა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას;

* საბჭოეთის უკიდეგანო ტერიტორიაზე გაჰყავს სარწყავი არხები და აშენებს მილიონობით ჰექტარ ქარსაცავ ზოლს;

* შეიმუშავებს ბერლინის ოპერაციას, რომელიც ომების ისტორიაში კლასიკური ოპერაციის ნიმუშად ითვლება, რომ არაფერი ვთქვათ სტალინურ 10 დარტყმაზე და 227-ე ბრძანებაზე, „რომელთა ავტორობაც ისევე მიეწერება ღმერთს, როგორც ადამიანს“.

ფსიქიკის ასეთი სწრაფი ცვალებადობა არ შეიძლება იყოს ბუნებრივი, მას სხვა, გარეშე ძალებიც ეხმარება მოქმედებაში.

**2. „მოთმინება. შრომის, შეუპოვრობის აპოლოგია“.**
**ჟორჟ ლუი**

თუ გადავხედავთ სტალინის ცხოვრებისა და შემოქმედების გზას, ის მუდმივად მოთმინების რეჟიმში ცხოვრობდა. დაჟინებით ჭედდა თავის მომავალს, როგორც იმიერპოლარეთში უმზეო დღისა და უმთვარო ღამის ცხოვრების პირობებში. რევოლუციური გადასახლებებისა თუ იატაკქვეშა მოღვაწეობის მძიმე წლებს გაატანა თავისი ახალგაზრდობისა და სიხარულის წლები. მოთმინებისა და რწმენის უპრეცედენტო მაგალითს წარმოადგენს მოსკოვის მისადგომებთან მისული კაციჭამიების წინ, წითელ მოედანზე, 1941 წელს გამართულ, ტრადიციულ საშვიდნოემბრო აღლუმზე სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვები:

**„კიდევ რამდენიმე თვე, კიდევ ნახევარი წელიწადი, შეიძლება ერთი წელიც, მეტიც და ჰიტლერულ გერმანიას თავისი დანაშაულებრივი სიმძიმე გასრესს“.**

**სწორედ ერთი წლის შემდეგ ნაცისტების საუკეთესო არმია ფელდმარშალ პაულიუსის ხელმძღვანელობით, რომელშიც 300 ათასი სამხედრო ირიცხებოდა, სტალინის ბრძნული გათვლებითა და უშუალო ხელმძღვანელობით სტალინგრადთან საბჭოთა მეომრების რკინის სალტეში იქნა მომწყვდეული და ფერდმარშალ პაულიუსთან ერთად ტყვედ აყვანილი. სწორედ სტალინის ქალაქში ჩაესვენა ჰიტლერის მზე გამარჯვებისა, რომელიც სტალინის მოთმინების, მომზადებისა და ბრძნული გადაწყვეტილებების შედეგად განხორციელდა.**

ფულსა და სისხლს მოწყურებული საერთაშორისო იმპერიალიზმის მამები, თუ მათი დაქირავებული აგენტები ამაოდ ებრძოდნენ მკვდარ სტალინს 70 წლის განმავლობაში, მაგრამ მისი შრომის შედეგებსა და გრანდიოზულ მიღწევებს ვერაფერი დააკლეს. რაც მეტი იყო სიცრუე და ცილისწამება, მით მეტი იყო წინააღმდეგობა. მზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა მათი ჭუჭყიანი ხელისგულებით ვერ დაიფარა.

დედამიწაზე ადამიანის გაჩენიდან დღემდე, ჯერჯერობით ვერ მოინახა კაცი, რომელსაც იმდენ წიგნთან, მეცნიერულ მიღწევასა და გამარჯვებასთან ჰქონოდა შეხება, რამდენიც სტალინს. მისი შრომის შედეგის და-



ვოლგა-დონის არხის გახსნა

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინის მმართველობის პერიოდში საბჭოთა მოქალაქე სოციალურად ყველაზე დაცული მოქალაქე იყო დედამიწაზე. სწორედ ეს იყო წინაპირობა, რომ ჩვენმა ქვეყანამ ყველასგან დამოუკიდებლად, ყოველგვარი სესხისა და დახმარების გარეშე შექმნა სოციალური საფუძველი, ყოფილიყო პლანეტაზე ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო.

◀ სანახავად ჯერ კიდევ არ გასულა საკმარისი ხანი.

**3. „გენიალური ადამიანი არ წარმოადგენს მხოლოდ მორალურ არსებას, როგორიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ის მსოფლიო ინტელექტის მქონე არსებაა, ამიტომ უმეტესად სხვებისთვის ცხოვრობს, ვიდრე საკუთარი თავისთვის“.**

**არტურ შოპენჰაუერი**

სტალინი არ არის გულმოწყალე „ხელმწიფე“, რომელიც ოქროთი სავსე ქისით დადის და მოწყალებას ურიგებს გაჭირვებულებს, რათა მათ მეფისთვის ილოცონ. სტალინმა კარგად იცის, რომ მადლიერება ერთგულებას არ ნიშნავს და ლოცვა-კურთხევით ქვეყანა არ აშენდება. მიუხედავად ამისა, სტალინი ერთი წუთითაც არ კარგავს ადამიანურ მორალს და ის კარგი მასპინძელიც არის და კარგი მეგობარიც, მხოლოდ იმ მომენტში და იმ საათებში, როდესაც ის სახელმწიფო საქმეებით არ არის დატვირთული. სამწუხაროდ, ამის ბედნიერება სტალინს ნაკლებად ჰქონდა.

დღევანდელი მკითხველი და მკვლევარიც სწორედ იმ ჟანრით არის დაინტერესებული, რომელსაც ყველაზე ცოტა დრო უკავია სტალინის შემოქმედებაში, გევრდზე რჩება ის გასაოცარი საქმეები, რომელთა გაკეთებაც ღმერთკაცმა შეძლო — მან შეძლო შეუძლებლის შესაძლებლად ქცევის თვალსაჩინო მაგალითები მოეცა ჩვენთვის.

*** სტალინმა პირველმა დაამკვიდრა დედამიწაზე რვასაათიანი სამუშაო დღე.**

*** სტალინმა პირველმა აკრძალა მუშებისა და მოსამსახურეების გათავისუფლება სამუშოდან პროფკავშირსა და პარტიასთან შეუთანხმებლად.**

* სტალინმა პირველმა შემოიღო შრომის უფლება: უმაღლესი სპეციალური განათლების კურსდამთავრებულმა ახალგაზრდამ ჯერ კიდევ სასწავლებლიდანვე იცოდა, სად, რომელ სამუშაო უბანზე იყო მისთვის დაჯავშნილი ადგილი.

* სტალინმა პირველმა შემოიღო უფასო განათლება ყველა რგოლსა და საფეხურზე.

* სტალინმა უზრუნველყო უფასო სამედიცინო მომსახურება 300-მილიონიან ქვეყანაში.

* სტალინმა დანერგა უფასო საბინაო უზრუნველყოფა და მომსახურება. სტალინმა პირველმა შემოიღო აზრის გამოთქმის თავისუფლება სოციალური პირობების შესახებ კრებებსა და პრესაში (და არა პოლიტიკური ყბედობა).

* სტალინმა პირველმა მოუწოდა ხალხს, დაეცვა თავისი ქვეყანა ადგილობრივი სახელმწიფო მოხელეებისგან, თუ ამის აუცილებლობა დადგებოდა.

* სტალინის მმართველობის პერიოდში ახალ კურსდამთავრებულს, რომელიც განაწილებით მიდიოდა სამუშაოდ შორ მანძილზე, ადგილზე ჩასვლისთანავე უნაზღაურდებოდა გზის ხარჯები, სათანადო საცხოვრებელი ადგილის მიჩენით.

* სტალინის მმართველობის პერიოდში დედას ბავშვის გაჩენისთვის 3 წლით ნაწილობრივ ან მთლიანად ხელფასის ანაზღაურებით ეძლეოდა შვებულება სამუშაო ადგილის შენარჩუნებით.

* სტალინის მმართველობის პერიოდში ახალშობილს უფასოდ ამარაგებდნენ რძით დაბადებიდან 1 წლის განმავლობაში, თუ ამის აუცილებლობა არსებობდა.

* სტალინის მმართველობის პერიოდში ბავშვთა სანიტარულ-საკურორტო მკურნალობა ნებისმიერ დაავადებაზე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ტარდებოდა.

* სტალინის მმართველობის პერიოდში საბჭოთა მოქალაქე სოციალურად ყველაზე დაცული მოქალაქე იყო დედამიწაზე. სწორედ ეს იყო წინაპირობა, რომ ჩვენმა ქვეყანამ ყველასგან დამოუკიდებლად, ყოველგვარი სესხისა და დახმარების გარეშე შექმნა სოციალური საფუძველი, ყოფილიყო პლანეტაზე ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო.

**ომის შემდგომ საბჭოთა ქვეყნის სამეცნიერო თუ ტექნიკურმა პოტენციალმა გააოგნა იმჟამინდელი მსოფლიო. ამის შედეგი იყო 1946 წლის 5 მარტს ამერიკის ქალაქ ფულტონში ინგლისის ყოფილ პრემიერმინისტრ უინსტონ ჩერჩილის გამოსვლა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ცივი ომის გაჩაღებას.**

სამი სისხლისმღვრელი ომის გამოვლის შემდეგ სტალინს კვლავ მტკიდეც ეჭირა სახელმწიფოს მართვის სადავეები და უძლეველ საბჭოთა ხომალდს უსაფრთხოდ მართავდა კაპიტალიზმის მრისხანე ტალღებში. ამის შედეგი იყო ის, რომ **მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აღმშენებლობამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია: ფერფლიდან აღდგა ევროპის აღმოსავლეთი ნაწილი, აყვავდა სოფლის მეურნეობა, გიგანტური ნაბიჯები გადაიდგა მრეწველობაში, არ იმუშავა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ტრუმენის მომარჯვებულმა „კომბალმა რუსი ბიჭებისთვის“. 1949 წელს საბჭოთა კავშირში წარმატებით გამოსცადეს ატომური ბომბი, ამის შემდეგ სტალინმა თავისუფლად ამოისუნთქა.**

სტალინმა, ამერიკელებისგან განსხვავებით, სრულიად სხვა, ახალი გზა მისცა ატომურ ენერგიას.

* სტალინმა ააგო მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელი გემი.

*** სტალინმა, როგორც ზევსმა, ცეცხლი, ატომური ენერგია სინათლის წყაროდ მისცა ხალხს და ააშენა მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური; სტალინმა ატომური ენერგია, რომელიც, ბევრის აზრით, ნგრევისთვის იყო შექმნილი (და ასეც იყენებდნენ) ხალხთა კეთილდღეობის სამსახურში ჩააყენა. მან მტკიცედ შეუტია კოსმოსსაც. სტალინის დაწყებული საქმის დაგვირგვინება იყო დედამიწის გარშემო თანამგზავრის გაშვება, რომელსაც მოჰყვა ადამიანის კოსმოსში გასვლა.**

მკითხველო, **გთხოვთ, კიდევ ერთხელ ჩაიკითხოთ და დაფიქრდეთ ყოველ ცალკეულ დებულებაზე — იყო თუ არა ეს სინამდვილეში? და ყოველივე ეს შეძლო ადამიანმა შინაურ და გარეშე მტრებთან გაჩაღებულ სისხლისმღვრელ ომში, სულ დიდი 30 წლის განმავლობაში.**

სტალინის სიკვდილის შემდეგ, პარტიული ელიტის მიერ მოწყობილ „ხალხის სამსჯავროზე“ (პარტიის მე-20 ყრილობაზე), რომელზეც გარდაცვლილი სტალინის მთავარ ბრალმდებლად **ნიკიტა ხრუშჩოვი** გამოდიოდა, ხალხის ბელადს ვერც გაკეთებული საქმეები და ვერც ქონება ვერ ჩამოართვეს. კუბოში ჩასვენებულ სტალინს, ხრუშჩოვის ბრძანებით, ჩამოართვეს გენერალსიმუსის მუნდირიდან აჭრილი ექვსი ოქროს ღილი (შემდეგ თითბრის ღილებით შეუცვალეს) და ოქროს სამხრეები.

1953 წლის 9 მარტს, როდესაც დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ შენიშვნა მისცა მომსახურე პერსონალს, — რატომ აცვია კუბოში სტალინს გაცვეთილი ფეხსაცმელიო, — ატირებულებმა უპასუხეს — „სხვა უკეთესი არა აქვს“...

ბორჯომში ლიკანის აგარაკზე სტალინს ფრანგი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე **მორის ტორეზი** ეწვია, რომელიც რამდენიმე დღით დარჩა სტალინთან. ბაღში გასეირნებისას სტუმარმა დრო იხელთა და სტალინს მოკრძალებით მიმართა: — ამხანაგო სტალინ, ქართველი კომუნისტების თხოვნას ჩემი მოკრძალებული თხოვნაც უნდა დავუმატო და გთხოვოთ, გაათავისუფლოთ, პატიმარი, რომელიც, ქართველ კომუნისტთა მტკიცებით, არ არის დამნაშავე.

სტალინი მოღუშული სახით შებრუნდა სტუმრისკენ და გაღიზიანებული ტონით, (ალბათ, ქართველთა უტაქტობით), პაუზის შემდეგ უპასუხა:

— ამხანაგო ტორეზ, მე კონტინენტების გეოპოლიტიკაზე ვმუშაობ და, აბა, რა ვიცი, ვინ რატომ დააპატიმრეს და, ვინ რატომ უნდა გაუშვან, მათ ხომ აქვთ სასამართლო? — ყვებოდა **აკაკი მგელაძე**.

**4. „გენიოსს შეუძლია, გაიმარჯვოს ყოველგვარ დაბრკოლებაზე, რომელსაც მას მტრული ბედი შეახვედრებს“.**

**ბესარიონ ბელინსკი**

სტალინმა მხოლოდ სიკვდილთან ვერ გაიმარჯვა, ამიტომ სტალინის ბიოგრაფია ორ ნაწილად უნდა გავყოთ — სიცოცხლის ეპოქა და სიკვდილის ეპოქა. სტალინის სიცოცხლის 70-წლიანმა პერიოდმა შექმნა მისი სიკვდილის შემდგომი მარადიული სიცოცხლე, რომელიც მომავალ ცივილიზაციებშიც გაგრძელდება. არ იქნება **ალექსანდრე მაკედონელი, ცეზარი, ნაპოლეონი** და ადამიანთა მოდგმის არც ერთი სახელი და გვარი. სიცოცხლის მარადიულ სვეტზე კი იქნება ხალხთა ბედნიერებისთვის მებრძოლი, ამირანის მსგავსად კავკასიონზე მიჯაჭვული სტალინის სახელი. გასულ ცივილიზაციებიდან მომავალ ცივილიზაციას ორი სახელი შემორჩება — **მედეა** და **სტალინი** — მრისხანებისა და ერთგულების უდიდესი წარმომადგენლები.

**5. „გენიოსები ბუნების მსგავსად ჰქმნიან“.**

**ალექსანდრე ლოსევი**

თბილისის გარშემო ბუნებამ ორი წყალსაცავი შექმნა — ლისისა და კუს ტბები. სტალინმა ბუნების დარად მესამე გააჩინა — თბილისის ზღვა.

რუსეთის რომელ იმპერატორს არ უფიქრია ვოლგისა და დონის შეერთებაზე, მაგრამ ეს ოცნება ყოველთვის ოცნებად რჩებოდა. სტალინმა არათუ ვოლგა და დონი შეაერთა, ევროპული ნაწილის ხუთი ზღვა დააკავშირა ერთმანეთთან და ერთ სანაოსნო სისტემად აქცია. ეს მერვე საოცრებად აღიქვა მსოფლიომ. პირამიდები, სემირამიდას ბაღები და ვოლგა-დონი?

ბუნების გარდაქმნაზე ფიქრი სტალინმა 1928 წელს დაიწყო, როდესაც პირადი ინიციატივით თვალუწვდენელ რუსეთის სტეპებსა და უდაბნოებში გახსნა აგრომელიორაციის ბაზები. კვლევა 1948 წლამდე გაგრძელდა.

**მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი და ევროპის დიდი ნაწილი ნანგრევების ქვეშ იყო მოყოლილი და ადამიანები თავშესაფარს ეძებდნენ, სტალინი მეცნიერებთან ერთად დედამიწასთან საბრძოლველად ემზადებოდა.**

ამ გიგანტური პროექტის მომზადებაში ოცი წლის განმავლობაში მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის ათი სამეცნიერო ინსტიტუტი: მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტები, მეცნიერებათა აკადემიის ხუთი სპეციალური უწყება, ათი სპეციალური სატყეო და სასოფლო-სამეურნეო უწყება მოსკოვში, ლენინგრადში, ვორონეჟში, ირკუტსკში, კიევში, ნოვოჩერკასკში.

აღნიშნულ პროექტზე მომუშავე ადამიანებს სპეციალური ჯავშანი იცავდა და ომის პერიოდში ჯარში არ გაუწვევიათ. კვლევა არც ერთი წუთით არ შეჩერებულა ოცი წლის განმავლობაში.

დადგა 1948 წელი. კვლევის დაწყებიდან ოც წლისთავზე, 20 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გამოაქვთ დადგენილება: **„ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმა“.**

გეგმას ბუნების გარდაქმნის შესახებ მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვებოდა, რომელიც შედგენილი იყო 20 წლის თავაუღებელი შრომის შედეგად და რომელსაც ომისა თუ მშვიდობის პერიოდში რეგულარულად აკონტროლებდა სტალინი.

გეგმის თანახმად, დაიწყო გრანდიოზული შეტევა გვალვის დასამარცხებლად: ქარსაფრების გაშენებით, წლის საგუბრების, წყალსაცავების აშენებითა და სარწყავი სისტემების განვითარებით.

**გეგმა ითვალისწინებდა გრანდიოზულ ქარსაფართა 8 ზოლის გაშენებას 5300 კილომეტრზე, რომლებსაც უნდა დაეკავებინა 5 709 000 ჰექტარი მიწის ფართობი. 1953 წლამდე ქარსაფარი ზოლი გაშენებული და შევსებული იყო 44 ათასი ჰექტარი მიწა. პროექტი უზრუნველყოფდა 120 მილიონ ჰექტარ მიწაზე სტაბილური მოსავლის მოყვანას, რომელსაც შეეძლო გამოეკვება იმხანად პლანეტის მოსახლეობის ნახევარი.**

**ბუნების გარდაქმნის „დიად სტალინურ გეგმას“ გაეცნო სრულიად მსოფლიო, რომლის გრანდიოზულობამ შოკში ჩააგდო, როგორც მეცნიერთა მრავალათასიანი კოლექტივები, ისე მსოფლიო ქვეყნების ხელისუფალნი.**

**გეგმის გაცნობის შემდეგ გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მომარაგების საქმეთა გენერალური დირექტორის — ბოიდ ორის წერილი, რომელშიც იგი წერდა:**

„ამერიკაში ნოყიერი მიწების მდგომარეობა საგანგაშოა, თითქმის ერთი მეოთხედი სახნავი მიწებისა გამოსულია წყობილებიდან, ამ ქვეყანაში ყოველწლიურად ნადგურდება 3 მილიონი ტონა სახნავი ფენის ზედაპირი. თუ ცივი ომი ასეთი ტემპით განვითარდება და სხვა ქვეყნებმა ასეთი ტემპით დაიწყეს მიწაზე ზრუნვა, მალე გამოჩნდება, ვინ გამოვა ამ ბრძოლაში გამარჯვებული“.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**ნაცისტების საუკეთესო არმია, ფელდმარშალ პაულიუსის ხელმძღვანელობით, რომელშიც 300 ათასი სამხედრო ირიცხებოდა, სტალინის ბრძნული გათვლებითა და უშუალო ხელმძღვანელობით სტალინგრადთან საბჭოთა მეომრების რკინის სალტეში იქნა მომწყვდეული და ფერდმარშალ პაულიუსთან ერთად ტყვედ აყვანილი. სწორედ სტალინის ქალაქში ჩაესვენა ჰიტლერის მზე გამარჯვებისა, რაც სტალინის მოთმინების, მომზადებისა და ბრძნული გადაწყვეტილებების შედეგი გახლდათ**





დატყვევებული ფელდმარშალი პაულიუსი

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შვეიცერის წიგნში დაწვრილებითაა აღწერილი ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენის ოჯახის 5 წევრის მრავალმილიარდიანი კონტრაქტები და ბიზნესპროექტები, თანაც მოვლენათა განვითარების უცნაური გარემოებების ფონზე ბიზნესის წარმოების მათი უნარი მყისვე გაქრა, როგორც კი 2016 წელს ხელისუფლება შეიცვალა. სხვათა შორის, სამხედრო ბიუჯეტის ზემოაღნიშნული აუდიტის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, ხელისუფლების შეცვლა სულაც არ ნიშნავს საეჭვო ხასიათის ფინანსური სქემების ცვლილებას.**

# «მოხერხებული» ამერიკელები — პენტაგონის ბუღალტერიაში 35-ტრილიონიანი შავი ხვრელია

## აი რატომ ექომაგებიან კონგრესმენ-სენატორები «ფრონტერას»

**ამერიკულ ანალიტიკურ მასალებში ხშირად წაიკითხავთ მოსაზრებას, რომ ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი რამდენიმეჯერ მეტია, მაგალითად, რუსეთისა და ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტებზე და ამ მონაცემების შედარებით კეთდება საკმაოდ გულუბრყვილო დასკვნა, რომ კონფლიქტის შემთხვევაში აშშ-ს მარტოდმარტო შეუძლია, წარმატებით ებრძოლოს სრულიად მსოფლიოს.**

უყურადღებოდ დავტოვოთ ფაქტი, რომ ატომური შეკავების, ჰიბრიდული ომებისა და მოწინააღმდეგეზე ასიმეტრიული ზომებით ზემოქმედების ეპოქაში, ბიუჯეტის მიხედვით, სამხედრო ბიუჯეტების შედარება გულუბრყვილობაა. ამაში დავრწმუნდებით, თუ ამერიკის არმიის ამ ლეგენდარულ ბიუჯეტს გულდასმით გავაანალიზებთ. საბედნიეროდ, ეს უკვე გააკეთეს აშშ-ის სახელმწიფო აუდიტორებმა, რომლებმაც თავდაცვის სამინისტრო შეამოწმეს.

ამერიკული მედია შოკირებული იყო აუდიტორების შემოწმების შედეგით: **„პენტაგონის ბუღალტერიაში 35-ტრილიონიანი შავი ხვრელია. მიუხედავად იმისა, რომ ეს სიურპრიზი უნდა ყოფილიყო სტრუქტურისთვის, რომელსაც, როგორც ცნობილია, ყოველთვის ჰქონდა აუდიტთან პრობლემა, პენტაგონმა მაინც განაცვიფრა ზოგიერთი დამკვირვებელი ახალი საფინანსო მაჩვენებლებით. სააგენტო „ბლუმბერგის“ თანამშრომელ ენტონი კარაპაჩოს თქმით, 2019 წელს თავდაცვის სამინისტრომ 35 ტრილიონი დოლარის კორექტივები შეიტანა „საბუღალტრო ანგარიშში“, რომელიც დიდად აღემატება 2018 წელს შეტანილ მსგავს კორექტივებს (30,7 ტრილიონი)“,** — იუწყება პორტალი Yahoo Finance.

ყველა ეს ფული, რა თქმა უნდა, მოპარული არ არის, არც კორუფციულ სქემებშია გამოყენებული, რადგან, დიდი სურვილის მიუხედავად, კორუფციულ სქემებში ვერ გამოიყენებ თანხას, რომელიც მეტია ამერიკის მთლიან შიდა პროდუქტზე და მით უმეტეს — სამხედრო ბიუჯეტზე.

როგორც აღნიშნავენ ამერიკელი ჟურნალისტები, ეს „ბუღალტრული“ ცვლილებები განხორციელდა იმ მიზნით, რომ სამხედრო უწყების ფინანსურ მდგომარეობაში ვერავინ გაერკვეს.

მრავალრიცხოვანი მიწერები, ორმაგი და სამმაგი გამოყენება ერთი და იმავე თანხისა მათი გადარიცხვის მიხედვით სხვადასხვა ანგარიშზე და სხვა საფინანსო ტრიუკები თანხების ხარჯვის ეფექტიანობას შეუძლებელს ხდის. ანალოგიური შედეგი იყო 2018 წლის შემოწმების შემდეგაც. იმხანად საბუღალტრო კორექტივებმა დაახლოებით 30 ტრილიონი დოლარი შეადგინა.

2019 წელს პენტაგონმა ამაყად განაცხადა, რომ აუდიტის მიერ 2018 წელს გამოთქმული პრეტენზიების 23%-ში გაერკვია და ეს დიდ წარმატებად ჩათვალა. იყო მცდელობა, ფინანსური ვითარება შეეფასებინათ „არა ზემოდან, არამედ ქვემოდან“ (ე.ი., ჩაეტარებინათ კონკრეტული დანახარჯების აუდიტი). ეს მცდელობებიც უშედეგოდ დასრულდა.

გამოცემა Salon-ს მოჰყავს ამონარიდი ავღანეთის რეკონსტრუქციის სპეციალური ინსპექტორის ანგარიშიდან: **„10-დან 43 მილიონ დოლარამდე დაიხარჯა ერთი ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობაზე მიყრუებულ ადგილას ავღანეთში <...> 150 მლნ დაიხარჯა მდიდრული კერძო ვილების აშენებაზე ამერიკელებისთვის, რომლებიც ავღანეთს ეკონომიკის გამყარებაში უნდა დახმარებოდნენ, <...> 100 მლნ-ზე მეტი ფუჭად დაიხარჯა პროგრამებზე, რომლებიც მიმართული იყო ავღანეთის მრეწველობის გასაუმჯობესებლად სასარგებლო წიაღისეულის, აგრეთვე, ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოსაპოვებლად ქვეყანაში“.**

ეს ყველაფერი მარტივ ენაზე ასე ითქმის: **სამხედრო მოიჯარეებმა, რომლებიც კერძო კომპანიები არიან ამერიკულ პოლიტიკურ ელიტასთან მჭიდრო კავშირებით, უბრალოდ, ფული „მოტეხეს“ სამხედრო ბიუჯეტიდან. პენტაგონის ან კონკრეტული სამხედრო პროგრამის შემოწმების შედეგების შესახებ გამოქვეყნებული წერილი მედიისთვის უდიდესი სკანდალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მედიათანამეგობრობა და საზოგადოებრივი აზრი ყოველ ჯერზე პოულობდა სხვა გასართობ თემას.** მათ კი, ვინც ნერვიულობს ამერიკის სამხედრო ბიუჯეტის ზომის გამო, უნდა გაითვალისწინონ, რომ **პენტაგონში ჩადებული დოლარების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაიქცა არა ტანკებად და რაკეტებად, არამედ ციფრებად ამერიკელი სამხედრო მოიჯარეებისა და ლობისტების ანგარიშებზე.**

პოლიტიკოსების გასამდიდრებლად სამხედრო და „დიპლომატიური“ ბიუჯეტების გამოყენების პრაქტიკა დაკავშირებულია მეორე ახალ კორუფციულ სკანდალთან, უფრო ზუსტად — ვაშინგტონის კორუფციის მკვლევარ **პიტერ შვეიცერის** სკანდალურ წიგნთან სახელწოდებით „კორუფციის პროფილები“, რომელშიც, მაგალითად, მოხსენიებულია აშშ-ის ყოფილი ვიცეპრეზიდენტი **ჯო ბაიდენი.**

**„ჯეიმს ბაიდენმა (ჯო ბაიდენის ძმა — გ.გ.) მუშაობა დაიწყო Hillstone-ში (სამშენებლო კომპანია — გ.გ.) სწორედ იმ მომენტში, როცა ფირმამ დაიწყო მოლაპარაკებები დიდი კონტრაქტის გაფორმებაზე ომისგან დანგრეულ ერაყში. ნახევარი წლის შემდეგ კომპანიამ განაცხადა, რომ გააფორმა კონტრაქტი 100 ათასი სახლის მშენებლობაზე. ეს იყო 35-მილიარდიანი გარიგების ნაწილი, რომელიც მოიგო სამხრეთკორეულმა კომპანია TRAC Development-მა. Hillstone-მა, აგრეთვე, მოიპოვა 22-მილიონიანი კონტრაქტი აშშ-ის ფედერალური მთავრობისგან სახელმწიფო დეპარტამენტისთვის სამშენებლო პროექტის მართვის შესახებ“.**

სამხრეთ კორეელმა მოიჯარეებმა და მათმა ამერიკელმა პარტნიორებმა — ლობისტებმა ჩააფლავეს პროექტი, რაც თვითონ კომპანიის მფლობელებმა აღიარეს, თუმცა, მეორე მხრივ, მათ არ მორიდებიათ იმის თქმა, რომ იჯარა (ამ იჯარის ფულთან ერთად) პოლიტიკური კავშირების წყალობით მოიპოვეს. **„დეივიდ რიხტერს,** კომპანიის დამფუძნებლის ვაჟს, არ მორიდებია, Hillstone-ს წარმატება სახელმწიფო კონტრაქტების მიღებით აეხსნა. მისი და ინვესტორების დახურული შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, „მართლაც **გეხმარება ის, რომ ვიცეპრეზიდენტის ძმა პარტნიორია“.**


ჯო და ჰანტერ ბაიდენები

**აშშ-ში ურთულესი კორუფციული სისტემის დემონტაჟის მსურველი არავინაა, კონფლიქტი არის მხოლოდ იმის გარშემო, ვინ იქნება მისი ბენეფიციარი მომავალ საარჩევნო ციკლში — რესპუბლიკელები თუ დემოკრატები. ამ კონტექსტში ყველა, ვისაც მართლა სჯერა ვაშინგტონის გულწრფელი სურვილისა, ებრძოლოს კორუფციას სხვა ქვეყნებში, საკმაოდ მიამიტურად გამოიყურება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დავთვლით შემოსავლებს, რომლებიც ამერიკელმა პოლიტიკოსებმა მიიღეს ერაყის, ავღანეთისა და უკრაინის ეკონომიკების ნანგრევებზე**



**შვეიცერის წიგნში დაწვრილებითაა აღწერილი ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენის ოჯახის 5 წევრის მრავალმილიარდიანი კონტრაქტები და ბიზნესპროექტები, თანაც მოვლენათა განვითარების უცნაური გარემოებების ფონზე ბიზნესის წარმოების მათი უნარი მყისვე გაქრა, როგორც კი 2016 წელს ხელისუფლება შეიცვალა. სხვათა შორის, სამხედრო ბიუჯეტის ზემოაღნიშნული აუდიტის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, ხელისუფლების შეცვლა სულაც არ ნიშნავს საეჭვო ხასიათის ფინანსური სქემების ცვლილებას.**

შვეიცერის წიგნში ყურადღებას იპყრობს ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ანგრევეს მითს ამერიკელი პოლიტიკოსების მომეტებულ პატრიოტიზმზე. თუ ეპიზოდში, როცა ჯო ბაიდენის ვაჟმა, რომელსაც არ ჰქონდა არანაირი სპეციალური ცოდნა, მიიღო თანამდებობა და ფული უკრაინის ბუნებრივი აირის კომპანია „ბურისმასგან“, შეიძლება სამართლიანად დავინახოთ აშშ-ისთვის ტრადიციადქცეული თავისი კოლონიის ძარცვა, სხვა ეპიზოდში ასეთი რაღაცის თქმა არ შეიძლება. ზოგიერთ შემთხვევაში **ამერიკელი პოლიტიკოსების ოჯახები ფულს იღებდნენ არა კოლონიებისგან, არამედ ვაშინგტონის გეოპოლიტიკური ოპონენტებისგან. რად ღირს თუნდაც საინვესტიციო ფონდ Rosemont Seneca-ს მაგალითი, რომელიც ერთობლივად გახსნეს ჯო ბაიდენისა და ჯონ კერის შვილებმა.**

„Rosemont Seneca-ს გახსნიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ **ჰანტერ ბაიდენი** და **დევონ არჩერი** ჩინეთში ჩავიდნენ. Rosemont Seneca Partners-მა ჩინელ მაღალჩინოსნებთან მოილაპარაკა ექსკლუზიურ გარიგებაზე, რომელსაც ხელი მოაწერეს 10 დღის შემდეგ, როცა ჰანტერი მამასთან ერთად ეწვია ჩინეთს. ჩინეთში ყველაზე მძლავრი ფინანსური სტრუქტურა არის სახელმწიფო ბანკი Bank of China, რომელმაც Rosemont Seneca-სთან ერთად შექმნა ერთობლივი საწარმო. მოკლედ, **ჩინეთის ხელისუფლება პირდაპირ აფინანსებდა ბიზნესს, რომელსაც ის ფლობდა ორი გავლენიანი ამერიკელის შვილებთან ერთად“,** — წერდა პიტერ შვეიცერი The New York Post-ში ჩინურ და ამერიკულ ოფიციალურ დოკუმენტებსა და ცნობებზე დაყრდნობით.

ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ ამ ერთობლივმა პროექტმა შესაძლებლობა მისცა ჩინელებს, აშშ-დან შეეტანათ ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგია.

**ამ ყველაფერს უნდა დაესამარებინა ამერიკის პოლიტიკის რამდენიმე გავლენიანი კლანი, მაგრამ ასე არ მოხდა. როგორ ხდება, რომ, კორუფციული გარიგებების გამოძიებისა და ჩრდილოვანი ფინანსური სქემების გახსნაზე სკანდალური ბესტსელერის დაბეჭდვის მიუხედავად, კორუფციის აღქმის ყველა სარეიტინგო სიაში აშშ წამყვან პოზიციებზეა, როგორც კორუფციის მხრივ „სუფთა“ სახელმწიფო?**

**პირველი** — ორგანიზაციები, რომლებიც ადგენენ ასეთ სარეიტინგო სიებს, ხშირად ფინანსდებიან იმავე სახელმწიფო წყაროებიდან, ანუ ჩრდილოვანი სქემების იმავე ბენეფიციარებიდან. შესაბამისად, მათ აქვთ აშკარა მიზეზი, არ გაიფუჭონ ურთიერთობა ვაშინგტონთან;

**მეორე** — აშშ-ში ურთულესი კორუფციული სისტემის დემონტაჟის მსურველი არავინაა, კონფლიქტი არის მხოლოდ იმის გარშემო, თუ ვინ იქნება მისი ბენეფიციარი მომავალ საარჩევნო ციკლში — რესპუბლიკელები თუ დემოკრატები. ამ კონტექსტში ყველა, ვისაც მართლა სჯერა ვაშინგტონის გულწრფელი სურვილისა, ებრძოლოს კორუფციას სხვა ქვეყნებში, საკმაოდ მიამიტურად გამოიყურება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დავთვლით შემოსავლებს, რომლებიც ამერიკელმა პოლიტიკოსებმა მიიღეს ერაყის, ავღანეთისა და უკრაინის ეკონომიკების დანგრევით.

**Ria.ru-ზე გამოქვეყნებული ივანე დანილოვის წერილის მიხედვით მოამზადა**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როგორ გააცურა პუტინმა ტრამპი ვენესუელაში? ტრამპის ადმინისტრაციამ ვერ გათვალა, როგორ მხარდაჭერას მიიღებდა პრეზიდენტი ნიკოლას მადურო რუსეთისა და კუბისგან, აგრეთვე, აშშ-ის მოკავშირეებისგან“, — წერენ ანალიტიკოსები, რომლებმაც გულდასმით შეისწავლეს, როგორ შეძლო ვენესუელის ლეგიტიმურმა მთავრობამ დასავლური სამყაროს მახრჩობელა ეკონომიკური სანქციებისა და დიპლომატიური წნეხისთვის წინააღმდეგობის გაწევა.**

# ამერიკული მედია: ვაშინგტონის წინააღმდეგ მუშაობდა ყველა, ერთგული ლონდონელი ბანკირების გარდა, იმიტომ, რომ «მსოფლიო ჰეგემონის» უწინდებური შიში აღარ აქვთ

**ამერიკელი ექსპერტები და ჟურნალისტები კვლავ ცდილობენ ვენესუელაში აშშ-ის დამარცხების მიზეზებში გარკვევას: ვაშინგტონის თავმოყვარეობისთვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ვენესუელის პრეზიდენტად აღიარებული ხუან გუაიდოს ჩაფლავება.**

„დამარცხება აშშ-ის უკანა ეზოში“ — სახელდობრ, ამ რანგში განიხილავენ ოკეანისგაღმელი ექსპერტები სამხრეთ ამერიკას, რაც ორმაგად მტკივნეულია.

კარაკასში ამერიკის მთავარი პრობლემა უკვე იდენტიფიცირებულია, მაგრამ ამერიკული გამოცემა The Wall Street Journal -ის ჟურნალისტები უფრო შორს წავიდნენ და გამოარკვიეს საშინელი რამ: ვენესუელაში ვაშინგტონის გეგმების წინააღმდეგ მუშაობდა კოალიცია ქვეყნებისა, რომელთაგან ზოგიერთი ფორმალურად ითვლება აშშ-ის ერთგულ მოკავშირედ. საფინანსო **ჟურნალების დიაგნოზი გამოიყურება, როგორც „ვაშინგტონელი ქორების“ მიერ შემუშავებული საგარეო პოლიტიკის განაჩენი.**

**„როგორ გააცურა პუტინმა ტრამპი ვენესუელაში? ტრამპის ადმინისტრაციამ ვერ გათვალა, როგორ მხარდაჭერას მიიღებდა პრეზიდენტი ნიკოლას მადურო რუსეთისა და კუბისგან, აგრეთვე, აშშ-ის მოკავშირეებისგან“, — წერენ ანალიტიკოსები, რომლებმაც გულდასმით შეისწავლეს, როგორ შეძლო ვენესუელის ლეგიტიმურმა მთავრობამ დასავლური სამყაროს მახრჩობელა ეკონომიკური სანქციებისა და დიპლომატიური წნეხისთვის წინააღმდეგობის გაწევა.**

ვაშინგტონისთვის მოულოდნელი ვენესუელელი ძალოვანების მადუროსადმი ერთგულების გარდა, „ფერადი რევოლუციისა“ და ეკონომიკური კოლაფსისგან კარაკასის გადარჩენის ფორმულა, Wall Street Journal -ის ვერსიის თანახმად, რამდენიმე საკვანძო ინგრედიენტს შეიცავს: **რუსეთის მხარდაჭერა სანქციების გვერდის ავლით ნავთობის ექსპორტის ორგანიზებაში, კუბის დახმარება სპეცსამსახურების მუშაობის ორგანიზებაში, თურქეთის მზადყოფნა, ემუშავა ფინანსურ შუამავლად და ამერიკის ორი აზიელი მოკავშირის სურვილი, ეყიდა ვენესუელის ნავთობი, სანქციებისა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მრისხანების მიუხედავად.**

რთულია განსაზღვრო, სად მთავრდება საფინანსო და სასაქონლო ნაკადების რეალური ანალიზი და სად იწყება გააფთრებული ანტირუსული და სხვა პროპაგანდა, მაგრამ შეიძლება დარწმუნებით ითქვას: **ოკეანისგაღმური საინფორმაციო ველის მეინსტრიმულ სეგმენტში ამიერიდან იქნება ვერსია, რომ ვაშინგტონის წინააღმდეგ მუშაობს ყველა, ერთგული ლონდონელი ბანკირების გარდა, რომლებმაც ვენესუელის ოქროს მარაგი გაყინეს.**

ყველაზე საინტერესო არის ის, რომ ვენესუელური კრიზისი არ არის „სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი“, მაგრამ, თურქეთისთვის ან ინდოეთისთვის, აქედან გამომდინარე, ამერიკელები შეიძლება მივიდნენ დასკვნამდე, რომ მათ ძალისხმევას სამხრეთ ამერიკის მიმართულებით უპირისპირდება მოკავშირეების საბოტაჟი, არა იმიტომ, რომ მათ სხვა გამოსავალი არ აქვთ, არამედ იმიტომ, რომ „მსოფლიო ჰეგემონის“ მიმართ ისეთი შიში აღარ აქვთ, როგორიც ადრე ჰქონდათ.

The Wall Street Journal-ი გეოპოლიტიკური მოთამაშეების მიმართ ბრალდებების (დაუდასტურებელი) საკმაოდ გრძელ სიას აქვეყნებს.

**THE WALL STREET JOURNAL -ის ანალიზით, რომელიც გაკეთდა IMPORT GENIUS -ის მონაცემების ბაზაზე, თითქმის ნახევარი დაუმუშავებელი ნავთობისა, რომელიც ამერიკის მიერ სანქციების დაწესებიდან 9 თვის შემდეგ ვენესუელიდან იქნა ექსპორტირებული ინდოეთში, შეიძინა ინდოეთ-რუსეთის ერთობლივმა საწარმომ რუსულ გიგანტ „როსნეფტთან“ ერთად.**

ვენესუელის სავაჭრო ანგარიშების მიხედვით, 2018 წელს გაერთიანებულმა არაბულმა საამიროებმა „ოქროს სანქციების“ დაწესების შემდეგ ვენესუელიდან გაიტანეს დაახლოებით მილიარდი დოლარის ოქრო, აშშ-ის დაზვერვის წარმომადგენელთა თქმით კი — გაცილებით მეტი. ისინი ეფუძნებოდნენ იმ ადამიანების ჩვენებებს, რომლებიც ამბობდნენ, რომ ვენესუელის ოქრო ისევე ტოვებდა ქვეყანას, როგორც სხვა სახელმწიფოების (კოლუმბიის, უგანდის) ოქრო.

**„აშშ-ში თურქეთის საელჩო უარყოფს ვენესუელასთან ნავთობით ან ოქროთი ვაჭრობას აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციების გვერდის ავლით. „ეს არის არა ფაქტები, არამედ ვარაუდები და ჭორები“,** — განაცხადა საელჩოს წარმომადგენელმა.

აშშ-ში რუსეთის საელჩომ კი თავი შეიკავა კომენტარისგან, ისევე, როგორც ინდოეთისა და გაერთიანებული არაბული საამიროების წარმომადგენლებმა.

ისე ჩანდა, რომ ამერიკის პრობლემების მოსაგვარებლად არის ერთი უბრალო გადაწყვეტილება: **დაწესდეს სანქციები ყველა იმ ქვეყნისა და კომპანიის წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიან აშშ-ს ვენესუელის „დახრჩობაში“, და ვაშინგტონს ყველაფერი გამოუვა. სახელმწიფო დეპარტამენტისა და დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის ექსპერტები, როგორც ჩანს, ძალიან დაეჭვდნენ „სანქციების ხელკეტის“ ეფექტიანობაში, რომელიც უკვე აღარ მუშაობს, როგორც საგარეო-პოლიტიკური ჯადოსნური ჯოხი.** მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონში ვენესუელის ყველა პარტნიორის წინააღმდეგ მაქსიმალურად მკაცრი სანქციების დაწესების მომხრეები არიან (და ეს გასაკვირი არ არის), ასეთი მიდგომის მოწინააღმდეგენი აღნიშნავენ, რომ ევროკავშირის მხარდაჭერის გარეშე, რომელიც უარს ამბობს ანალოგიური შეზღუდვების დაწესებაზე, არაფერი გამოვა. მეტიც, წნეხში **მოქცევა ამერიკის იმ მოკავშირეებისა, რომლებიც სახელმწიფო დეპარტამენტის ზურგს უკან ყიდულობენ ვენესუელურ ნავთობს და გამოდიან კარაკასის ფინანსურ შუამავლებად, დასრულდება იმით, რომ დაზარალდება აშშ-ის ინტერესები სხვა რეგიონებში, მაგალითად, ირანსა და ახლო აღმოსავლეთში.**

The Wall Street Journal-ის წყაროების დასკვნებით, ძალიან სახალისო სურათი იქმნება: მაგალითად, ინდოეთზე ზემოქმედება, იმისათვის, რომ მან ნავთობი არ იყიდოს ირანისგან, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს ჯერ კიდევ შეუძლია, მაგრამ იმის გაკეთება, რომ ინდოეთმა ნავთობი არ შეიძინოს არც ირანისგან და არც ვენესუელისგან, უკვე არა! ანალოგიური პრობლემებია სხვა სახელმწიფოებთანაც, რომლებსაც აშშ-ისადმი ლოიალურ პარტნიორებად მიიჩნევენ. ამჟამად ეს ლოიალურობა, ძირითადად, დეკლარაციის დონეზეა.

**ერთ-ერთ ვენესუელელ დისიდენტს, რომელიც ამჟამად საგარეო-პოლიტიკურ „გონებრივ ცენტრში“ მუშაობს, ტყუილად არ დაუჩივლია ჟურნალისტებთან იმაზე, რომ „რეჟიმის შეცვლა სამხედრო ძალის გამოუყენებლად რთულია“, — და თუმცა ტრამპმა არაერთხელ ნართაულად მიუთითა ამ სამხრეთამერიკული პრობლემის სამხედრო ძალით მოგვარებაზე, სამხედრო ინტერვენციის რეალურად დაწყების შანსი ძალიან ცოტაა. ბევრი სირთულეა, როგორც იმიჯური, ასევე სამხედრო ხასიათის (მაგალითად, პარტიზანული ომი ვენესუელის ჯუნგლებში), თუმცა THE WALL STREET JOURNAL -ის ანალიზი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა, ოღონდ — აშშ-ის ოპონენტებისთვის.**

განსაცვიფრებელია, რომ ამერიკული მედიასივრცის საუკეთესო ფინანსური და პოლიტიკური სფეროს ანალიტიკოსები ვერ ამჩნევენ კარაკასში პროამერიკული პუტჩის ჩაფლავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს და დიდია ალბათობა იმისა, რომ ვაშინგტონელი პოლიტიკოსები მზად არ არიან, აღიარონ თავიანთი მთავარი პრობლემა.

**სოციალური ქსელების დახმარებით პოლიტიკისა და საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის ტექნოლოგიები „ფერადი რევოლუციების“ ორგანიზაციის საქმეში ისეთი ეფექტიანი იყო, რომ მედიასივრცესა და სოციალურ ქსელებში დომინირება საკვანძო და დიდწილად საკმარის პირობად ჩაითვალა ვაშინგტონისთვის მიუღებელი ნებისმიერი ხელისუფლების დასამხობად. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ვენესუელის შემთხვევაში.** მედიისა და სოცქსელების აზრით, ხუან გუაიდოს ყველაფერი კარგად აქვს, მისი სელფები და ფოტოები მრავალრიცხოვანი მხარდამჭერი მიტინგის ფონზე, რომლებიც სააგენტო Reuters-მა გამოაქვეყნა, მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურება, მაგრამ არის ერთი ნიუანსი, რომელიც რატომღაც არავის აშფოთებს: **ეს ფოტოები არის მადრიდში გამართულ მიტინგზე გადაღებული და არა კარაკასში. ეს ძალიან უცნაური პოლიტიკური „გამარჯვებაა“.**

სააგენტო „ბლუმბერგმა“ გაავრცელა ინფორმაცია (თავის წყაროებზე დაყრდნობით), რომ ვენესუელის მთავრობა გასაყიდად ამზადებს ნავთობის მოპოვების პროექტებს იმ უცხოური კომპანიებისთვის, რომლებიც მზად არიან ვენესუელაში სამუშაოდ, ე.ი., რუსეთის, იტალიისა და არგენტინის კომპანიებისთვის. თუ ეს მართლაც ასე მოხდება, გამოვა, რომ ვენესუელის ნავთობის ხელში ჩაგდების მიზნით ვაშინგტონის ძალისხმევა და „ფერად რევოლუციაში“ ჩადებული ყველა ინვესტიცია დასრულდა ვაშინგტონისთვის გასაოცარი და დამამცირებელი შედეგით: ამერიკელები ნავთობს ხელში ვერ ჩაიგდებენ. სამაგიეროდ, სახელმწიფო დეპარტამენტს შეუძლია გაიხაროს ვენესუელის ყალბი პრეზიდენტის აბსოლუტურად უსარგებლო სელფებითა და ათასობით „ლაიქით“. თუ მომავალშიც ასე გაგრძელდება, „ფერადი რევოლუციების“ მოწყობის ამერიკის მცდელობებზე „ანტიხალხური დიქტატორები“ ბევრს იცინებენ.




**«ფერადი რევოლუციისა» და ეკონომიკური კოლაფსისგან კარაკასის გადარჩენის ფორმულა, Wall Street Journal-ის ვერსიის თანახმად, რამდენიმე საკვანძო ინგრედიენტს შეიცავს: რუსეთის მხარდაჭერა სანქციების გვერდის ავლით ნავთობის ექსპორტის ორგანიზებაში, კუბის დახმარება სპეცსამსახურების მუშაობის ორგანიზებაში, თურქეთის მზადყოფნა, ემუშავა ფინანსურ შუამავლად და ამერიკის ორი აზიელი მოკავშირის სურვილი, ეყიდა ვენესუელის ნავთობი**



ria.ru-ზე გამოქვეყნებული ივანე დანილოვის წერილის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

მკრეხელები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლიბერალური იდეოლოგია, რომელიც ითხოვს სხვების შეურაცხყოფისა და დამცირების უფლებას, იწვევს ასოციაციას არა პარანოიასთან, არამედ სხვა აშლილობასთან — სოციოპათიასთან. ცნობარის მიხედვით, ეს აშლილობა არის „გულგრილობა სხვების გრძნობების მიმართ, უპასუხისმგებლობის უხეში და მედეგი პოზიცია და სოციალური წესებისა და ვალდებულებების უგულებელყოფა.**

# ეს ლიბერალიზმი კი არ არის, რაღაც სოციოპათიაა

## რუსებს თავიანთი გიორგი გაბუნია ჰყოლიათ

**რუსმა ე.წ. მსახიობმა ალექსანდრე დოლგოპოლოვმა სცენაზე წარმოდგენის მიმდინარეობისას უხამსი სიტყვებით მოიხსენია მაცხოვარი და ღვთისმშობელი, შემდეგ კი ქვეყნიდან წავიდა, რათა თავი აარიდოს სამართლებრივ პასუხისმგებლობას. რუსეთში, საქართველოსგან განსხვავებით, მორწმუნეთა მრწამსისა და გრძნობების შეურაცხყოფისთვის პასუხისმგებლობაა დაწესებული.**

ლიბერალურად განწყობილმა ბევრმა კომენტატორმა დაიცვა „ნიჭიერი“ ახალგაზრდა, რომელიც იდევნება კლერიკალიზმის სატრაპებისგან (დამცველებისგან — გ.გ.). თვითონ „დღის გმირმა“ — დოლგოპოლოვმა დაიჩივლა, რომ მორწმუნეთა გრძნობების ამკრძალავი კანონი, ათეისტების დისკრიმინაციაა.

ამ თვალსაზრისზე თანხმობა სრულიად არასამართლიანი იქნებოდა იმ ათეისტების მხრიდან, რომლებიც არ ცდილობენ, თავიანთი მეზობლები შეურაცხყონ. არა იმიტომ, რომ რელიგიას სცემენ პატივს, უბრალოდ, იმიტომ, რომ, ველურები და თავხედები კი არა, ცივილიზებული ადამიანები არიან. ცდილობენ, დედის გინების გარეშე გადმოსცენ თავიანთი სათქმელი, ხოლო სხვისი რწმენის დაცინვა აზრადაც არ მოსდით.

**ეს არ არის კონფლიქტი მორწმუნეებსა და ათეისტებს შორის, არამედ ეს არის კონფლიქტი სხვადასხვა თვალსაზრისის მქონე ჩვეულებრივი ადამიანების უმრავლესობას, რომელსაც სურს მშვიდობიანი ცხოვრება და ურთიერთპატივისცემა მეზობლებთან, და ანტისოციალურ ელემენტებს შორის, რომლებსაც არ შეუძლიათ, ვინმეს პატივი სცენ და არ სურთ მშვიდობიანი ცხოვრება.**

ადრეულ ბავშვობაში (ეს იყო საბჭოეთის წლებში, როდესაც გარშემო ყველა ათეისტი იყო) მასწავლეს, რომ დაუშვებელია სხვა ადამიანების შეურაცხყოფა და დამცირება გართობის მიზნით; მით უმეტეს, დაუშვებელია რომელიმე ერისა და კულტურის შეურაცხყოფა. ეს არ არის რელიგიური მცნება; ეს ერთ-ერთი საბაზისო წესია ადამიანების თანაცხოვრებისა, რომელსაც სხვადასხვა ეროვნების ადამიანები სოციალიზაციის ადრეულ ეტაპებზე ითვისებენ. ადამიანები, რომლებისთვისაც ეს ადრეულ ბავშვობაში არ აუხსნიათ, დანაშაულებრივი პედაგოგიური გულგრილობის მსხვერპლნი არიან.

შეიძლება, უსამართლობა იყოს საყვედური მხოლოდ მშობლების ან მასწავლებლების მიმართ, რადგან **ადამიანებს, მიღებული განათლების მიუხედავად, თავიანთი ინიციატივით შეუძლიათ, დაადგნენ ზნეობრივი და სოციალური დეგრადაციის გზას, მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, საქმე გვაქვს რაღაც უფრო დიდთან, ვიდრე ცალკეული ადამიანების არასწორი არჩევანია. ჩვენ საქმე გვაქვს იდეოლოგიურ პოზიციასთან, რომელიც ასეთ საქციელს უწოდებს მართებულს, საქებარს, ფასეულს, და ეს დანარჩენებმაც რატომღაც უნდა აღიარონ.**

აქ უნდა შევნიშნო, რომ ზოგიერთი იდეოლოგია აქტიურად წამოწევს წინა პლანზე საქციელს, რომელსაც პირად დონეზე შეიძლება სულიერი პათოლოგია ეწოდოს. არსებობს ინდივიდუალური პათოლოგიები — მაგალითად, ადამიანი შეიძლება იტანჯებოდეს იმით, რომ ეგონოს, თითქოს უთვალთვალებენ და სჯეროდეს, რომ ამქვეყნიდან მის გასასტუმრებლად მზადდება შეთქმულება.

**ზოგჯერ მსგავს სიმპტომებს ავლენს იდეოლოგიური ჯგუფი — მაგალითად, პარტიას ან პოლიტიკურ მოძრაობას სჯერა, რომ ქვეყანაში (ან მსოფლიოშიც კი) ყველა უბედურება გამოწვეულია ბოროტი ეთნიკური უმცირესობებისა და მათ მიყიდული მოღალატეების შეთქმულებით. კლინიკური სიმპტომების მიხედვით, ასეთი მოძრაობის (მაგალითად, გერმანელი ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია) წევრების უმრავლესობა არ არის სულით ავადმყოფი, მაგრამ აქვს ისეთი თვალსაზრისი და საქციელები, რომლებიც ფსიქიატრიული პათოლოგიებისთვის არის დამახასიათებელი. მათ შემთხვევაში ხდება რაღაც ფსიქიკური დასნებოვნების მსგავსი რამ, როდესაც აშკარად დამანგრეველ წარმოდგენებსა და საქციელის ფორმებს ითვისებენ სხვა ადამიანები, ხოლო საღ აზრს, რომ ასე კარგს ვერაფერს მივაღწევთ, განუწყვეტლივ თრგუნავენ.**



ალექსანდრე დოლგოპოლოვი — რუსების გიორგი გაბუნია

**ზოგჯერ მსგავს სიმპტომებს ავლენს იდეოლოგიური ჯგუფი. მაგალითად, პარტიას ან პოლიტიკურ მოძრაობას სჯერა, რომ ქვეყანაში (ან მსოფლიოშიც კი) ყველა უბედურება გამოწვეულია ბოროტი ეთნიკური უმცირესობებისა და მათ მიყიდული მოღალატეების შეთქმულებით. კლინიკური სიმპტომების მიხედვით, ასეთი მოძრაობის (მაგალითად, გერმანელი ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია) წევრების უმრავლესობა არ არის სულით ავადმყოფი, მაგრამ აქვს ისეთი თვალსაზრისი და საქციელი, რომლებიც ფსიქიატრიული პათოლოგიებისთვის არის დამახასიათებელი. მათ შემთხვევაში ხდება რაღაც ფსიქიკური დასნებოვნების მსგავსი რამ, როდესაც აშკარად დამანგრეველ წარმოდგენებსა და საქციელის ფორმებს ითვისებენ სხვა ადამიანები, ხოლო საღ აზრს, რომ ასე კარგს ვერაფერს მივაღწევთ, განუწყვეტლივ თრგუნავენ**

ლიბერალური იდეოლოგია, რომელიც ითხოვს სხვების შეურაცხყოფისა და დამცირების უფლებას, იწვევს ასოციაციას არა პარანოიასთან, არამედ სხვა აშლილობასთან — სოციოპათიასთან. ცნობარის მიხედვით, ეს აშლილობა არის „გულგრილობა სხვების გრძნობების მიმართ, უპასუხისმგებლობის უხეში და მედეგი პოზიცია და სოციალური წესებისა და ვალდებულებების უგულებელყოფა.

ნაჩქარევი იქნება მტკიცება იმისა, რომ ყველა მსურველს, რომლებიც მასხრად იგდებენ ყველაფერს, რაც ძვირფასია სხვებისთვის, აქვს ეს აშლილობა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ქცევები ამჟღავნებს მათთვის დამახასიათებელ პათოლოგიურ შტრიხებს.

**თქვენ ვერ აუხსნით სოციოპათს იმას, რომ მისი ქცევა არღვევს საზოგადოებრივი ზრდილობის ნორმებს ან დამანგრეველია საზოგადოებისთვის, ან მტკივნეულია სხვა ადამიანებისთვის — არა იმიტომ, რომ ის ვერ გაიგებს (შეიძლება ინტელექტი სრულიად დამაკმაყოფილებელი იყოს), არამედ იმიტომ, რომ მას არ შეუძლია, ემპათიას განიცდიდეს სხვა ადამიანების მიმართ და არც სოციალური ნორმების დარღვევის გამო სინდისი ქენჯნიდეს. ის ფსიქოლოგიური მექანიზმები, რომლებიც ადამიანთა უმრავლესობაში პასუხს აგებს მოვალეობებზე, სხვა ადამიანების, როგორც მათივე მსგავსი პიროვნების, აღქმაზე, სოციოპათებს რატომღაც არ უმუშავებთ. ზოგი ამაში გენეტიკური დეფექტების შედეგს ხედავს, ზოგი — ბავშვობაში მიღებული ტრავმისა და ცუდი აღზრდის შედეგს.**

მაგრამ სოციოპათიური საქციელი შეიძლება იყოს მიზნობრივი — ადამიანს შთააგონეს (და მან დაიჯერა), რომ სხვა ადამიანების გრძნობების უხეში უგულებელყოფა, აგრეთვე, ზრდილობის ნორმების დარღვევა სათნოება და ზნეობრიობის გამოვლენაა; ეს, სამწუხაროდ, დასაშვებია — ზოგიერთმა პარტიამ წარმატებით შთააგონა თავის ადეპტებს, რომ დაუნდობლობა და ეჭვის შეტანა ვინმეში ან რამეში სათნოებაა.

**ლიბერალ მკრეხელებთან საუბრის გამართვის მცდელობისას, თავდაპირველად, განცვიფრებს ის, რომ ადამიანებს თითქოს არ შეუძლიათ, განასხვავონ წინასწარგანზრახული მძიმე შეურაცხყოფა კრიტიკისგან, პოლემიკისგან, სიტყვის თავისუფლებისგან, ხელოვნებისგან, საკუთარი აზრის საჯაროდ გამოხატვისგან და ა.შ., თუმცა ეს ადამიანები როგორღაც ცხოვრობენ საზოგადოებაში — დადიან სამსახურში, თავს იკავებენ თანამშრომლებისა და უფროსების შეურაცხყოფისგან, ე.ი. სინამდვილეში თავისუფლად შეუძლიათ განასხვავონ შეურაცხყოფა უარის თქმის გამოხატვისგან.**

პრობლემა სხვა რამაა — კეთილი ნების პრინციპული არარსებობა. თქვენ ვერ შეძლებთ ლიბერალისთვის (ისევე, როგორც სოციოპათისთვის) იმის ახსნას, რატომ არ უნდა მოიქცეს ასე. ახსნა ითვალისწინებს სხვა ადამიანის კეთილ ნებას — მას, ბოროტი განზრახვით კი არა, უბრალოდ, არ ესმის, ვერ აცნობიერებს.

ჩვეულებრივი ადამიანი, როდესაც მიხვდება, რომ მისი მოქმედება მიუღებელი და შეურაცხმყოფელია, გულწრფელად შეწუხდება, ქმედებას შეწყვეტს და მოინანიებს, ამით კონფლიქტი ამოიწურება. ლიბერალმა (ისევე, როგორც სოციოპათმა) შესანიშნავად იცის, რომ მისი საქციელი შეურაცხმყოფელია და ხალხის მიმართ აბუჩად აგდების გამოვლენაა. ის ამას აკეთებს წინასწარგანზრახვით, თუმცა ლიბერალს ეს ჯერ კიდევ არ აუყვანია იდეოლოგიის რანგში.

საღი აზრი და ადამიანების თანაცხოვრების საბაზისო წესები ჩვენს განათლებულ დროში ცხადდება რაღაც ჩამორჩენილობად, სამარცხვინოდ, უადგილოდ, განსაკუთრებით — კლერიკალურად, თუმცა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, სხვა ადამიანების ღრმა გრძნობების შეურაცხყოფისა და დაცინვის აკრძალვაში სპეციფიკურ-კლერიკალური არაფერია.

ეს ყველაფერი ისე შეუპოვრად და უსაზღვრო თვითდაჯერებულობით ცხადდება, რომ ადამიანები ხშირად არც კი ცდილობენ წინააღმდეგობის გაწევას.

დიახ, ეს რაღაც საზიზღრობაა, მაგრამ ჩვენ ხომ თავისუფლების მხარეს უნდა ვიყოთ? ასე არ არის? არა, რა თქმა უნდა, არა. **აქ ლაპარაკი არ არის თავისუფლებაზე. აქ ლაპარაკია ადამიანების თანაცხოვრების იმ საფუძვლებზე, რომლებიც თავისუფლებას შესაძლებელს ხდის,** ▶



ეს არ არის კონფლიქტი მორწმუნეებსა და ათეისტებს შორის, ეს არის კონფლიქტი სხვადასხვა თვალსაზრისის მქონე ჩვეულებრივი ადამიანების უმრავლესობას შორის, რომელსაც სურს მშვიდობიანი ცხოვრება, ურთიერთპატივისცემა მეზობლებთან და ანტისოციალურ ელემენტებს შორის, რომლებსაც არ შეუძლიათ ვინმეს პატივი სცენ, არ სურთ მშვიდობით ცხოვრება.

ინიციატივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თქვენ ვერ აუხსნით სოციოპათს იმას, რომ მისი ქცევა არღვევს საზოგადოებრივი ზრდილობის ნორმებს ან დამანგრეველია საზოგადოებისთვის, ან მტკივნეულია სხვა ადამიანებისთვის; არა იმიტომ, რომ ის ვერ გაიგებს (შეიძლება ინტელექტი სრულიად დამაკმაყოფილებელი იყოს), არამედ იმიტომ, რომ მას არ შეუძლია, ემპათიას განიცდიდეს სხვა ადამიანების მიმართ და სოციალური ნორმების დარღვევის გამო სინდისი ქენჯნიდეს. ის ფსიქოლოგიური მექანიზმები, რომლებიც ადამიანთა უმრავლესობაში პასუხს აგებს მოვალეობებზე, სხვა ადამიანების, როგორც მათივე მსგავსი პიროვნების, აღქმაზე, სოციოპათებს რატომღაც არ უმუშავებთ: ზოგი ამაში გენეტიკური დეფექტების შედეგს ხედავს, ზოგი — ბავშვობაში მიღებული ტრავმისა და ცუდი აღზრდის შედეგს**

◀ **იმიტომ, რომ თავისუფლება არსებობს მხოლოდ განსაზღვრულ ზნეობრივ საფუძვლებზე.**

როდესაც ადამიანები მზად არიან, ერთმანეთს პატივი სცენ, გამოამჟღავნონ მშვიდობისმოყვარეობა, დელიკატურობა, კეთილგანწყობა და ნებაყოფლობით დაუჭირონ მხარი სამოქალაქო მშვიდობას, მაშინ საჭირო არ არის მათ მიმართ კანონმდებლობის მთელი სიმძაფრით ამოქმედება და პირიქით — რაც უფრო ხშირად ირღვევა თანაცხოვრების წესები, მით მეტად სჭირდება სახელმწიფოს იძულებითი მეთოდების გამოყენება, რათა საზოგადოება არ ჩაიძიროს ქაოსში.

**თუ 1990-იან წლებს თანამედროვე დროებას შევადარებთ, მივხვდებით, რომ უზარმაზარი ცვლილებები მოხდა — სტატისტიკური მაჩვენებელი მოწმობს, რომ ლოთობისა და მკვლელობების რაოდენობა შემცირდა. ყოველდღიური გამოცდილების მიხედვით კი, ნდობისა და კეთილგანწყობის დონემ მოიმატა.**

შემთხვევითი ადამიანები ხშირად უარს არ ამბობენ სხვების დახმარებაზე, მძღოლები გზას უთმობენ ქვეითებს — ბევრი დეტალი მოწმობს, რომ ატმოსფერო შეიცვალა. ის გაცილებით ცივილიზებულია, დამუხტულია ურთიერთპატივისცემითა და კეთილგანწყობით. სოციალური ქსოვილის აღდგენა ხანგრძლივი, რთული და ნერვული პროცესია, მაგრამ ის მიდის.

**და ჩვენ ვეწინააღმდეგებით იმას, რაც ამ ქსოვილს არღვევს. ჩვენ ვცდილობთ მათ ალაგმვას, ვინც ზიზღს გამოხატავს ადამიანების მიმართ.**

ზნეობრიობის საუკეთესო მდგომარეობის შემთხვევაში, როცა ყველაფერი იდეალურადაა, ადამიანები, რომლებიც უპატივცემულობას გამოავლენენ ახლობლების მიმართ, უბრალოდ, ეჯახებიან გაფანტულ სანქციებს — მათ არსად ეძახიან, არ იწვევენ სამუშაოდ, მათი კარიერა მყისვე ინგრევა და სახელმწიფოს ჩარევის საჭიროება არ არის, მაგრამ, როცა იდეალამდე შორს არის, სოციალური წანამძღვრების დანგრევას სახელმწიფო უნდა აღუდგეს წინ. სამწუხაროდ, ეს აუცილებელია, არა რელიგიის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ადამიანური თანაცხოვრების საბაზისო ნორმების შესანარჩუნებლად.

VZ.RU-ზე გამოქვეყნებული სერგეი ხუდიევის წერილის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



**ზნეობრიობის საუკეთესო მდგომარეობის შემთხვევაში, როცა ყველაფერი იდეალურადაა, ადამიანები, რომლებიც უპატივცემულობას გამოავლენენ ახლობლების მიმართ, უბრალოდ, ეჯახებიან გაფანტულ სანქციებს — მათ არსად არ ეძახიან, არ იწვევენ სამუშაოდ, მათი კარიერა მყისვე ინგრევა, და სახელმწიფოს ჩარევის საჭიროება არ არის. მაგრამ, როცა იდეალამდე შორს არის, სოციალური წანამძღვრების დანგრევას სახელმწიფო უნდა აღუდგეს წინ. სამწუხაროდ, ეს აუცილებელია, არა რელიგიის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ადამიანური თანაცხოვრების საბაზისო ნორმების შესანარჩუნებლად**

# აშშ-ში აანალიზებენ პუტინის წინადადებას გაეროს უშიშროების საბჭოს 5 წევრი ქვეყნის სამიტის გამართვის თაობაზე



**„აშშ-მა მიიღო რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის წინადადება გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი 5 წევრი ქვეყნის შემადგენლობით შეხვედრის გამართვის თაობაზე. ამ წინადადებას ვსწავლობთ“, — განაცხადა რუსეთში აშშ-ის ელჩმა ჯონ სალივანმა.**

„შემიძლია დავადასტურო, რომ ჩვენ მივიღეთ პრეზიდენტ პუტინის წინადადება, მას ვაშინგტონში განიხილავენ“, — მოჰყავთ აშშ-ის ელჩის სიტყვები საინფორმაციო სააგენტოებს.

„ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ უშიშროების საბჭოს ყველა წევრთან და ამას განვაგრძობთ იმის მიუხედავად, სად შეიძლება გაიმართოს ეს განხილვა“, — ხაზგასმით აღნიშნა ამერიკელმა დიპლომატმა.

24 იანვარს რუსეთმა გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს მიმართა წინადადებით, დეტალურად შეისწავლონ იდეა სამიტის გამართვის შესახებ.

**23 იანვარს ისრაელში გამართულ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას პუტინმა ყველას შეახსენა რუსეთის, ჩინეთის, აშშ-ის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის პასუხისმგებლობის შესახებ ცივილიზაციის შენარჩუნების საქმეში და ამ ქვეყნის ლიდერებს სერიოზული მოლაპარაკებების გამართვა შესთავაზა.**

**რუსეთის ლიდერის ინიციატივას მხარი დაუჭირა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა, ოდნავ მოგვიანებით შეხვედრაზე თანხმობა განაცხადა ჩინეთმაც. ლონდონი კი ელოდება ამ შეხვედრის გამართვის თაობაზე წინადადების დეტალებს.**

რუსეთის ლიდერის ინიციატივას მხარი დაუჭირა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა, ოდნავ მოგვიანებით შეხვედრაზე თანხმობა განაცხადა ჩინეთმაც. ლონდონი კი ელოდება ამ შეხვედრის გამართვის შესახებ წინადადების დეტალებს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# რუსეთი აშშ-ისგან ბერინგის ზღვის ნაწილის დაბრუნებას აპირებს




**რუსეთი მზად არის, უარი თქვას ე.წ. შევარდნაძე-ბეიკერის შეთანხმებაზე საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, რომლის მიხედვითაც შემოისაზღვრა ბერინგის სრუტის საზღვაო სივრცე.**

1990 წელს ხელმოწერილი შეთანხმება საპარლამენტო დონეზე რატიფიცირებული არ ყოფილა არც სსრკ-ში და არც რუსეთში. რატიფიკაციის გარეშე კი ასეთ დოკუმენტებს არ აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა, თუმცა შეიძლება გამოყენებულ იქნას დროებით.

რუსეთში მიიჩნევენ, რომ შევარდნაძე-ბეიკერის შეთანხმებას დისკრიმინაციული ხასიათი აქვს და რუსეთს უსამართლოდ ჩამოერთვა ბერინგის ზღვის ტერიტორიის 78 ათასი კვ.კმ, მათ შორის კონტინენტური შელფიც.

„ჩვენს ქვეყნებს შორის 200-მილიანი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის დაწესებით ბერინგისა და ჩუკოტკის ზღვის რაიონებში, რომლებიც ერთმანეთს ესაზღვრება 1500 მილის სიგრძეზე, ზღვის სივრცის შემოსაზღვრა, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა მოხდეს ორი ქვეყნის ნაპირებიდან შუა ხაზზე, მაგრამ შევარდნაძის დათმობის გამო საზღვარი საკამათო უბნებს შორის გაავლეს ამერიკის ორთოდრომული პირდაპირი ხაზით“, — ამბობს რფ-ის კამჩატკის მხარის სენატორი **ბორის ნევზოროვი.**

შედეგად რუსეთმა დაკარგა შესაძლებლობა, ყოველწლიურად მოეპოვებინა 500 ათას ტონაზე მეტი თევზი და კიბორჩხალა, აგრეთვე, დაკარგა წვდომა მილიარდობით დოლარის ნავთობისა და ბუნებრივი აირის საბადოზე. ამას გარდა, გაყოფის დროებითი ხაზი წინააღმდეგობას ქმნის ჩრდილოეთის საზღვაო გზის განვითარების მიმართ, კერძოდ, ახლა ბერინგის სრუტის გასავლელად რუსებმა ნებართვა ამერიკელებს უნდა სთხოვონ.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვინც სხვას შეჰყურებს, ატა, რამე გაჰვარდეს ხელიდან და მე ავიღოვო, ის ხალხი ტყუილად ნუ ელის, შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში, ტყუილად იმედი ნუ აქვს, ცხოვრებისა ჭიდილში ფონს გავიდეს; ასეთი ერი, ვიმეორებ, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე ადგილი არ ექნება, გემრიელი ლუკმა ცხვირზეით აცდება, ნასუფრალი თუ ხვდა, ღმერთს მადლი შესწიროს!“

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

**როგორ, რა გზით არის შესაძლებელი საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, განვითარება?**

**ათასჯერ ნათქვამს კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: თანამედროვე მსოფლიოს ცვალებად, განვითარებად სინამდვილეში ერისა და სახელმწიფოს სახით დამკვიდრება მხოლოდ ილიასეული პრინციპების გათვალისწინებით არის შესაძლებელი.**

**ეს არის: მოქმედება უმოქმედობის ნაცვლად, ახლის ქმნა და მოძრაობა დარდისა და უმოძრაობის ნაცვლად, მიზანდასახულობა უმიზნობის ნაცვლად, პასუხისმგებლობა და ზრუნვა უდარდელობისა და უპასუხისმგებლობის ნაცვლად, სწავლა და გონიერება უგუნურებისა და უმეცრების ნაცვლად, სულიერება უსულობის ნაცვლად, თავდადება თავკერძოობის ნაცვლად, ერთსულოვნება და ერთგულება ორგულობისა და ღალატის ნაცვლად, კავშირი და ერთობა გათიშულობის ნაცვლად, მსოფლიო პროგრესში ჩართვა და სიახლეების ათვისება ქვეყნის თვითიზოლაციის ნაცვლად.**

**ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, საქართველოს დანაწევრება და ის მძიმე შედეგები, რომლებიც ამ პროცესს მოჰყვებოდა ხოლმე, სწორედ უმოქმედობის, უდარდელობისა და უპასუხისმგებლობის, უგუნურებისა და უმეცრების, თავკერძობის, ორგულობისა და ღალატის, გათიშულობის შედეგი იყო.**

# ადექით ახლა, ვაიპატრიოტებო, და ილიას უძახეთ რუსოფილი, ერის მოღალატე, ჩვენს «ისტორიულ მეგობარ» თურქებს რუსები რომ ერჩივნა



ილია სოხუმში

მწარე სიმართლეა ის, რომ 1490 წელს ქართლის სამეფო დარბაზმა აღიარა საქართველოს პოლიტიკური დაშლის ფაქტი. ამის შემდეგ, 1491-1492 წლებში მეფეებმა და მთავრებმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებებს და დააწესეს საზღვრები. ამით ძირითადად დასრულდა საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაშლის პროცესი.

და XV საუკუნის დამდეგს ერთიანი ქართული სახელმწიფოს ნაცვლად შეიქმნა ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოები; სამცხე-საათაბაგოს, გურიისა და ოდიშის სამთავროები. სამეფოების სათავეებში ბაგრატიონების ქართული სამეფო დინასტიის ცალკეული განშტოებები იდგნენ. მართალია, მომდევნო საუკუნეებში ტერმინი „საქართველო“ კვლავ არსებობდა, მაგრამ, ფაქტობრივად, იგი აღარ იყო ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული მთლიანობის გამომხატველი, რადგან არ არსებობდა ერთი, მთლიანი საქართველო, მის ნაცვლად იყო ექვსი „საქართველო“ — ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამცხე-საათაბაგო, გურია, სამეგრელო. ქვეყნის დანაწევრებას თან მოჰყვა ქართული ეთნოკულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფენომენისთვის უმძიმესი შედეგები — დაიწყო ერთიანობის ხანაში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი და სოციალური სტრუქტურების თანმიმდევრული დემონტაჟი. ერთიანი საშინაო და საგარეო-პოლიტიკური პლატფორმის ნაცვლად დამკვიდრდა დიფერენცირებული პოლიტიკა და, რაც ყველაზე მთავარია, ბზარი გაუჩნდა ქართულ ფსიქოლოგიურ ერთობას. XVI საუკუნის დამდეგისთვის საქართველოს პოლიტიკური დაშლილობა მომხდარი ფაქტი იყო, მაგრამ ფეოდალური დაშლის პროცესი აღნიშნული სამეფოებისა და სამთავროების ჩამოყალიბებით არ შეჩერებულა. ილიას ეპოქამდე სანამ მოაღწევდა, ქვეყანამ კიდევ არაერთი აღმართი თუ დაღმართი იარა, ბეწვის ხიდზეც შედგა ფეხი და უფსკრულის პირასაც დადგა... თუმცა, საბედნიეროდ, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა თავისი სასახელო შვილების წყალობით კვლავ და კვლავ ახერხებდა, დამდგარიყო „ერად, სხვა ერთა შორის“. XX და XXI საუკუნეების გზაგასაყარზე კი კვლავ დაირღვა საქართველოს ერთიანობა — დავრჩით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე. უამრავი ადამიანი იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი კერა და საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეულიყო. წლები გადის, კონკრეტული ნაბიჯები საქართველოს გასამთლიანებლად კი არც ერთ მთავრობას არ გადაუდგამს. დღეს აფხაზეთი საქართველოს მოწყვეტილია და არც არავინ ჩანს ისეთი, ვინც ილიასავით მოეფერებოდა და გულს უჩვენებდა ამ კუთხის შვილთ. მაშ, როგორ მოვიქცეთ: **„სხვას მისი დაპატრონების მადა“ კი გავუღვიძეთ, მაგრამ „მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა“ შევარჩინოთ?**

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამოციანელებად წოდებული თაობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშედ მოგვევლინა, რომელიც სწორედ იმ პრინციპებით მოქმედებდა, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ. ილია ჭავჭავაძე კი ქართული საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ნაციონალური იდენტობის ფორმირებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. ის 1970-1990-იან წლებში თითქმის ყოველდღიურად აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, რომლებშიც ნათლად ჩანდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს ცალკეული კუთხეების მოსახლეობისადმი ყურადღების გამოჩენა, მიუხედავად ეროვნებისა და რწმენისა.

მკითხველს შევთავაზებთ **თედო სახოკიას** მოგონებას, რომელიც ილია ჭავჭავაძის გაგრაში სტუმრობის ამბავს მოგვითხრობს. ილიას ეპოქაში აფხაზეთში თანამდებობები შავრაზმელებს ეჭირათ — შავრაზმელი იყო სასულიერო უწყების უფროსიც (ეპისკოპოსი); სასწავლებლებში უფროსებად, მასწავლებლებადაც შავრაზმელები იყვნენ, ამიტომ სახელოვანი ქართველის სტუმრობა ადგილობრივ მოსახლეობას დიდ სიხარულს ანიჭებდა. ილია ჭავჭავაძე 1903 წელს გაგრაში რეალური სასწავლებელის დაარსებასთან დაკავშირებით საგანგებოდ მიუწვევია პრინც ალექსანდრე ოლდენბურგსკს.

პრინცი კონსტანტინე ოლდენბურგსკი ცხოვრობდა ქუთაისსა და გაგრაში, აშენებდა სასტუმროებსა და სკოლებს. ის დაუახლოვდა ქართველ საზოგადოებას, მათ შორის გიორგი შარვაშიძეს. ცოლად შეირთო აგრაფინა ჯაფარიძე. გაგრაში მან ააშენა სასტუმრო „გაგრიფში“, დააარსა ე.წ. კავკასიური რივიერა; ქუთაისში პირველმა გაიყვანა რკინიგზის ხაზი, შეაკეთა ფოთის პორტი, დააარსა რეალური სასწავლებელი. მისი ინიციატივით განვითარდა მეღვინეობა და ქუთაისში საფუძველი ჩაეყარა შამპანურის ღვინის წარმოებას.

> **«ერთობლივის ძალით მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევირჩინოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ, მოსეულ ათასგვარ მტერსა და დუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, გავუმკლავდეთ, ხმალამოღებული დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავაცინოთ»**

აი ამ პიროვნების მიწვევით ჩავიდა ილია გაგრაში. მას ახლდნენ ბათუმის გუბერნატორი — **ნიკოლოზ ერისთავი**, თბილისის თავადაზნაურობის მარშალი — **ალექსანდრე ორბელიანი** და სიღნაღის თავადაზნაურობის მარშალი — **დიმიტრი ჩოლოყაშვილი.**

სტუმრების პატივსაცემად სოხუმში სადილი გაუმართავთ, რომელსაც ესწრებოდნენ სოხუმის საზოგადოების წარმომადგენლები, აფხაზეთში საგასტროლოდ ჩასული ქართული თეატრის მსახიობები და ძუკუ ლოლუას მომღერალთა გუნდი.

**თედო სახოკიას მოგონებებიდან:**

სოხუმის მკვიდრი ქართველობა განსაკუთრებით იჩაგრებოდა ცარიზმის აღვირახსნილი რეჟიმისაგან. ადმინისტრაციაში დიდი ადგილები სულ შავრაზმელებს ეჭირათ. შავრაზმელი იყო სასულიერო უწყების უფროსიც (ეპისკოპოსი), სასწავლებლებში უფროსებად, მასწავლებლებად შავრაზმელები იყვნენ.

ასეთ ატმოსფეროში მყოფი ქართველობა სიხარულით აღივსებოდა ხოლმე, როცა ვინმე მოწინავე ქართველი შემთხვევით გზად გამოივლიდა სოხუმში. თავი მოჰქონდათ: აი, რა კაცები ჰყავს ჩვენს სამშობლოსაო!.. გულში ათასნაირი იმედი ესახებოდათ. მთელი ეპოქა იყო აქაურების ცხოვრებაში, როცა აქ განსვენებული პროფესორი **ალექსანდრე ხახანაშვილი** გამოივლიდა თავისი ნათესავების — გოგრიჩიძეების სანახავად!.. ერთხელ ქართველი სტუდენტობა მოიყვანა აქ ოდესის უნივერსიტეტის პროფესორმა **ვასილ პეტრიაშვილმა.** ერთხელ **ნიკო ნიკოლაძეც** იყო. აკაკი ისე გარდაიცვალა, სოხუმი არ უნახავს. ილია ჭავჭავაძემ კი მხოლოდ 1903 წელს ინახულა სოხუმი და სოხუმის ქართველობა.

1903 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებას ერთ-ერთ თავის სხდომაზე, სხვათა შორის, ლაპარაკი ჰქონდა იმ „ამაგზე“, რომელიც პრინცმა **პეტრე ოლდენბურგელმა** დასდო აფხაზეთს: გაგრის კურორტის დაარსებით, იქავე რეალური სასწავლებლის გახსნით და, საერთოდ, აფხაზეთის ამ კუთხის გამოცოცხლებით. მადლობის გამოსაცხადებლად არჩეული იყო დეპუტაცია, რომელშიაც შედიოდნენ: ილია ჭავჭავაძე, ალ. ორბელიანი (სიძე პოეტ ვახტანგ ორბელიანისა, ტფ. სამაზრო მარშალი თავადაზნაურთა) და სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი დიმიტრი ჩოლოყაშვილი. დეპუტაციამ თავისი დავალება შეასრულა, გაგრა საფუძვლიანად დაათვალიერა და იქიდან სოხუმში შემოიარა, ახლა ამ ქალაქის დასათვალიერებლად.

ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს ილია ჭავჭავაძის მოსვლა. ასეთი ადამიანების სტუმრობით სოხუმელები მაინცდამაინც განებივრებული არ ვიყავით. წარმოგიდგენიათ, რარიგ უნდა გაგვხარებოდა მთელი საქართველოს სიამაყის ილია ჭავ- ▶

**„თუ ეკონომიურად წელში გავიმართებით, ჩვენი სამშობლო, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი, შეგვრჩება, ვერავინ წაგვართმევს... რომ მოგახსენეთ: საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლისა, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძონ, ერთობლივის ძალით მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევირჩინოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ“.**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ჭავაძის მოსვლა!.. რომ ყველას შესძლებოდა ილია ჭავჭავაძის ნახვა, მისგან ცოცხალი სიტყვის გაგონება, გადაწყდა, სადილი გამართულიყო ძმათა შარვაშიძეთა სასახლის ვრცელ ეზოში ასწლოვანი მუხებისა და ცაცხვების ქვეშ და ამ სადილზე მოეწვიათ გაგრიდან დაბრუნებული სტუმრები. სადილში მონაწილეთა სულზე ხუთ-ხუთი მანეთი უნდა გაეღოთ. თითქმის ყველა ისწრაფოდა ამ სადილზე დასასწრებად. ასზე მეტმა ქალმა და კაცმა მოიყარა თავი. ყველას მოუხაროდა, როგორც დიდ და ბრწყინვალე დღესასწაულზე. ცდილობდნენ, ერთიმეორეს არ ჩამორჩენოდნენ ამ ზეიმში, რომელიც სუფრის დასასრულს მართლა რომ ეროვნულ დღესასწაულად იქცა...

საათის ოთხზე მობრძანდნენ სტუმრები, რომელთაც სუფრის თავში დააჭერინეს ადგილი. ილიას გვერდით მოუსვეს მოხუცებული გრიგოლ შერვაშიძის მეუღლე — აღათი დადიანის ასული. ძვირფასი სტუმარი რომ ყველასათვის დასანახი ყოფილიყო, მოსუფრალნი ორ რკალად შემოურიგდნენ სუფრას. თამადად არჩეულ იქნა აქაური მოქალაქე **თეიმურაზ გაბუნია,** ცნობილი თავისი ჭკუითა და სიდარბაისლით.

თამადამ პირველად ადღეგრძელა ილია ჭავჭავაძე, მიულოცა საქართველოს საუკეთესო შვილს მობრძანება სოხუმში. მადლობა მოახსენა, რომ თავის აქ მობრძანებით ვაჟკაცობის სული შთაბერა: გაძლევთ პირობას, თანახმად თქვენის მოძღვრებისა, ჩვენი ქვეყნისათვის ჩვენც ვიშრომებთ, ჩვენც შევიტანთ ჩვენს წვლილს საერთო სალაროში, მხოლოდ ერთსა გთხოვთ, ჩვენო ძვირფასო ბატონო: თქვენ და თქვენისთანები ნუ დაგვივიწყებთ ხოლმე, ათასში ერთხელ დაგვხედეთ, გაგვამხნევეთო. თამადის შემდეგ მერგო ბედნიერება, ილიას სადღეგრძელო დამელია. დიდის მოკრძალებით გავიზიარე ის საერთო აღტაცება, რომელსაც ცათაფრენაშემდგარი ხალხი განიცდიდა მის დანახვაზე. მე ვთქვი: **ეს დღე ოქროს ასოებით ჩაიწერება სოხუმელთა ცხოვრებაში. თქვენმა აქ მობრძანებამ ყოველი ტანჯვა დაავიწყა აქაურებს; დღევანდელი დღე დაუვიწყარი იქნება სოხუმელთათვის. ნება გვიბოძეთ, მრავალჟამიერი სიცოცხლე გისურვოთ და განუზომელი მადლობა მოგახსენოთ აქ მობრძანებისათვის, ჩვენის ნახვისა და ნუგეშისათვის.**

სამადლობელო სიტყვის სათქმელად ილია ზეზე წამოდგა. მთელი საზოგადოებაც ფეხზე მდგარი მოემზადა მის მოსასმენად. ასე დაიწყო:

**„ბატონებო, დიდის პატივისცემით მოგესალმებით! ბედნიერი გახლავართ, რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს, კალმით დახატულს კუთხეს და მის მოსახლე მშვენიერსავე ხალხს... მადლობელი გახლავართ თქვენი დახვედრისათვის, ჩემის პატივისცემისა და დღეგრძელობისათვის!**

**თქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედი და სასოება ჩამესახა, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ისე ადვილად არ დავეჩაგვრინებით. რომაელთა ერთი თქმა მაგონდება: სინათლე აღმოსავლეთით გვევლინებაო. თქვენ რომ გიცქერთ, ეს თქმა ასე უნდა შევცვალო: სინათლე დასავლეთიდან მოდის, საქართველოსათვის მაინც-მეთქი! თქვენც მიხვედრილი ბრძანდებით, რომ დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი ზის, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს, ქონება შეიძინოს, ეკონომიურად წელში გამაგრდეს. ვინც ამას არა ფიქრობს, ვინც სხვას შეჰყურებს, აცა, რამე გაჰვარდეს ხელიდან და მე ავიღოვო, ის ხალხი ტყუილად ნუ ელის, შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში, ტყუილად იმედი ნუ აქვს, ცხოვრებისა ჭიდილში ფონს გავიდეს; ასეთი ერი, ვიმეორებ, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე ადგილი არ ექნება, გემრიელი ლუკმა ცხვირზეით აცდება, ნასუფრალი თუ ხვდა, ღმერთს მადლი შესწიროს! ყველასაგან გათელილი, ყველასაგან ყბადაღებული ისაა, ვისაც თავის მარჯვენის იმედი არა აქვს, ვინც თავის ძალღონით არ ჰლამის ლელოს გატანას ცხოვრების მოედანზე.**

**თქვენი მოძმენი, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმითა ვართ შესაბრალისნი, რომ მეტად ტაადით მივდივართ ეკონომიურ მოღონიერებისაკენ. იქ ყველანი ჩვენა გვჩაგრავენ, თავზე გვასხდებიან. აქ, თქვენ რომ გიყურებთ, გული მინათლდება, სასოებით მევსება: მთელი ქალაქი თქვენს ხელშია; აქაურობის ბატონ-პატრონნი თქვენა ხართ, გეტყობათ, დღესა და ღამეს ასწორებთ, ცდილობთ უკვე შეძენილს კიდევ მიუმატოთ, თქვენი ქონება ერთი-ორად აქციოთ, ფხიზლობთ, ყური მახვილად გიჭირავთ, საიდან როგორ უკეთესად და სარფიანად მოაგვაროთ თქვენი საქმე, ამისათვის თქვენთვის გამჩენს შნო მოუცია და ამ შნოთი შნოიანად სარგებლობთ კიდეცა. მერწმუნეთ, თუ ქონებრივად ღონიერები იქნებით, ყოველივე სიკეთე ამქვეყნიური თავისით მოგადგებათ კარზე. თუ ეკონომიურად წელში გავიმართებით, ჩვენი სამშობლო, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი, შეგვრჩება, ვერავინ წაგვართმევს. თუ ვაჭრობას, თანამედროვე ცხოვრების ამ მთავარ ძარღვს, ვუერთგულეთ, ბურთი და მოედანი ჩვენია, ლელოს გატანაში ვერავინ შეგვეცილება. რომ მოგახსენეთ: საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლისა, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძონ, ერთობლივის ძალით მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევირჩინოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ, მოსეულ ათასგვარ მტერსა და დუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, გავუმკლავდეთ, ხმალამოღებული დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავაცინოთ.**

**მაშ, გაგიმარჯოსთ, ბატონებო, ჩვენის ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების პირველო მერცხლებო! გაუმარჯოს თქვენს გამჭრიახობას, სიმკვირცხლეს: ჩვენი ხალხის, ამერ-იმერეთის, მთლად ჩვენი ქვეყნის სანუგეშოდ და წარსამატებლად!“**



პრინცი ოლდენბურგსკი და მისი მეუღლე აგრაფინა ჯაფარიძე

ყოველი სიტყვა ძვირფასი სტუმრისა ელექტრონის დენისებრ უვლიდა სხეულში სმენად გადაქცეულ მაყურებელს; ყველანი ხარბად პირში შეჰყურებდნენ და ცდილობდნენ ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვოდათ. **მათ ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა: მთელი საქართველოს სათაყვანო ადამიანს, მთელი ქართველობისთვის მზრუნველს ილია ჭავჭავაძეს თავიანთს შორის ხედავდნენ! ყველას განუმტკიცებდა რწმენას, რომ ობლად არ იყვნენ შთენილნი, ჰყავდათ პატრონი, პატრონი ძლიერი, შემმართებელი, რომლის წინაშე ჩვენი დაუძინებელლი მტერიც კი ქედს იხრიდა.** კარგა შებინდებულზე ყველანი მხიარულნი და ბედნიერნი დაიშალნენ. მერე დიდხანს და დიდხანს ჰქონდათ სოხუმელებს ეს სადილი სალაპარაკოდ და სასიამოვნო მოსაგონებლად.

* * *

ილიას ასევე განსაკუთრებული აწუხებდა აჭარის მოსახლეობის პრობლემებიც. „კინტრიშის მაზრა გაჭირვებულია. შველა ჩვენი ზნეობითი მოვალეობააო“, — წერდა 1879 წლის თებერვალში ერთ-ერთ თავის „შინაურ მიმოხილვაში“. იგი საზოგადოებას მიმართავს: „შევეწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ კაცთმოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის, ვაჩვენოთ, რომ ძმათა სიყვარული ჩვენშიაც ისე ყოვლად-შემძლებელია, როგორც სხვაგან, ვაჩვენოთ, რომ ჭირში ჩვენც ვიცით დახმარება, ვაჩვენოთ, რომ ძმობა, ერთურთობა, ერთმანეთის შველა და გატანა უქმი სიტყვა არ არის ქართველობისათვის!.. აქ უკან დახევა სირცხვილია ყველასათვის და ჩვენთვის ხომ სირცხვილზედ მეტიც... ჩვენ გაჭირვებულების ძმები ვართ, ძმებო!.. ეს არასდროს და არას შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს ქართველობამ... ამ ძმობაში გამოიკვანძა ჩვენი ბედი, ამ ძმობამ ჩვენის ბედნიერების კვირტი უნდა გამოიტანოს. ქართველობავ, ჩვენი უწმინდესი ვალია, უნდა მივეშველნეთ!... ღარიბნი ვართო, ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზედ მარტო ღარიბმა იცის — რა არის შველა, რა არის ძმობა გაჭირვებაში“.

„ყოველივე ეს უბედურობა, რომელიც თავს დასცემია აჭარა-ქობულეთს და მისი უნუგეშოდ ყოფნა — დიდს განსაცდელში ჰყრის ახლად შემოერთებულ ქვეყნის მცხოვრებელთა. რუსულ გაზეთ „Голос“-ში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია და მერე სხვა გაზეთებშიაც გადაბეჭდილი, რომ **აჭარლები აყრას ჰფიქრობენ და ოსმალეთში გადასახლებასაო.** ამის მიზეზი იცის, როგორც ეტყობა, კორესპონდენტმა, მაგრამ გამჟღავნება მისი „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ვერ მოუხერხებია. რუსული გაზეთები კი ამბობენ, რომ **ხალხის აყრა და ჩვენიდამ გადასახლება ოსმალეთში ასეთი მძიმე და ღირსშესანიშნავი ამბავია, რომ აქ დამალვა ნამდვილის მიზეზისა ცოდვა არისო და დიდი დანაშაულიაო სახელმწიფოს წინაშეო.** ჩვენც ამ აზრისა ვართ, მაგრამ რას იქ? **თუ მართლა აჭარა აიყრება და გადასახლდება, საკვირველი რამ იქნება, თუ შენც იტყვი, მკითხველო! ხალხი რათ უნდა მიიზიდებოდეს ოსმალეთში... მერე როგორ? თავისს მამა-პაპეულს ბინას, სახლს, კარს, მამულს, დედულს, მამათა სალოცავს, მამათა საფლავს – სულ ყველაფერზედ ხელს უნდა იღებდეს ხალხი და ოსმალეთში მიდიოდეს, გაგონილა!.. საკვირველი ამბავია!.. ნუთუ, რაც უნდა იყოს, რუსეთის ხელში ყოფნა არ უნდა ერჩივნოს, ვიდრე ოსმალეთის ხელში?“**

აბა, ადექით ახლა, ვაიპატრიოტებო, და ილიას უძახეთ რუსოფილი, ერის მოღალატე, ჩვენს „ისტორიულ მეგობარ“ თურქებს რუსები რომ ერჩივნა.

## მკითხველის გამოხმაურება

# «ჩამოდით ჩვენთან, უნდობლობა ქარს გავატანოთ...»

**რუბრიკით „მწარე სიმართლე“ შარშან, 19 ნოემბერს gewrold.ge-ზე გამოქვეყნდა წერილი სათაურით „განა ილიას არ შეეძლო, ჩამოეთვალა საყვედურები რუსეთის მიმართ? რატომ არ გააკეთა ეს?“.**

რამდენიმე ამონარიდით მკითხველს შევახსენებთ ამ საგაზეთო წერილის პათოსს, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობის შუქ-ჩრდილების უგულვებელყოფა ისტორიის დამახინჯებაა და უმადურობაც, მით უფრო, რომ

„დღეს ნებისმიერ პროგრესულად მოაზროვნე ქართველს სურს, ღმერთმა სწორ გზაზე ატაროს ქართველი ხალხი — გვესწავლოს ჩვენი ისტორია: საიდან მოვდივართ, სად ვართ და საით უნდა წავიდეთ მომავალში; და, როგორც წმინდა ილია მართალი გვასწავლის, თავი დავაღწიოთ იმ გადაგვარებასა და გათახსირებას, რომელიც ყველა ერს მაშინ ემართება, როცა საკუთარ წარსულს ივიწყებს“ (ილია).

**და დასმულ კითხვაზე: „იქნებ ჩვენ დღეს სწორედ ღვთისმოსაობა და ღვთის სიყვარული გვაკლია, რაკი ასე განქიქებით ვეკიდებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს და ყველა ჩვენს უბედურებას რუსებს მივაწერთ, საკუთარი უკუღმართობანი კი გვავიწყდება?“ — იქვეა პასუხიც ისტორიიდან, მწარე სიმართლე, რომლის გამეორება მაინცდამაინც სასიამოვნოდ როდი ხვდება ჩვენს ყურს:**

„როდესაც რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრემ, როგორც მონარქმა, იმერეთი დაიკავა, ხოლო სამეგრელოსა და გურიაზე სიუზერენის უფლება განახორციელა, მისი ხელისუფლების პირველი ქმედება იმაში გამოიხატა, რომ მან აკრძალა თურქებისთვის ტყვეთა მიყიდვა, ლაგამი ამოსდო მთავრებისა და ბატონების სისასტიკეს და აუკრძალა მათ სხეულის დასახიჩრებისა და სიკვდილით დასჯის კანონის გამოყენება.

რუსები, ძირითადად, ძალაში ტოვებენ იმპერიასთან შემოერთებული ხალხების კანონებსა და ჩვეულებებს, მაგრამ, საკუთარ სიძლიერეში დარწმუნებულნი, უყოყმანოდ აუქმებდნენ ბარბაროსობის ყოველ წესს“.

ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ „შესაძლოა, ბევრი რამ სადავოა ამ მოსაზრებაში, ბევრიც — მისაღები, მაგრამ ყოველივე ამას (ისევე, როგორც წმ. ილია მართლის, პლატონ იოსელიანისა და შარლ დე გრაი დე ფუას ნაწერებს) სჭირდება გააზრება და გაანალიზება სათანადო დასკვნების გასაკეთებლად და არა „ამერიკა, ამერიკასა“ და „ნატო, ნატოს“ ძახილით რუსეთისკენ ფურთხება“.

**რედაქცია მადლობელია ჩვენი მკითხველებისა, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას შეგნებით ეკიდებიან და სწამთ, რომ რუსეთისგან მტრის ხატის შექმნით საქართველოს მომავალს სასწორზე დებენ. სწორედ ეს განწყობაა გადმოცემული ლექსში „ჩამოდით ჩვენთან“, რომელიც** 11 იანვარს ფსევდონიმით „ანონიმური“ ერთ-ერთმა მკითხველმა ჩვენს საიტზე კომენტარად მიაწერა აღნიშნულ წერილს. აი ისიც:

### ჩამოდით ჩვენთან

ჩამოდით ჩვენთან, შემოდგომის სუნი დამდგარა,
ჩამოდით ჩვენთან, მაჭრით სავსე გვიცდის ქვევრები,
დუღს რქაწითელი, საფერავი, ბორგავს ხვანჭკარა,
ჩამოდით, გელით, ყველას თავზე შემოგევლებით.

ჩამოდით, გელით, სახლის კარი ღიაა ჩვენი,
გეპატიჟებით, გელოდებით მტერს და მეგობარს,
საქართველოდან სიყვარული წაიღეთ ბევრი,
წაიღეთ ბევრი, რაც დარჩება, ყველას გვეყოფა.

წაიღეთ ბევრი, აქ დაგვრჩება მაინც ულევი,
რომ არ მოგვშივდეს, ის ცხოვრების საგზლად ვატაროთ,
ღვინით გავრეცხოთ აღრენილი ჩვენი გულები,
ჩამოდით ჩვენთან, უნდობლობა ქარს გავატანოთ.

ჩამოდით ჩვენთან, ოღონთ ტანკებს თან ნუ ატარებთ,
ჩვენც თქვენი ეზოს შვილები ვართ, უცხო როდი ვართ,
თოფ-იარაღი მუზეუმებს გადააბარეთ,
არ დაგჭირდებათ, დიდი პაპის სახლში მოდიხართ.
* * *
ჩამოდით ჩვენთან, შემოდგომის სუნი დამდგარა
დუღს რქაწითელი, საფერავი, ბორგავს ხვანჭკარა!

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*





## ნიკი მინაჟის ძმა ციხეში ჩასვეს 11 წლის გერის გაუპატიურების ბრალდებით



**უპირველეს ყოვლისა, ნიკი მინაჟი პოპულარული ამერიკელი რეპშემსრულებელი ყოფილა. ვაღიარებთ, არ ვიცოდით, თუმცა არცოდნით არაფერი დაგვიკარგავს. ეს-ესაა შევიტყვეთ, მაგრამ არც ამით შეგვმატებია რამე, გარდა იმისა, რომ ამ რეპერის ძმის სახელია ჯელანი მარაჯა, რომელსაც 5 წლით მიუსაჯეს ციხეში ყოფნა. ეს მარაჯა თუ მაჰარაჯა რეგულარულად აუპატიურებდა თავის 11 წლის გერს — უმწეო გოგონას.**

ძმას ვერ უშველა გულისამაჩუყებელმა წერილმა, რომელიც შეწუხებულმა დამ სასამართლოს გაუგზავნა და ძმაი თვისი წარუდგინა, როგორც „ყველაზე მომთმენი, ნაზი, გულწრფელი და თავდადებული ადამიანი“.

კი ევედრებოდა ეს ამორალური ტიპი მოსამართლეებს, შემიცოდეთ და შემინდეთო, მაგრამ დანაშაულს არ აღიარებდა.

მოსამართლეები გულწრფელად შეწუხდნენ გოგონას მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმის გამო, „რომელიც ამჟამად სუიციდის სურვილს ებრძვის და მუდმივი ყურადღება სჭირდება, თავი რომ არ მოიკლას“, — იუწყება გამოცემა Page Six.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მომღერალი რეპერი ქალბატონი უმწიკვლო ქცევით არ არის გამორჩეული. მისმა ყოფილმა საყვარელმა განაცხადა, რომ ორიოდ წლის წინათ ამ ქალმა ჩხუბის დროს მას დანა ჩაარტყა. ნიკი მხოლოდ იმიტომ არ დააპატიმრეს, რომ ბოიფრენდმა დაიბრალა — თავის მოკვლას ვაპირებდიო.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## აშშ-ის არმიის ყოფილი ქვეითი ჯარისკაცი ტრანსგენდერი მოდელი გახდა



**ყოფილი ამერიკელი ქვეითი ჯარისკაცი, რომელმაც არმიაში 30 წელიწადი იმსახურა, დათხოვნის შემდეგ საზოგადოებას ტრანსგენდერად მოევლინა.**

აშშ-ის სახმელეთო ჯარებში წარმატებული კარიერა ჰქონდა, ჰყავდა ცოლი და სამი შვილი. აწყობილი ჰქონდა ცხოვრება, მაგრამ სრული ბედნიერებისთვის რაღაც აკლდა.



მხოლოდ 30 წლის შემდეგ მიაგნო იმ რაღაცას, როცა „მიხვდა“, რომ ტრანსგენდერი იყო.

52 წლის **ანდრეა ჰალილი** ჯარიდან 2015 წელს დაითხოვეს. სამხედრო ტანსაცმელი გახიდილი არ ჰქონდა, რომ მეუღლეს ახარა ტრანსგენდერობა თვისი. მოუთხრო, რომ თავს ყოველთვის დედაკაცად თვლიდა და ფრიად ეძნელებოდა ოჯახის მამად ყოფნა.

არ გადარეულა ცოლი, — მაშ, ეს შვილები ვისგან მყავსო?! ფაქტი ფაქტად მიიღო და ნაქმარევის გაქათმება დასავლეთის თანამედროვე ზნეობის მატერიალიზაციის ნიმუშად აღიქვა...





ექსფეხოსანს ახლა **ენდი** ჰქვია და ეს ენდი-ქალი თავის ადგილს ეძებს სამოდელო სამყაროს გლამურული მზის ქვეშ.

ჰალილმა აღიარა, რომ ჯარში ყოფნისას ფარულად ყიდულობდა ქალის საცვლებს და იცვამდა, რაც უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა.

რაღა დაგიმალოთ და, „ნაცმოძრაობის“ განაზებულ ხმაზე მომკივან და მოლაყბე, თვალჟუჟუნა მამაკაცებს რომ ვუყურებ, ვფიქრობ: ბიუსტჰალტერები და ბიკინები ხომ არ აცვიათ ამ პიჯაკ-ჰალსტუხიან უფლებადამცველებს-მეთქი?!

და ენდისა არ იყოს, ფულსაც ხომ არ აკეთებენ ნორმიდან ამგვარი გადახრილობის მეშვეობით?!

ენდი — აკეთებს: ჯერ კიდევ 2017 წელს მონაწილეობდა „წლის ალტერნატიული მოდელის“ კონკურსში, ახლახან კი ტრანსგენდერმა ხელშეკრულება გააფორმა სამოდელო სააგენტოსთან. ამასობაში ცოლსაც გაეყარა და... თავად გახდა გასათხოვარი.

გაბედნიერდება ის ოჯახი, რომელშიც ასეთი „რძალი“ შევა...

## ნორვეგიაში გაავრცელეს სოციალური რეკლამა ნარკოტიკების სწორად მოხმარების შესახებ



**ნორვეგიაში აამოქმედეს სოციალური სარეკლამო კამპანია, რომელიც მომხმარებლებს ნარკოტიკების სწორად მიღებას ასწავლის. დიახ, — სწორედ რომ ნარკოტიკების. მათ მავნეობასა და კატასტროფულ შედეგებზე კი არ ლაპარაკობს, არამედ გვამშვიდებს, რომ ნარკოტიკები არც ისე საშიშია, როგორც „მორალისტი ექიმები“ წარმოგვიდგენენ.**

მაშ, ასე: 2018 წლის იანვარში ნორვეგიელმა პარლამენტარებმა (სოციალისტებმა, ლეიბორისტებმა, კონსერვატორებმა და ლიბერალებმა) ხმა მისცეს ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციას — მარიხუანით დაწყებული, ჰეროინის ჩათვლით. აქვე ვთქვათ, რომ ამ აქტის მიღების შემდეგ ქვეყანაში შესაძლებელი ხდება ნარკოტიკების შემცველი ნივთიერებების თავისუფლად ყიდვა-შეძენა, მაგრამ, თუ ნარკომანს დააკავებენ ნარკოტიკის მცირე დოზით, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს აღარ აღძრავენ.

პოლიტმიმომხილველი **რუსლან კარმანოვი** ასე განმარტავს ამ „სიახლეს“: „ეს არ ნიშნავს ოვერტონის სარკმელს (აზრის საჯაროდ გამოთქმის ჩარჩო), ეს უფრო მეტია: „მთავარია, ზუსტად გამოთვალო დოზა და სანდო ბიჭებისგან იყიდო... ჭკვიანები კაიფობენ წლების განმავლობაში და შეუძლიათ თავი მიანებონ, როცა მოინდომებენ“, — ამას ეუბნებიან სახელმწიფოებრივ დონეზე.

ასეთი „განმანათლებლური“ მოძრაობის ინიციატორები გვამუნათებენ, რომ ნარკოტიკების შესახებ უნდა ვილაპარაკოთ პატიოსნად და მორალიზატორების გარეშე. მხოლოდ ასე გავაგებინებთო ახალგაზრდებს სიმართლეს.

„ამ კამპანიის მიზანია, ნარკოტიკების შესახებ ზუსტი და მეცნიერულად დასაბუთებული ინფორმაციის მიწოდება ჭკუის სწავლების გარეშე. თუ ახალგაზრდობას ასე განვანათლებთ, იმედი გვაქვს, რომ მინიმუმამდე დავიყვანთ უარყოფით შედეგებს, რომლებიც ნარკოტიკების მოხმარებას თან სდევს“.

პარლამენტარები ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ხელი არ უნდა შევუშალოთ ადამიანების კაიფობის წუთიერ სურვილს და ამით უარი ვთქვათ სიამოვნებაზე. საჭიროა, ვიმოქმედოთ საქმის ცოდნითო... „ჩვენ უკან არ დავიხევთ. ყოველ შემთხვევაში შევეცდებით, რომ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი გავხადოთ სხვა ენებზეც“, — აცხადებენ ინიციატორები.

ლამაზი ახალგაზრდების ფოტოებს ასეთი წარწერები აქვს:

„**სოფი** არ მომკვდარა ნარკოტიკის გასინჯვით. მან შეამოწმა ეს ნივთიერება და იცოდა, რასაც შეიცავდა იგი“.

„**ჯონი** არ მომკვდარა ჰეროინის ზედმეტი დოზის მიღებით. იგი მარტო არ ყოფილა, მის მეგობრებს კი ჰქონდათ ნალოქსონი“.

„**ემა** არ მომკვდარა ალკოჰოლის ზედმეტი დოზის მიღებით. მისმა მეგობრებმა გაარკვიეს სიმპტომები და დარეკეს პოლიციაში“.

„**სარა** მაშინ არ მომკვდარა, როცა გასინჯა ექსტაზი. მან მხოლოდ ნახევარი დოზა დალია და ელოდა ეფექტს“.

„**თომასი** არ მომკვდარა ბუტირატის გასინჯვის შედეგად. იგი ალკოჰოლს ერიდებოდა მთელი ღამის განმავლობაში და სწორ დოზირებას აკეთებდა.

„ცოდნას სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია“.

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ კამპანიას უფრო მეტი ეფექტი მოჰყვებოდა, ფოტოებზე იდეალური ახალგაზრდების ნაცვლად შარდისა და ნარწყევის გუბეებში ჩავარდნილი ნარკომანები რომ გამოესახათ.

„არ ვაპირებ, ვინმესთან განვიხილო აფხაზეთის დამოუკიდებლობის, მისი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილია. ხოლო მათ, ვინც გეოგრაფია არ იცის ან თავს ისე გვაჩვენებს, რომ არ იცის, შევახსენებ, რომ ისინი (ქართველები) ჩვენი მეზობლები არიან. მდინარე ენგურს გაღმა საქართველოს სახელმწიფო მდებარეობს. ჩვენ მათთან (ქართველებთან) ძალიან ბევრი და მრავალფეროვანი კონტაქტები გვაქვს“.

ახალი პერსონა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ასლან ბჟანია დიალოგს უჭერს მხარს

ფრაგმენტები აფხაზეთის ტელევიზიისთვის მიცემული ინტერვიუდან

**აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის ყველაზე რეალური პრეზიდენტობის კანდიდატი ასლან ბჟანია არ მალავს, რომ აფხაზეთში სახელმწიფო ინსტიტუტები ძალიან სუსტია, ღრმა კრიზისშია.**

— ბოლო პერიოდში, — ამბობს იგი, — ისინი ინგრეოდა, იშლებოდა სხვადასხვა მიზეზის გამო: მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანებმა არ იცოდნენ, როგორ ემართათ, ან არ სურდათ, რადგან მათთვის მომგებიანი იყო სიტუაცია, რომელიც მათ ხელს აძლევდა, უღმერთოდ ეძარცვათ, გამდიდრებულიყვნენ. ჩვენ ჩვენი სახელმწიფოს რღვევის წინაშე ვდგავართ. ბევრმა ჩვენმა მოხელემ არც კი იცის, რა არის სახელმწიფო, ამ ტერმინის განმარტებაც კი არ შეუძლიათ. არ იციან, რა არის სამართალი, კანონი, ჩვენ გვყავს ასეთი ხელმძღვანელები და ისინი უმრავლესობას შეადგენენ. მხოლოდ იმის სურვილი, რომ რაიმეს უხელმძღვანელო, წარსულს ჩაბარდა... ახალგაზრდებმა უნდა ისწავლონ, ისწავლონ ყოველდღიურად და გაიზარდონ ეტაპობრივად. მაშინ მთავრობაშიც მოვლენ. მათი ერაც დადგება ოდესმე, თუ მომზადებული იქნებიან. მათი დრო, რა თქმა უნდა, დადგება.

**კორესპონდენტი შენიშნავს, რომ აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს ქართულ მასმედიაში აქტიურად განიხილავდნენ.**

— **მხარს უჭერდით ქართულ მხარესთან დიალოგს. გვითხარით დაწვრილებით, კონკრეტულად როგორ დიალოგს გულისხმობდით? და — მეორე შეკითხვა: საკმარისია თუ არა ჟენევის დისკუსია მოლაპარაკების პროცესისთვის?**

— წაგიკითხავთ, ზოგიერთ ციტატას **ვლადისლავ არძინბას** ინტერვიუდან, რომელიც მას საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიამ 1999 წლის აგვისტოში ჩამოართვა.

„მჯერა, რომ საქართველო და აფხაზეთი ნორმალურად განვითარდებიან და დადგება დრო, როცა ჩვენ შევძლებთ ერთმანეთისთვის ხელის გაწვდენას, ნორმალურად საუბარს. მე მსურს ამის დაჯერება. ქართველი ხალხი მტრად არასოდეს წარმომედგინა. ჩვენ ერთად უნდა დავსხდეთ და ბოლომდე დავამუშაოთ ის, რასაც დამუშავება აკლია და შევეცადოთ, შევთანხმდეთ. მე ყოველთვის მზად ვარ შესახვედრად“ *(იგულისხმება საქართველოს ხელმძღვანელობასთან შეხვედრა).*

**მე მსურს, ტელემაყურებლების ყურადღება მივაპყრო ამ სიტყვებს. ეს არის განაწესი მათთვის, ვინც პოლიტიკით არის დაკავებული აფხაზეთში, პოლიტიკოსებისთვის. ეს არის განაწესი, როგორ უნდა აეწყოს ურთიერთობა, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკასთან.**

მე ტელეფონით დამიკავშირდნენ და მკითხეს, მზად ვარ თუ არა ინტერვიუს მისაცემად იმ გამოცემისთვის, რომელსაც ისინი წარმოადგენენ.

რა თქმა უნდა, მზად ვარ!

**არ ვაპირებ, ვინმესთან განვიხილო აფხაზეთის დამოუკიდებლობის, მისი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილია. ხოლო მათ, ვინც გეოგრაფია არ იცის ან თავს ისე გვაჩვენებს, რომ არ იცის, შევახსენებ, რომ ისინი (ქართველები) ჩვენი მეზობლები არიან. მდინარე ენგურს გაღმა საქართველოს სახელმწიფო მდებარეობს. ჩვენ მათთან (ქართველებთან) ძალიან ბევრი და მრავალფეროვანი კონტაქტები გვაქვს.**

გვაქვს ეკონომიკური კონტაქტები. ეს არის ენგურჰესი.

თქვენს ყურადღებას მივაქცევ შემდეგ გარემოებას. სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საბაჟო სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, წელიწადში დაახლოებით ათი ათასი ტონა თხილი მოგვყავს. რუსეთში ექსპორტად გაგვაქვს ერთ ათასამდე ტონა, ცხრა ათასი საქართველოში მიდის და ამით მდიდრდება რამდენიმე მოხელე. სწორედ ისინი აფინანსებენ პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს, რომლებსაც წივილ-კივილი აქვთ ატეხილი ამ საკითხზე. უნდა გადავწყვიტოთ თუ არა ეს საკითხი? გავარკვიოთ, ჩვენი თხილი მიფრინავს კოსმოსში თუ საქართველოს ტერიტორიაზე რჩება? იგებს რამეს აქედან სახელმწიფო, თუ არა? — არავითარი მოგება არ აქვს. **სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს ამ საქმეს თუ არა? როგორ უნდა მოვაგვაროთ ეს საკითხი, მოპირდაპირე მხარესთან მოულაპარაკებლად?** ეს ერთი.

**ვინც არ იცის, იმათ საყურადღებოდ ვიტყვი, რომ, სტრატეგიული კვლევების ცენტრის მონაცემებით, საქართველოდან ჩვენთან შემოტანილი 100 მილიონი რუბლის ღირებულების ბოსტნეული იყიდება, მხოლოდ ბოსტნეული!**



«ვინც არ იცის, იმათ საყურადღებოდ ვიტყვი, რომ, სტრატეგიული კვლევების ცენტრის მონაცემებით, საქართველოდან ჩვენთან შემოტანილი 100 მილიონი რუბლის ღირებულების ბოსტნეული იყიდება, მხოლოდ ბოსტნეული!»



ყოველწლიურად ათეულობით ტრანსსასაზღვრო დანაშაული ხდება, როცა ბოროტმოქმედი გადაკვეთს საზღვარს და იმალება საქართველოში.

ასობით ადამიანი ჩადის საქართველოში სამკურნალოდ.

— **როგორ მიგაჩნიათ, საჭიროა თუ არა ამ საკითხების რეგულირება? საჭიროა რეგულირება! ჟენევაში უნდა განვიხილოთ თუ უფრო მარტივად — საზღვარზე, იმ ადამიანებთან ერთად, რომლებსაც ეს პროცესი ეხება?**

— ცუდია, თუ სამართალდამცველები ურთიერთობენ დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხებში? უნდა გავაგრძელოთ ასეთი ურთიერთობა თუ არა? ვფიქრობ, რომ გაგრძელება საჭიროა.

**საქართველოს ზოგიერთი ხელმძღვანელი ლაპარაკობს, რომ გვეხმარებიან, ჩვენს მოქალაქეებს ეხმარებიან სამედიცინო მკურნალობაში. ეს შესანიშნავია. მე არ ვსაყვედურობ მათ, ვინც იქ სამკურნალოდ ჩადის. ჩვენ არ შეგვიძლია, მათ მკურნალობის შესაბამისი პირობები შევუქმნათ აქ, ამიტომაც მიემგზავრებიან და სწორადაც იქცევიან, ალბათ.**

მაგრამ, როცა ქართული მხარე სამედიცინო მომსახურების ზოგიერთ სახეობას საქართველოს მოქალაქეობის მიღებას უკავშირებს, ეს ხელს არ შეუწყობს მშვიდობიან დიალოგს.

ამაზეც შეიძლება ვილაპარაკოთ.

ამიტომ, არსებული პრობლემიდან გამომდინარე, უნდა გამოვიყენოთ მოლაპარაკების განსხვავებული ფორმატები.

**ვინმეს თუ დაავიწყდა, შემიძლია გავახსენო (ეს, უწინარესად, ეხება ქართველ ტელემაყურებლებს, რომლებიც პირველად ნახავენ ამ ინტერვიუს), რომ რუსეთს, უკვე რამდენიმე საუკუნეა (რამდენიმე საუკუნეა!), თავისი ინტერესები აქვს კავკასიაში.**

**კავკასიის, კერძოდ, ამიერკავკასიის ტერიტორია გარკვეულ ეტაპზე რუსეთის იმპერიაში შედიოდა, ამიტომ ცხადია, რომ არსებობს მოლაპარაკებათა რიგი, რომლებშიც რუსეთმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. ეს ფაქტორი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.**

ასლან ბჟანიამ განაცხადა, რომ სოხუმსა და თბილისს შორის უნდა შედგეს დიალოგი. მნიშვნელობა არ აქვს, როგორ ფორმატში და რა ფორმით, „მთავარია, რომ დიალოგმა დადებითი შედეგი გამოიღოს და სულერთია, რამდენი მხარე მიიღებს მონაწილეობას. ამ პროცესში ჩართული უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებსაც დიალოგის ადამიანურ და მშვიდობიან ჩარჩოებში მოთავსება სურთ.

რაც შეეხება უახლოეს პერსპექტივას, ვფიქრობ, რომ, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვადგინოთ ნდობა ორივე მხარეს შორის. ამ მიმართულებით უნდა გადავდგათ ნაბიჯები და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხელს შეუწყობს ჩვენი პოზიციების დაახლოებას. ასეთი ნაბიჯები ეკონომიკურ სფეროში უნდა გადაიდგას“, — დასძინა მან.

«საქართველოს ზოგიერთი ხელმძღვანელი ლაპარაკობს, რომ გვეხმარებიან, ჩვენს მოქალაქეებს ეხმარებიან სამედიცინო მკურნალობაში. ეს შესანიშნავია. მე არ ვსაყვედურობ მათ, ვინც იქ სამკურნალოდ ჩადის. ჩვენ არ შეგვიძლია, მათ მკურნალობის შესაბამისი პირობები შევუქმნათ აქ, ამიტომაც მიემგზავრებიან და სწორადაც იქცევიან, ალბათ»

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





## ნიუტ გინგრიჩი და პინგვინი

აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი სენტ-ლუისში ჩავიდა და გადაწყვიტა, ადგილობრივ ზოოპარკს სწვეოდა პინგვინების სანახავად. **გინგრიჩი,** ზოოპარკის ადმინისტრაციის ნებართვით, პინგვინების ვოლიერში შევიდა. უცებ ერთ-ერთი პინგვინი გაიქცა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატისკენ და, სანამ ის რეაგირებას მოასწრებდა, ხელზე ჩაუნისკარტა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №3, 2020 წ.

# ყველაზე კურიოზული და სახიფათო ეპიზოდები პოლიტიკოსების ცხოვრებიდან: მკვლელი კრენდელებიდან არწივ ძია სემამდე





## დონალდ ტრამპი და არწივი «ძია სემი»



აშშ-ის ამჟამინდელ პრეზიდენტ **დონალდ ტრამპს** ბოლო კურიოზი პრეზიდენტობის კანდიდატობისას შეემთხვა. ჟურნალ „თაიმისთვის" ფოტოების გადასაღებად ტრამპის ოფისში მიიყვანეს არწივი სახელად „ძია სემი", მაგრამ მალე გაირკვა, რომ ფრინველს არ ეპიტნავებოდა ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი. მან ჯერ ქოჩორზე გაჰკრა ფრთა ტრამპს და აუწეწა, შემდეგ კი შეეცადა, გაწვდილ ხელზე ჩაენისკარტებინა. ყველაფრის მიუხედავად, ორივე — მომავალი პრეზიდენტიცა და ონავარი არწივიც — მაინც მოხვდა „თაიმის" ყდაზე.





## შეინ რეტენბერი და კენგურუ

ავსტრალიის პარლამენტის წევრი **შეინ რეტენბერი** დილაობით რეგულარულად დარბის. 2013 წელს ერთ-ერთი ასეთი გარბენისას ის პირისპირ შეეჯახა 1 მ და 50 სმ სიმაღლის კენგურუს, რომელმაც პოლიტიკოსი მიწაზე დაანარცხა და მძლავრი თათებით იმდენი ურტყა, რომ სხეული დაუზიანა.

დაზარალებული საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც სასწრაფო სამედიცინო დახმარება გაუწიეს. ტრავმირებული პოლიტიკოსი იძულებული შეიქნა, გარკვეული დროით უარი ეთქვა დილაობით სირბილზე. საინტერესოა, რომ პარლამენტში მისული რეტენბერის კოლეგებმა, უწინარესად, კენგურუს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ჰკითხეს. „ნუ ღელავთ, ყველაფერი რიგზე აქვს, „ბრძოლის" შემდეგ ის სიხარულისგან ხტუნავდა", — უპასუხა შეინ რეტენბერიმ კოლეგებს.



## რონალდ რეიგანი და რადიოეთერი

1984 წლის 11 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტმა **რონალდ რეიგანმა** თავისი ერთ-ერთი სკანდალური ფრაზა წარმოთქვა. ეს მოხდა ერისადმი რადიომიმართვისას. რეიგანმა, რომელმაც არ იცოდა, რომ პირდაპირ ეთერში იყო, გადაწყვიტა, ეხუმრა და ყველას გასაგონად განაცხადა: **„ძვირფასო ამერიკელებო, მოხარული ვარ, გაუწყოთ, რომ ახლახან ხელი მოვაწერე კანონს რუსეთის უკანონოდ გამოცხადების შესახებ სამუდამოდ. დაბომბვა დაიწყება 5 წუთის შემდეგ".**



## სარკოზი და ნეთანიაჰუ

2011 წლის ნოემბერში საფრანგეთის პრეზიდენტმა **ნიკოლა სარკოზიმ** არჩევნების წინ ძალიან გაიფუჭა რეპუტაცია. „დიდი ოცეულის" სამიტის ორგანიზატორების შეცდომის გამო ჟურნალისტებმა სინქრონული თარგმანის აპარატების მეშვეობით მოისმინეს სარკოზისა და ბარაკ ობამას საუბარი გაეროსა და იუნესკოს წევრად პალესტინის დასახელების თაობაზე. სარკოზიმ ნეთანიაჰუს მატყუარა უწოდა და თქვა, რომ ვერ იტანს ისრაელის პრემიერს. ობამას პასუხი მთარგმნელის ინტერპრეტაციით დაახლოებით ასეთი იყო: „შენ ის ყელში ამოგივიდა, მე კი იძულებული ვარ, მასთან ყოველდღე მქონდეს საქმე".







## ჟირინოვსკი და კომბოსტო

2013 წლის 30 იანვარს კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე უკრაინელმა სტუდენტმა გოგონა **ტატიანა ლიხოდეევამ** რუსეთის ფედერალური საკრებულოს წევრ **ვლადიმერ ჟირინოვსკის** დამწნილებული კომბოსტო ესროლა სიტყვებით: „უკრაინოფობო! დიდება უკრაინას!". ჟირინოვსკიმ ამ გამოხდომის გამო თავისი დაცვის წევრები გამოლანძღა და დიდხანს წუწუნებდა, — ძვირად ღირებული კოსტიუმი გამიფუჭდაო.



## მუხიკა და კირშნერი



ურუგვაის პრეზიდენტმა ხოსე მუხიკამ პრესკონფერენციის დაწყების წინ თავის ერთ-ერთ თანამშრომელთან პირად საუბარში არგენტინის იმჟამინდელი პრეზიდენტი კრისტინა კირშნერი ბებერ კუდიანს შეადარა: „ეს ბებერი კუდიანი უფრო უარესია, ვიდრე ის, ელამი (მის ქმარზე თქვა)".



## ჯო ბაიდენი და მაკაკები

აშშ-ის ყოფილი ვიცეპრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, პოლიტიკური ხაზი ცხოველთა სამყაროშიც იწვევდა ნეგატიურ რეაქციას. 2013 წელს ინდოეთში ჩასულ ბაიდენს თავს დაესხნენ მაკაკები. ინდოეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერ მაჰათმა განდის მემორიალთან მისულ ჯო ბაიდენს ცოლსა და შვილიშვილთან ფოტოს გადაღება სურდა. ზუსტად ამ მომენტში მას მაკაკებმა მანგოს ნაყოფები დაუშინეს და ფოტოსესია კინაღამ ჩაშალეს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



**თებერვალში ლოს-ანჯელესში გაიმართება „ოსკარებით" დაჯილდოების მორიგი ცერემონია, რომელიც, ალბათ, წუთიერი დუმილით დაიწყება კობი ბრაიანტის პატივსაცემად. კარიერის დასრულების შემდეგ კობიმ მოასწრო ამერიკის კინემატოგრაფისტთა აკადემიის მთავარი პრიზის მოპოვება მულტიპლიკაციური ფილმისთვის „ძვირფასი კალათბურთი". კობიმ, აგრეთვე, დაწერა წიგნები ბავშვებისთვის და შექმნა მცირე მოცულობის ვიდეოები, რომლებშიც გაანალიზებულია კონკრეტული კალათბურთელების თამაშის საინტერესო ასპექტები.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «შავი მამბა» წავიდა

**განგება ზოგჯერ ისეთ სიურპრიზს გვთავაზობს, რომ ვერც ერთი სცენარისტი, დრამატურგი ან რეჟისორი ვერ შეძლებს გამოცნობას, როგორ განვითარდება მოვლენები. 26 იანვარს ლოს-ანჯელესში კატასტროფა განიცადა ვერტმფრენმა, რომლითაც მიფრინავდა ლეგენდარული სპორტსმენი, ისტორიაში ერთ-ერთი ტიტულოვანი კალათბურთელი, 41 წლის კობი ბრაიანტი, მეტსახელად „შავი მამბა". კატასტროფამ ვერტმფრენის ბორტზე მყოფი 9 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის კობი ბრაიანტისა და მისი 13 წლის ქალიშვილ ჯიანასი.**

მომხდარზე რეაქცია ელვისებური იყო მსოფლიოში. ცნობილმა სპორტსმენებმა, მსახიობებმა, პოლიტიკოსებმა სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნეს კობისთან გადაღებული ფოტოები და მისი ოჯახის წევრებისადმი თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვები.

ავსტრალიის ღია პირველობაზე ჩოგბურთელი **ნიკ კირიოსი რაფაელ ნადლის** წინააღმდეგ მატჩში გამოვიდა NBA-ის (აშშ-ის საკალათბურთო ასოციაცია) გუნდის — „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მაისურით, რომელსაც ზურგზე ეწერა „ბრაიანტი"; წუთიერი დუმილისას ცრემლს ვერ იკავებდნენ „ჰიუსტონის" კალათბურთელები, ფრანგული „პსჟ"-ს ფეხბურთელმა **ნეიმარმა** კობის გოლი მიუძღვნა. „დალას მავერიკსის" მფლობელმა **მარკ კიუბნმა** კი გადაწყვიტა, რომ კლუბის ისტორიაში 24-ე ნომრით არავინ ითამაშებს. კობის არასოდეს ჩაუცვამს „დალს მავერიკსის" მაისური, მაგრამ ბრაიანტის პიროვნების მნიშვნელობა უზარმაზარია.

„ჩვენ გენიოსმა დაგვტოვა!" — ეს ფრაზა მსოფლიოში სახელგანთქმულმა არგენტინელმა ფეხბურთელმა **ლიონელ მესიმ** დაწერა სოციალურ ქსელში...

## „ოსკარი" და წიგნები ბავშვებისთვის

თებერვალში ლოს-ანჯელესში გაიმართება „ოსკარებით" დაჯილდოების მორიგი ცერემონია, რომელიც, ალბათ, წუთიერი დუმილით დაიწყება კობი ბრაიანტის პატივსაცემად. კარიერის დასრულების შემდეგ კობიმ მოასწრო ამერიკის კინემატოგრაფისტთა აკადემიის მთავარი პრიზის მოპოვება მულტიპლიკაციური ფილმისთვის „ძვირფასი კალათბურთი". კობიმ, აგრეთვე, დაწერა წიგნები ბავშვებისთვის და შექმნა მცირე მოცულობის ვიდეოები, რომლებშიც გაანალიზებულია კონკრეტული კალათბურთელების თამაშის საინტერესო ასპექტები. ის თავდაჯერებით დგამდა ნაბიჯებს ბიზნესში, ეხმარებოდა თავისი ქალიშვილის სკოლის გუნდს. სწორედ ჯილიანის ერთ-ერთ თამაშზე მიფრინავდნენ კობი და მისი თანამგზავრები კერძო თვითმფრინავით, და ვინ იფიქრებდა, რომ ის მათთვის ბოლო იქნებოდა...

კობი ბრაიანტი იყო მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული საკალათბურთო ლიგის ერთ-ერთი გამოჩენილი მოთამაშე, რომელსაც რამდენიმე რეკორდი ეკუთნვის. აი ეს რეკორდები:







### 1. 81 ქულა ერთ თამაშში

2006 წლის 22 იანვარს „ტორონტოსთან" მატჩში კობიმ 81 ქულა მოაგროვა. ეს მეორე შედეგია NBA-ის ისტორიაში. მეტის მოპოვება მხოლოდ **უილტონ ჩემბერლენმა** შეძლო 1962 წელს — 100 ქულა;

### 2. 20 სეზონი ერთი გუნდის შემადგენლობაში

კობი ბრაიანტი 20 წლის განმავლობაში იცავდა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ღირსებას — 1996-დან 2016 წლამდე. მასზე მეტი მხოლოდ **დირკ ნოვიცკიმ** ითამაშა — 21 სეზონი „დალასში";

### 3. მე-4 ადგილი სარეიტინგო სიაში

კობიმ კარიერაში სულ 33 643 ქულა დააგროვა და ამ შედეგით მეოთხეა „ენ-ბი-ეის" სარეიტინგო სიაში. საუკეთესო ბომბარდირია ქარის აბდულ ჯამარი — 38 387 ქულა. კობი დიდი ხნის განმავლობაში იყო მესამე ადგილზე, მაგრამ კატასტროფამდე ერთი დღით ადრე მისი მაჩვენებელი ლებრან ჯეიმსმა გააუმჯობესა;





### 4. ორ ფინალში ზედიზედ MVP-ი (ყველაზე ღირსეული მოთამაშის წოდება)

კობი ორ წელიწადს ზედიზედ დაასახელეს ყველაზე ღირსეულ მოთამაშედ — 2009 წელს „ორლანდო მეჯიკთან" მატჩების სერიაში და 2010 წელს — „ბოსტონ სელტიქსთან";

### 5. 18-ჯერ მონაწილეობდა ყველა ვარსკვლავის მატჩში

კობი 18-ჯერ მონაწილეობდა ყველა ვარსკვლავის მატჩში (ეს ყველაზე გრძელი სერიაა NBA-ის ისტორიაში);

### 6. ორი ოლიმპიური ოქროს მედალი

კობი ბრაიანტმა 2-ჯერ მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში: 2008 წელს — პეკინში და 2012 წელს — ლონდონში;

### 7. 12-ჯერ დაასახელეს წლის საუკეთესო მცველად

ასეთი შედეგის მიღწევა, კობის გარდა, მოახერხა მხოლოდ 3-მა კალათბურთელმა — **მაიკლ ჯორდანმა, კევინ გარნეტმა** და **გერი პეიტონმა;**

### 8. NBA-ის 5-გზის ჩემპიონი

კობიმ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" შემადგენლობაში NBA-ის ჩემპიონობა 5-ჯერ მოიპოვა — 2000, 2001, 2002, 2009 და 2010 წლებში. უკეთესი შედეგი აქვს მხოლოდ ორ კალათბურთელს — „ბოსტონ სელტიკსის" მოთამაშე ბილ რასელსა (11 ტიტული) და მაიკლ ჯორდანს („ჩიკაგო აბულზი" — 6 ტიტული).

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**









# სინამდვილეში «აგრესორი» და თავხედი მატყუარა თვითონ ნატოა

„ნატომ დაარღვია სსრკ-ისთვის მიცემული პირობა და ფართოვდება აღმოსავლეთის მიმართულებით, ამით სულ უფრო უახლოვდება რუსეთის საზღვრებს", — წერს ფრაქცია „მემარცხენეების" ოფიციალური წარმომადგენელი გერმანიის ბუნდესტაგში — ალექსანდერ ნოი პორტალ Freiheitsliebe-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ წერილში.

## ბუნდესტაგში გაიხსენეს, როგორ მოატყუა ნატომ სსრკ გორბაჩოვის პერიოდში





პარლამენტარმა აღნიშნა, რომ მარტში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნები ფეიკური „რუსული საფრთხის" საბაბით დაიწყებენ ბოლო 25 წლის განმავლობაში ყველაზე დიდ სამხედრო წვრთნას „ევროპის დამცველები — 2020" (Detender 2020), **„მაგრამ სინამდვილეში აგრესორი არის არა რუსეთი, არამედ, სახელდობრ, ნატო,** — მიაჩნია ნოის,— **ხოლო მოსკოვი ჯერ კიდევ თავდაცვით პოზიციაშია".**

დეპუტატის თქმით, საბჭოთა კავშირმა თავი მოიტყუა, როცა არ მოსთხოვა დაპირების შესრულება ალიანსს, არ გაფართოებულიყო გერმანიის იქით, თუკი ამ ქვეყნის ერთიანობის აღდგენის შემდეგ ის მთლიანად დარჩებოდა ნატოს შემადგენლობაში. თავის წერილში ნოი წერს, რომ „ეს იყო მიუტევებელი შეცდომა საბჭოთა კავშირის უუნარო ხელისუფლებისა **გორბაჩოვის** მეთაურობით (შეგახსენებთ, რომ იმ პერიოდში სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო **ედუარდ შევარდნაძე,** რომელმაც უფლება მისცა ნატოელებს, ისიც მოეტყუებინათ და ქვეყანაც). **„ამრიგად, — აღნიშნავს ნოი, — უკვე 1999 წელს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი „ღია კარის" პრინციპით შეუდგა გაფართოებას, რომელიც დღემდე არ შეწყვეტილა".**

წვრთნაში „ევროპის დამცველები 2020" მონაწილეობას მიიღებს 37 ათასი სამხედრო სხვადასხვა ქვეყნიდან.

მხოლოდ ამერიკელი სამხედროები აპირებენ 13 ათასი ერთეული სამხედრო ტექნიკის გამოყენებას.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



# რომელი ქვეყნიდან შემოდის ყველაზე მეტი სტუმარი

## 2019 წელს რუსეთიდან შემოსულ პირთა რაოდენობა 5%-ით გაიზარდა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, გასულ წელს რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში 1 793 005 ადამიანი შემოვიდა, მაშინ, როცა 2018 წელს ეს მაჩვენებელი — 1 705 217 იყო.**

საქართველოს საზღვარი ყველაზე ხშირად გადმოკვეთეს შემდეგი ქვეყნების მოქალაქეებმა:

აზერბაიჯანის — 2 015 435 (+12%)

სომხეთის —1 873 823 (+9%)

რუსეთის ფედერაციის — 1 793 005 (+5%)

თურქეთის — 1 365 004 (+4%)

ევროკავშირის ქვეყნების — 541 895 (+25%)

უკრაინის— 242 947 (+19%)

ისრაელის —227 728 (+31%)

წინასწარი მონაცემებით, 2019 წელს შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურებიდან საქართველოში შეადგენს 3.3 მილიარდ დოლარს (ზრდა +1.4%), რაც 47 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

# ტაილანდში შიდსისა და გრიპის სამკურნალო პრეპარატების კომბინაციით კორონავირუსისგან ორი პაციენტი განკურნეს

**ტაილანდში აცხადებენ, რომ აივ ინფექციის სამკურნალო პრეპარატებისა და გრიპის წამლების კომბინაციით, კორონავირუსისგან უკვე მეორე პაციენტი განკურნეს.** ჯანდაცვის მინისტრ **ანუტინ ჩარნვირაკულის** თქმით, 71 წლის ქალბატონი, რომელიც უკვე განიკურნა, კორონავირუსით იყო ინფიცირებული და ძალიან რთული მდგომარეობა ჰქონდა. ამასთანავე, ინფიცირებულთა რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით იზრდება. ამჟამად ლაბორატორიულად დადასტურებულია, რომ ვირუსი 20 438 ადამიანს აქვს. დაღუპული ადამიანების რაოდენობამ კი 425-ს მიაღწია.

# შავი ჭირიდან კორონავირუსამდე, ანუ ხევსურთა თვითდამარხვის უანალოგო ისტორია

**ხევსურეთში თვითდამარხვა შავი ჭირის ეპიდემიისა კაცობრიობისთვის უცნობი ფენომენია და მას ანალოგი არ მოეძებნება. ეს იყო შთამომავლობის გადარჩენის ინსტინქტი, მთლიანად რომ არ ამოწყვეტილიყვნენ...**



გიამბობთ საშინელ მოვლენაზე, რომელმაც თავის დროზე 60 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საუბარია შავი ჭირის ეპიდემიაზე, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნეში მძვინვარებდა, როცა მედიცინა უძლური იყო მის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გობის უდაბნოში (მონღოლეთი) წარმოშობილმა დაავადებამ ჯერ ჩინეთი და ინდოეთი მოიცვა, მერე კი მონღოლთა ჯარებთან ერთად ევროპაშიც შეაღწია. მისთვის დამახასიათებელი სიმპტომები იყო ოფლიანობა, ციებ-ცხელება, კანკალი, ძლიერი ტკივილები, მაგრამ მთავარი და ყველაზე საზარელი ნიშანი, რომლითაც შავი ჭირის ამოცნობა შეიძლებოდა, ჩირქმდინარე წყლულები, ე.წ. ბუბონები იყო.

„შავმა სიკვდილმა" რამდენიმე წელიწადში ევროპის მეოთხედი გაანადგურა. საერთო ჯამში კი, 20 წელიწადში 60 მილიონამდე ადამიანი იმსხვერპლა.

„შავი სიკვდილის" გამომწვევი ბაქტერია მხოლოდ 1894 წელს აღმოაჩინა ფრანგმა ბაქტერიოლოგმა **ალექსანდრე იერსენმა.** ამ ბაქტერიას ერსინია პესტის ეწოდა. ოთხი წლის შემდეგ კიდევ ერთმა **პოლ-ლუი სიმონმა** მიაკვლია მღრღნელების რწყილის როლს შავი ჭირის გავრცელებაში. მაშინვე შეიმუშავეს ვაქცინა, რომელსაც დიდი წარმატება არ მოჰყოლია, რადგან, როგორც გაირკვა, ეს არ იყო მხოლოდ ბნელი შუა საუკუნეების პრობლემა. აღმოაჩინეს, აგრეთვე, ამ სნეულების ახალი ფორმები, რომლებიც მკურნალობას არ ექვემდებარება. დიახ, სანამ ძირითადი ჰიგიენური ნორმები არ იქნება დაცული, შავი ჭირი კაცობრიობისთვის საშიში რჩება.

საქართველოში შავ ჭირს ჟამიანობა უწოდეს. ეპიდემია საქართველოში ოქროს ურდოს შემოჰყვა. ჟამიანობას **ბაგრატ V**-ის ცოლი, დედოფალი **ელენე** ემსხვერპლა. დაუმარხავი მიცვალებულებით აივსო ქუჩები. გვამებთან მიკარებას ჯანმრთელი ადამიანები ვერ ბედავდნენ, ამიტომ ტოვებდნენ საცხოვრებელ ადგილებს და გარბოდნენ. წყალსაც ვერ ეკარებოდნენ, რადგან ისიც ინფიცირებული იყო. ანატორი შატილიდან ორ კილომეტრში მდებარეობს და ცნობილია თავისი აკლდამებით. ანატორში შავი ჭირით დაავადებულები თავისი ნებით ტოვებდნენ სახლ-კარს და აკლდამებში სიკვდილს ელოდნენ. როდესაც აკლდამა ავადმყოფებით გაივსებოდა, კარს შიგნიდან ამოლესავდნენ. ასეთი თვითდამარხვა შავი ჭირის ეპიდემიისას კაცობრიობისთვის უცნობი ფენომენია. ეს იყო შთამომავლობის გადარჩენის ინსტინქტი, რომ მთლიანად არ ამოწყვეტილიყვნენ. დასნეულებული მოსახლეობა საძვალეებისკენ თავისი ნებით მიდიოდა, რათა ჯანმრთელი ადამიანები საფრთხისგან დაეცვათ. შედიოდნენ აკლდამაში და აღსასრულს უცდიდნენ. ევროპაში კი სულ სხვა ვითარება სუფევდა. უფრო სტიქიურად მოქმედებდნენ. თუ სახლში ვირუსით ერთი ადამიანი მაინც იყო დაავადებული, მოსახლეობა ასეთი სახლის კარებსა და ფანჯრებს გარედან ქოლავდა ისე, რომ ოჯახის სხვა წევრებსაც არ აძლევდა საშუალებას, გარეთ გამოსულიყვნენ. ჩვენში კი სრულიად განსხვავებულად იქცეოდნენ — საკუთარ სიცოცხლეს წირავდნენ სხვათა გადასარჩენად.

კორონავირუსის გავრცელებისგან ღმერთმა დაგვიფაროს, ისევე, როგორც შავი და სხვა მრავალი ჭირისგან. ეს ისტორიაც მხოლოდ იმიტომ გიამბეთ, რომ მეტი ვიცოდეთ ჩვენი წინაპრების შესახებ, რომლებმაც კაცობრიობას უნიკალური თავგანწირვის მაგალითი შესთავაზეს. იმედია, მიბაძვა არ დაგვჭირდება, მაგრამ ცოტა რომ ვიამაყოთ, ამით არაფერი დაშავდება...

**თამაზ ჩიქვანაია**
sputnik-georgia.com
(იბეჭდება მცირე შემოკლებით)


თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე" — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

ქვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია



სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894